


კვირის პალიტრა



63

გვლელი  
ფვდლის  
ანაფორაში?

N27(56) 5/VII.-11/VII.2001.  
ფანი 60 თ.



აკაკი გოგიჩაიშვილს  
ამერიკაში ფვდლეს  
არ ატანენ

1168  
2001

„გედისფერა“ -  
ქართული  
რომანი

ეკა კასიანი  
სუდეუბის  
გაფონეთქვაშუბს  
ამროვუბს და  
ხანდუხან  
„ეფრენს“







**ვანტანგ ქუთათელაძე:**  
**იპოდრომი საიჩმის გორაკზე მდებარე ჩემს**  
**სახლთან საკმაოდ ახლოს არის. აქამდე**  
**ფეხით ჩამოვირბენდი სოფელ, თუმცა**  
**საოცარია, ის გასაძრომი ამოქოლეს,**  
**რომლითაც გადავივდიოდი...**

**გვ.4**



**ბინიანტურები**

„რეაბილიტატორები“ 3

**პერსონა**

მანბანზე ქუთათელაძე:  
„საირმის ბორა ასეთი რომ  
გახდა, ჩემი „ღანაშაულინა“ 4

**კონფლიქტი**

აკაკი გოგიჩაიშვილს  
ამერიკაში მეუღლეს არ ატანენ 8

**რეპორტი**

ტაილანდში მასაჟი  
სვილომას იცის 10

**მსახიობი**

„ძნელია, როცა შვილს აჩენ და  
მეუღლე გვერდით არ გყავს...“ 13

**შეამონათ თქვენი ყოფილი**

ტესტი ერუდიციაზე 15

**საზოგადოება**

თირკმლის ბაყიღვა მათ ქმარ-  
შვილის გაღარჩენის ერთადერთი  
საშუალებად მსახიობი 16

**სასარგებლო აზრები**

აურორიგების ენციკლოპედია 18

**სიგოლო**

ანამის აწვთქება ნახევარ  
ქალაქს დაანგრევდა... 19

**კრიმინალი**

- მოკლულის – ბაგალელის ცოლს  
ყოფილი პროკურორის  
ღანაშაულში ეჭვი არ ეპარება 22
- მკვლელი მღვდლის  
ანაშორაში? 24

**შეყოფილი**

რუსულან ფეტიხაშვილი:  
„მეამაყება, რომ ჩემი  
პირველი ბამოფენა  
ელენე ახვლედიანმა გახსნა!“ 26

**ტესტი**

ერთგული მკითხველი 28

**პრობლემა**

ბრაზილიური ფილმის სიუჟეტი  
ახლა საქართველოში თამაშდება 29

**ფსიქოლოგიური თამაჟი**

ლაკვირვახისა და ალქმის  
როგორი უნარი გაქვით? 31

**საყვარელი**

სად იბადებოდა მოლა? 32

**წინდაწინ**

- პირველი მოწამე  
მეუთა შორის 34

**აკაკი გოგიჩაიშვილს  
ამერიკაში მეუღლეს არ ატანენ**



4 კვირაა, „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „60 წუთი“ აღარ გასულა. ნუთუ ეროსი კიჭმარიშვილს – „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს „ძველი საქმეები მართლა ამოუქექეს“ და „60 წუთი“ „ძალოვნებისა და „წითელი ინტელიგენციის“ გაერთიანებული შანტაჟის მსხვერპლი გახდა“?

8

**„ძნელია, როცა შვილს აჩენ და  
მეუღლე გვერდით არ გყავს...“**

„ყოველდღე სულელ ქალებს ვაკვირდები, მათ გამონათქვამებს ვაგროვებ, რომ ლალას როლი უკეთესად ვითამაშო“ – გამოცვიცვდა ეკა კახიანი. როგორია მსახიობი ეკრანს მიღმა? – ამ და სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად ეკა კახიანს შინ ვესტუმრე.



13

**მოკლულის ცოლს ყოფილი პროკურორის  
ღანაშაულში ეჭვი არ ეპარება**



მიშამ დისპეტჩერს უთხრა – ნუ დამირეკავ, ეს ტიპები რაღაც არ მომწონს, ძალიან მთვრალეები არიან და არ მინდა გავაღიზიანო. შესაძლოა, ჩემს ქმარს მანქანაში სირაძე მარგო კი არა, სხვასთან (ან სხვებთან) ერთად ჩაუჯდა.

22

**ბიჭიბო ასკურაბა:  
ტაილანდში მასაჟი სვილომას იცის**

ჩავდექი რიგში. მოვიდა ჩემი ჯერი და გადავიღე ეს ფოტო. თან ვფიქრობდი, ჩემს მეგობრებს რომ ვაჩვენებ, ამბავსაც მოვუყვები-მეთქი ამასთან დაკავშირებით. გადავიხადე 10 დოლარი და... მერე გავიგე – თურმე... კაცი ყოფილა!



10

საქართველოს  
ქართული  
ინტელიგენცია

21960



- მეფე ლეონი II - სული  
ერისთავის, თავი შავისთავის 35
- ანტიფარსიანი**  
ინფორმაციულ-შედეგებითი  
კოლაჟი გონა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 36
- ბაღი კასია**  
იპოვეს ქვიშაში გულაღა  
მწოლიანა, ღმრთის მკვლევარი 36
- პირველი სიყვარული**  
„ღამონინების პირველი  
მცდელობა ბებიაჩემ ჩამიშალა...“ 38
- სახსრების**  
მეგობარი შედარებითი  
ბიუროს თავი ათეული 39
- პარკული**  
საიდუმლოებით მოცული  
ჯოლი ფოსტარი 43
- რომანი**  
ნიკო აშკარელი.  
ბელისწერა (ბაბრქაღა) 46
- ავტო** 50
- ესკიზები**  
მოხდელი ქვერით დაწყებული  
თეატრალური კარიერა 52
- ჯანმრთელობა**
  - კითხვა-პასუხი 54
  - სტენოკარდია 55
  - ზიზიტი ინფარქტი 56
  - ნუტყვაში 56
- საუკუნის პირველი**  
თავი აწერილი კომპიუტერის რბოლა 57
- შეჩვენებული ნაბი**  
ორი მკვლავისა და  
უბარბი წამლის აბაზი 60
- საანოტი** 61
- პორტალი**  
კვირის (9-15 ივლისი)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62
- ტესტი**  
ცხოვრობთ თუ არა სრულ  
პარმონიაში საკუთარ თავთან? 63
- კალიფორნია**  
ჩრდილ-ჩრდილი აბაზი 64

## თირკმლის გაწმენდა მათ ქაბ-შეილის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მსახიბი



ძალიან ამაყი და თავმოყვარე ვარ - ჩემმა მშობლებმა რომ გაიგონ, მათი ერთადერთი შვილი თირკმელს უფულობის გამო იკვეთსო, საშინელ დღეში ჩავარდებიან...

16

## საიდუმლოებით მოცული ჯოლი ფოსტარი

ჯოლი ფოსტარი სიხარულით აცნობა ლიბ სმიტს, რომ ბიჭს ელოდებოდა.

- მამა ვინ არის?  
- ამას ვერავინ ვერასოდეს გაიგებს. ზოგი ჭორის თანახმად, ჯოლიმ ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა ჩაიტარა... ვერც ერთი ვერსია ვერ დადასტურდა.



43

## ქიშკა და შედარებითი ბიუროს თავი ათეული



ბანკების მმართველებს, მკვლელებს, ბავშვების გამგაცემებსა თუ სერიულ მანიაკებს, ყველაზე მეტად, ამ ათეულში მოხვედრის ემინათ: თუ ეს მოხდა, „ათეულის კლუბის“ ახალი წევრი ნამდვილი ნადირობის მსხვერპლად იქცევა, რომელსაც, რომ იცყვიან, „სრული პროგრამით“ დევნა მოელის...

39

## ბელონსონი

- ავტობუსი აღარ იქნება. საწვავი არ არის. წამოდი ჩემთან ერთად. სამსახურში უნდა შევირბინო. ნახევარ საათში გავითავისუფლები და მერე წავიყვან - თავაზიანად შესთავაზა დათომ.



46

### ბარეკანა: ბიორბი შორაშულიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
ბაშოლის კვირაში მრთხელ, სუთვაბათობით  
ბაშოთ „კვირის კალიტრის“ დამატება


შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“



# „რეაბილიტაცია“



შემწყნარებლობა და მიმტვევებლობა საუკეთესო ქართველთა უპირველესი ღირსება იყო ოდითგან. ერის სახეს კი ყოველთვის მისი წინამძღოლი წარმოადგენდა – მეფე იქნებოდა ეს თუ – მთავარი. სწორედ ასეთი მეფე დასახა ხელისუფლის ეტალ-ონად სულმნათმა რუსთაველმა, როდესაც როსტე-ვანს „მაღალი, უხვი, მდაბალი...“ და „მოსამართლე და მოწყალე“ უწოდა...

დღეს საქართველოში მეფე აღარ გვყავს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა – ხელისუფლება ხელისუფლებაა. პირიქით – ხალხის რჩეულთ, რომელთაც მემკვიდრეობით კი არ ერგოთ ქვეყნის სათავეში ყოფნა, არამედ თვით ხალხმა მიანიჭა ეს უფლება, მეტადაც მართებთ რუსთაველისეულ იდე-ალთან მიახლოება – ჰოდა, ესენიც ცდას არ აკლებენ: საქართველოს ახ-

ლანდელ ხელისუფალ-ჭირისუფალთა „სიმაღ-ლე, სიუხვე და სიმდ-აბლე“, მათი „მოსა-მართლეობა და მოწყა-ლეობა“ მთელ დუნიაზე ცნობილი, მაგრამ რაც ბოლო კვირაში გააკეთა ქართულმა პარლამენტმა, ამას მართლაც არავინ ელოდა: წარმოიდგინეთ, როგორი მიმტვევებელი, სათნო და სულგრძელი უნდა იყოს ადამიანი, მით უმეტეს – ორასამდე კაცი ერთად, თანაც ისეთი ხალხი, ვისაც ქვეყნის პატრონობა ევალება, რომ „ერის მოღალატის“, „საქართველოს დამატყვევრის“, „მმათა შორის ომის გამჩაღებლის“, „პროვინციული ფაშიზმის ბელადის“ და „რუსეთის ფარული აგენტის“ ზვიად გამსახურდიას (რომელმაც მათივე კუთვნილი ხელისუფლების უზურპირება მოახდინა ერთ დროს) რეაბილიტირებაზე – იმ კაცის სახელის აღდგენაზე იფიქროს, რომელმაც მოღალატურად მოიკლა თავი – სამოქალაქო ომის გაჩაღების მიზნით.

ცოდვა გამხელილი სჯობს, თანაც ამას ქართველი ჟამთააღმწერელიც ადასტურებს, რომ ქართველებს უამრავ ღირსებასთან ერთად, ერთი ძალიან ცუდი თვისება გვჭირს – უმადურობა (ერთმანეთის მიმართ, თორემ უცხოელებს მაღლობას ვეუბნებით კი არა, სულში ვიძვრეთ) – გადადგა პარლამენტმა ეს ნაბიჯი, მაგრამ ვინ დაუფასა – თვით ზვიადისტებმა ლამის მიტინგები მოაწყვეს – არავის არ სჭირდება თქვენ ადღგენა-რეაბილიტაცია, თქვე მართლა „ადღგომამართოსასწრებებო...“ აი, ასე – მაღლობის მაგივრად!



არადა, რა კარგი პროექტებია მომზადებული ამ მიმართულებით, რამდენი ისტორიული პიროვნებაა, რომელსაც გამსახურდიანზე „მეტი ცოდვა“ მიუძღვის ერის წინაშე, სამარადჟამოდ ჩამოცილებდა სამარცხვინო ლაქას და კვლავ დაიკავებდა თავის ადგილს ერის ისტორიაში, თავად განსაჯეთ: მზადდება მასალები დავით აღმაშენებლის რეაბილიტაციისათვის, რომელმაც გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე – ჩრდილოეთ კავკასიიდან ათასობით ყივჩაღი ჩამოასახლა, ხოლო დიდგორის ომში ქრისტეს რჯულის დამმახინჯებელ კათოლიკე ჯვაროსნებსაც უხმო.

– აქტიური საუბარი მიმდინარეობს თამარ მეფის რეაბილიტაციაზე (ამბობენ, უკვე საბუთებიც მზადდებათ), რომელმაც ქართულ სამეფო ოჯახში სისხლის აღრევით – დავით სოსლანზე გათხოვებით, სათავე დაუდო ოსურ სეპარატიზმს.

– დიმიტრი თავდადებული, რომელიც ვიღაც ტილიან მონღოლებს ეახლა ურდოში და ლაჩრულად დადო თავი საჯალათო კუნძულზე, აღარ იქნება ქართველთა მონური მორჩილების ეტალონი.

– ვახტანგ გორგასალი, რომელიც მუდმივად არღვევდა საქართველოს კანონს ფაუნის დაცვის შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო ბრაკონიერობას და ხოხბის სინსილა გაწყვიტა საქართველოში, აგრეთვე რეაბილიტირებული იქნება. მეტიც – თბილისის განაშენიანება-განვითარების გეგმის შესრულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის იგი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდება (სიკვდილის შემდეგ), ხოლო მის მემკვიდრეებს უფლება მიეცემათ, ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით, რომელიც რეპრესირებულის შთამომავლებს ეკუთვნის – ყოველთვის ექსნახევარლარიანი დახმარება და მეტროში უფასოდ შესვლა.

... ვართ ახლა ასე – „შემწყნარებულები!“ P.S. ისეთი ბებერი არ ვარ, რომ ისე მოკვდე, ერთ ამბავს არ შევესწრო – „გვარს არ დავასახელებ და ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არის“, იმ კაცის ჯერ მოთხრას და შემდეგ „რეაბილიტაციას“ ვგულისხმობ.

პრომოკატორი



თავიდან მეგონა, დილაადრო-  
ანად, იპოდრომის სარბენ ბილ-  
იკზე, სწრაფი ნაბიჯებით მო-  
სიარულე უშიშროების მინისტრი  
ვასტანგ ქუთათელაძე სპეცოპერ-  
აციის ჩასატარებლად იყო გამო-  
სული, მაგრამ როგორც აღმოჩნდა,  
მოვტყუვდი. დღეები და კვირები  
ერთმანეთს მისდევდა, ის კი,  
ყოველდღე, თავისთვის, უშფოთვე-  
ლად დაადგებოდა ხოლმე სარბენ  
ბილიკს და წინასწარ განსაზღვრუ-  
ლი ტემპით დადიოდა და დადიო-  
და... გამოველაპარაკე, ავუხსენი,  
ვინ ვიყავი და ინტერვიუ ვთხოვე.  
კი ბატონო, მითხრა, და დღე  
და საათი დამითქვა. დათქმულ  
დღეს, დათქმულ საათამდე თხუთ-  
მეტოდვე წუთით ადრე დაფრეკე  
მის მისაღებში და, გამოგიტყდებ-  
ით, გამიკვირდა, უმაღლ რომ  
მიპასუხეს — მობრძანდითო. ხუთი  
წუთით მე თვითონ დავაგვიანე...



**ვასტანგ ქუთათელაძე:**

# საირმის ბორა ასეთი რომ გახდა, ჩემი „დანაშაულისა“

## ბორა ტყუელაშვილი

— ბატონო ვასტანგ, სავარჯიშოდ  
იპოდრომი რატომ აირჩიეთ?  
— მთავარი განმაბირობებელი ის არის,  
რომ იპოდრომი საირმის გორაზე მდებ-  
არე ჩემს სახლთან საკმაოდ ახლოს არის.  
აქამდე ფეხით ჩამოვირბენდი ხოლმე, თუმ-  
ცა, საოცარია — ერთადერთი რამ, რაც  
იპოდრომზე გააკეთეს, ის არის რომ, ის  
გასაძრომი ამოქოლეს, რომლითაც გაღ-  
მოვიდიოდი.  
— დაცვის გარეშე რატომ  
ვარჯიშობთ?  
— დაცვა არ მყავს.  
— რატომ არ დარბიხართ, დატვირთ-  
ვას ერიდებით?  
— არა, რატომ?! მე სწრაფად დავდივარ  
და ბოლო ერთ კილომეტრს დავრბივარ  
ხოლმე. კვირაში სამ დღეს ფეხბურთის  
სათამაშოდაც დავდივარ. მე ვერაზე  
გავიზარდე და ხშირად ვთამაშობდი „კირო-  
ვის“ პარკში კალათბურთს, ფეხბურთს,  
მოგვიანებით — რაგბის. სპორტი ყოველთვის  
მიყვარდა და სხვადასხვა სახეობას მივს-  
დევდი.  
— კარგი შედეგები თუ გქონ-  
დათ?  
— რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ  
მქონია. თანრიგი პისტოლეტით სროლა-  
ში მაქვს მიღებული.  
— ხანდახან იპოდრომზე მოყ-

ვარულ მორბენლებს შორის შეჯი-  
ბრებებიც იმართება. ასეთი რამ  
ახლო მომავალშიცაა დაგეგმილი.  
თქვენ თუ მიიღებთ მონაწილეობას?  
— ვფიქრობ, ჩემი ღონის მორბენალმა  
მასში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა.  
სხვათა შორის... ძალიან აზარტული ვარ  
და არ მიყვარს წაგება. შეჯიბრებაზე რომ  
გახვალ, რაღაც წარმატებას უნდა მიაღ-  
წიო ადამიანმა. ასმეხუთედ ფინიშამდე  
მისვლა არ მხიბლავს.  
— საკმაოდ მიზანდასახული ად-  
ამიანი ყოფილხართ. მოდით, ცოტა  
უკან დავბრუნდეთ. როგორ მოხ-  
ვდით პრეზიდენტის პირად დაცვა-  
ში?  
— ბატონი ელუარდ შევარდნაძის დაცვა-  
ში მე ორჯერ მოხვდი: პირველად, თუ არ  
ვცდები, ეს 1981 წელს იყო. მაშინ დაცვა,  
დღევანდელთან შედარებით, შეიძლება ითქ-  
ვას, ცოტა ფორმალურ ხასიათს ატარებ-  
და. დაცვის სამსახური უშიშროებაში შე-  
დიოდა. უშიშროებიდან, სადაც ვმუშაობდი,  
ბატონი ელუარდის დაცვის სამსახურში  
მიმავლინეს, სადაც ოთხი თანამშრომელი  
დამხვდა.  
— თქვენ რა კრიტერიუმით შეგ-  
არჩიეს?  
— შემთხვევით უშიშროებაში არაფერი  
ხდება. გარკვეული კრიტერიუმები მაში-  
ნაც იყო, მე რომლით ამირჩიეს, არ ვიცი.  
მაგრამ კარგად ვიცი ის კრიტერიუმები,

რომლითაც მე ვირჩევდი დაცვის თანამ-  
შრომლებს შემდგომში: ამ კრიტერიუმებს  
შორისაა ფიზიკური მომზადება, მორალური  
მხარე, ინტელექტის დონე და სხვა.  
— რა ჩინით დაინწყეთ პირად  
დაცვაში სამსახური?  
— თუ არ ვცდები, მაშინ, 25-26 წლისა,  
უფროსი ლეიტენანტი ვიყავი.  
— მოგვიანებით, ბატონი ელუარ-  
დი მოსკოვში გადაიყვანეს. თქვენ  
გაპყვევით?  
— არა, ბატონი ელუარდის მოსკოვში  
გადაყვანის შემდეგ, მე კიდევ გარკვეული  
ხანი — დაახლოებით ოთხი თვე, დაცვის სამ-  
სახურში ვიყავი და ბატონი ჯუმბერ პა-  
ტიაშვილს ვიცავდი. მოგვიანებით კი, უშიშ-  
როებაში დაბრუნდი.  
— რა განსხვავებაა ამ ორ ად-  
ამიანს შორის?  
— ძალიან ბევრი. ორივენი ინდივიდუ-  
ალისტები და აბსოლუტურად განსხვავე-  
ბულები არიან. მე ვიტყვოდი, ისინი იმდენ-  
ად სხვადასხვანაირები არიან, რომ მათ  
საერთო, გარდა იმისა, რომ ორივე დიდი  
ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგ-  
ილზე მუშაობდა, საერთო, ფაქტობრივად,  
არაფერი აქვთ. იმას ვვულისხმობ, რომ  
მათი სამუშაო დღე ადრეიანი დილიდან  
გვიან საღამომდე გრძელდებოდა. საკმაოდ  
აქტიურები იყვნენ, ბევრს დადიოდნენ ქვე-  
ანაში და ძალიან ბევრი შეხვედრა ჰქონ-  
დათ — ხასიათები კი აბსოლუტურად  
განსხვავებული.  
— რომელთან უფრო გაიადვილდე-  
ბოდათ მუშაობა?  
— ჩვენ არ გვქონდა ისეთი დამოკიდე-  
ბულება, რომელიც გაადვილებასა თუ  
გართულებასზე საუბრის საშუალებას იძლე-  
ვა. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ბატონი ელ-  
უარდი, დაცვის წესების თვალსაზრისით,  
უფრო ჯიუტი იყო.  
— ეი. წესებს ხშირად არ იცავ-  
და?  
— კი, ზოგჯერ არ იცავდა. უფრო ჯიუ-  
ტი იყო.  
— პატიაშვილი კი უფრო დამთ-  
მობი, არა?  
— არა, დამთმობი არა. „უფრო ჯიუტი“  
ნიშნავს, რომ ისიც ჯიუტი იყო...  
— ბატონო ვასტანგ, მოსკოვში  
დაცვის სხვა თანამშრომლები გაპყვენენ  
ელუარდ შევარდნაძეს?  
— აქური დაცვიდან ორი თანამშრომე-  
ლი გაპყვა.  
— თქვენ რატომ არ გაპყვევით?  
— ამას ძალიან ბევრი მიზეზი ჰქონდა.  
— სურვილი თუ გქონდათ?  
— არა, სხვათა შორის, არ მქონია.  
— პიროვნების დაცვა, სპეციფიკური  
სამსახურია და პირადად მე ვფიქრობ  
— ვინმე რომ დაიცვა, მისდამი



**გარკვეული სიმპათიებიც უნდა გქონდეს...**

— ვფიქრობ, ეს საკითხისადმი არაპროფესიული, უფრო — ქართული გაგებით მიდგომაა. 1994 წელს, როდესაც მე უშიშროების მინისტრის მოადგილე ვიყავი და დაცვის სამსახური ყალიბდებოდა (მოგვიანებით ამ სამსახურის უფროსი ვიყავი), ამერიკელმა პროფესიონალმა, რომელიც ინსტრუქციებს გვაძლევდა, ფანტასტიკური ფრაზა თქვა. გვიყვებოდა: ვიცავდი ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული შტატების უფროსს და უხიაგი ხასიათის გამო, საოცრად ვერ ვიტანდი, თუმცა ორი წელი მომიწია მისი დაცვაო. მე მაშინ მას ამის მაგვარი კითხვა დავუსვი — ნუთუ ეს პრობლემებს არ გიქმნიდათ-მეთქი? და მან ასე მიპასუხა: მთელი ის ორი წელიწადი მასსოვდა, რომ მას ამერიკის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ეკისრა და ჩემთვის მთავარი იყო, დამეცვა ის პიროვნება, რომელიც ამერიკის უსაფრთხოებაზე ზრუნავდაო... მე ვთვლი, რომ ეს არის ყველაზე სწორი და პროფესიული მიდგომა საქმისადმი. თუ პირადი სიმპათიის თანხვედრაც მოხდა, მთლად უკეთესი.

**— თქვენს შემთხვევაში თუ მოხდა თანხვედრა?**

— მე სადაც მიმუშავია, ურთიერთობის პრობლემა არავისთან მქონია.

**— უნივერსიტეტში შესვენებისას, პრეზიდენტს საათი მართლა მოჰპარეს?**

— პრეზიდენტს ასეთი თვისება აქვს: გამოსვლისას საათს მოიხსნის ზოლმე ხელიდან და დროის გაკონტროლების მიზნით, მაგდაზე დებს. მაშინაც ასე მოიქცა. შესვენების დამთავრების შემდეგ კი, მას უბრალოდ, საათი კათედრაზე დარჩა. იმავე დღეს რექტორატის თანამშრომელმა (კონკრეტულად ვინ — აღარ მასსოვს) გადმოგვცა საათი.

**— ჩვენი ჟურნალის ნინა ნომერში, ტელეჟურნალისტ ნანა ლეჟავასთან გვექონდა ინტერვიუ, რომელმაც განაცხადა, რომ გია კრიალაშვილისა და კობა ოთანაძის ინციდენტთან დაკავშირებით თქვენ ის შეცდომაში შეიყვანეთ, როცა მათი გამოსვლა სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასეთ...**

— არა, მე ასე არ შემიფასებია, მაგრამ გადასარეგად მასსოვს, როგორც შეეფასე და ახლაც იმავე აზრის ვარ.

**— თუ შეიძლება, გაიმეორეთ?**

— მე მაშინ ვთქვი, რომ აქ საქმე გვაქვს გარკვეული პირების ან ჯგუფის მცდელობასთან, სახელმწიფო ჩათრიონ ახალ, მორიგ სამხედრო ავანტიურაში, რომ ამის უკან არიან გარკვეული ძალები, რომლებმაც არასოციალური მოტივით გააკეთეს ამ

ყოველივეს ინსპირირება და რომ ამ სამხედრო ავანტიურას შეიძლება ჰქონდეს ძალიან შორს მიმავალი მიზნები — კერძოდ, ხელისუფლების შეცვლა. ასეთი იყო ის განცხადება, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ, რეალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გვაკეთეთ.

**— ახლა თუ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა?**

— რა თქმა უნდა. უშიშროების სამინისტრომ არ შეიძლება იმ ინფორმაციის იგნორირება გააკეთოს და პრობლემა მიაჩუმათოს (თუმცა, ზოგჯერ ასეც არის საჭირო). მე ჩავთვალე, რომ არ უნდა მეთქვა და არც ვიტყვი — ეს გამოსვლა მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ, ასე ვთქვათ, ზეწარი არ იყო და ხელფასი არ ჰქონდათ სამხედროებისთვის დროულად გადახდილი-მეთქი.

**— ყველა ქალაქსა და რაიონში თუ ფუნქციონირებს თქვენი სამინისტროს ქვედანაყოფები?**

— ყველგან არა, მაგრამ უმეტესად — კი. რაოდენობის თვალსაზრისით, ეს ძალიან მცირე რიცხოვანი კოლექტივებია: ზოგ რაიონში სულ 2-3 თანამშრომელი, ზოგან კი — ერთი თანამშრომელიც კი გვყავს. კადრების გარდა, მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის პრობლემებიც გვაქვს.

**— ბატონო ვახტანგ, იმ თანამშრომელს, რომელიც მარტო მუშაობს რაიონში, რეალურად სომ მხოლოდ ინფორმატორის დატვირთვა აქვს?**

— არა. თუ ადამიანი მუშაობს, მან შეიძლება 20 და 30 კაციც შეცვალოს. თუ პროფესიონალს შეუძლია ზუსტად უზრუნველყოს და განახორციელოს თავისი პირდაპირი მოვალეობები (აგენტურულ მუშაობას ვეულისხმობ), ინფორმაციის მიღების პრობლემას ყოველთვის გადაჭრის. ერთ მუშაკს, რომელ რაიონშიც არ უნდა მუშაობდეს, ოცამდე აგენტი უნდა ჰყავდეს.

**— ეს აგენტები შეიძლება თანამდებობის პირებიც იყვნენ?**

— გააჩნია, რას გულისხმობთ თანამდებობაში. ეს საკმაოდ ტყვედი ტერმინია...

**— თუნდაც გამგებელს.**

— არა, აქ რაღაც განსაზღვრულ დონეზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ გარკვეული თანამდებობა ყველა აგენტს უკავია.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენი პასუხიდან გამომდინარე, თქვენ აგენტები პანკისის ხეობაშიც უნდა გყავდეთ და რეალურ სურათსაც უნდა ხედავდეთ. დამამშვიდებელი მდგომარეობაა იქ?**


— დამამშვიდებელი ვერანაირად ვერ იქნება. იქ არსებულ რეალურ მდგომარეობაზე მე არაერთხელ მილაპარაკია და ამ თემაზე ჩემი ძალიან დიდი ინტერვიუ ახლახან დაიბეჭდა გაზეთ *Свободная Грузия*-

ში. მთავარი კითხვები, კი რომელიც გვაწუნებს და მასზე პასუხები შეიძლება ასე ჩამოვაცალიოთ: არის თუ არა იქ ხალხი, რომელიც ჩენეთში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა? დიახ, არის! არიან თუ არა იქ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელები? დიახ, არიან, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირეა და ჩვენ ვატარებთ გეგმაზომიერ მუშაობას, რომ მათი რიცხვი კიდევ უფრო შემცირდეს.

**— ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან ის სახლი იცის, სადაც გატაცებული დეპუტატი პეტრე ცისკარიშვილი ჰყავდათ დატყვევებული. თქვენ თუ გაქვთ ასეთი ინფორმაცია? თუ გაქვთ — ბუნებრივია ვფიქრობ, რომ ეჭვის დონეზე მაინც პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფიც არის თქვენთვის ცნობილი, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა.**

— იცით, მე არ მინდა კომენტარის გაკეთება ასეთ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ საოცარია, როცა ჩვენსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყვანილ ადამიანზე, სხვა მინისტრი გვეუბნება — მე ვიცი, რომელი სახლიდან გამოიყვანესო... მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ეს მას ვერანაირად ვერ ეცოდინება. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რა ვიცით ჩვენ: ვიცით ის ადგილი, სადაც ჰყავდათ დატყვევებულები და გარკვეულწილად, ვიცით ის წრე, რომელიც ამ გატაცებაში მონაწილეობდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენი მხრიდან კიდევ მიმდინარეობს ოპერატიული ძიება, მაგრამ თქვენ ძალიან ლოგიკურად სვამთ კითხვებს და ახლა მე დავისვამთ რამდენიმე ლოგიკურ კითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა ალბათ არც ისე მარტივია: პანკისის ხეობაში შეიძლება ვიცოდეთ სახლი, შეიძლება ვიცოდეთ

**მეუღლესთან ერთად**







ქალბაგონი ნანა დანელია და უმცროსი ვაჟი ღავითი

პირთა ჯგუფი, მაგრამ რამდენად რეალურად მიგანჩიან, რაიმე ძალისმიერი ოპერაცია რომ ჩავატაროთ? ასეთ ოპერაციას ხომ მომზადებაც უნდა და გადაწყვეტაც. გადაწყვეტაში მე რაღაცის ძალით ალებას ვგულისხმობ. ხალხი, ვინც იქ არის, წინააღმდეგობას ხომ გაგვიწევს? დღეს-დღეობით კი, პანკისი სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების პოლიგონად არის გადაქცეული და ამ სპეცსამსახურებს იქ არა მარტო ყურები, არამედ თვალიცა და ხელიც აქვთ დატოვებული. ახლა კი, როდესაც ჩვენ გვემინია იმისა, რომ ჩვენთვის კონფლიქტის გადმოტანა არ მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე, იმით ტრაბახი — მე ვიცი, ის სახლი სად არის და რატომ არავინ არაფერს აკეთებსო — არ შეიძლება. ცოტათი იმ სახლის მიღმაც უნდა გავიხედოთ... როცა საუბარია ბლოკ-პოსტებზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მოწყობას ჰქონდა თავისი რეალური აზრიცა და მიზანიც, რომელიც ბლოკპოსტებმა შეასრულეს. მაგრამ ამის შემდეგ მეორე პრობლემა დაგვიდგა, რომელიც კრიმინალებს ეხება: პანკისის ხეობიდან გამოსული კრიმინალები (პანკისელი ქისტები) დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითადი ორგანიზატორები არიან. მათთან ერთად მოქმედებენ ქართველები, ჩეჩნები და სხვა ეროვნების ადამიანებიც, ისინი ჩვეულებრივი კრიმინალები არიან და არანაირად არ არიან დაკავშირებული ლტოლვილების თემასთან. ამ ორ საკითხს ნუ ავურევთ ერთმანეთში. ბლოკპოსტების შემდეგ, ახალი ნაბიჯებია გადასადგმელი, რომელსაც ნაწილობრივ ჩვენ, შინაგან საქმეთა სამინ-

ისტრო და პროკურატურაც ახორციელებენ. აი, დადგება დრო — მე ამას თქვენ წინასწარ გუბნებით, — როდესაც დღის წესრიგში ამ კრიმინალური ელემენტების ალაგმვა მოხდება, მაგრამ ამას მომზადება სჭირდება. ასე რომ, მე სახლი ვიცი, შევიდეთ პანკისის ხეობაში იარაღით და იქ ოპერაცია ჩავატაროთ — ასე მოქმედება არ შეიძლება. ასეთი მოქმედება ამ ეტაპზე დიდ დაძაბულობას გამოიწვევს.

**— კი მაგრამ, ეს დრო როდის დადგება, მანამდე ხომ ადამიანებს იტაცებენ?**

— ჩვენ, კერძოდ, სამართალდამცავებმა, უნდა ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე იქ რაღაც ძალისმიერი ოპერაცია უარესი იქნება საქართველოსთვის, ვიდრე (სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ) გინდ ერთი და გინდაც ათი მოქალაქის გატაცება. რით უნდა მოველოს ამას? ოპერატიულ-პროფილაქტიკური საქმიანობით — არა მარტო პანკისის ხეობაში, არამედ თბილისშიც. არც ერთი გატაცება არ მომხდარა თბილისელ კრიმინალებთან კონტაქტისა და მათთან ურთიერთქმედების გარეშე. ეს გატაცებები მარტო პანკისით არ არის გამოწვეული: მოქმედებს სოციალური ფონიც. დანაშაუმი ელემენტებიდან ბევრი, შეწყალებით გათავისუფლებული ისევ კრიმინალურ გზას დაადგა, რაც გარკვეულად ძაბავს კრიმინალურ სიტუაციას. ჩვენ პანკისზე აბსოლუტური ინფორმაცია გვაქვს, მაგრამ ამ ინფორმაციის ადეკვატური მოქმედების საშუალება, მრავალი სპეციფიკური მიმენტის გამო, არ არის.

**— დაფინანსება როგორი გავით?**

— ზოგადად რომ ვთქვა, დაფინანსება ხდება საზიზღრად. მე ვთვლი, რომ უშიშროების სამინისტრო ასეთი თანხებით არ უნდა ფინანსდებოდეს... დამტკიცებული და შემდეგ სეკვესტრირებული ბიუჯეტიდან ხელფასებს თითქმის ნორმალურად ვლებულობთ.

**— როგორი ხელფასებია თქვენს სისტემაში?**

— ოპერატიული მუშაკის ხელფასი 100-120 ლარია, მე ამ თანხაზე თითქმის სამჯერ მეტს ვლებულობ.

**— ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრები ასეთი ხელფასებით როგორ უნდა მიიზიდოთ?**

— მატერიალური სტიმულის თვალსაზრისით, საუკეთესო ახალგაზრდებს ამჟამად აქ ვერანაირად ვერ მოვიზიდავთ. მაგრამ ერთი საინტერესო მომენტია. ზოგადი შედარების მაგალითით ავიხსნით. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლფჯის ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული თუ გადაწყვეტს, თავისი ბედი სპეცსამსახურს დაუკავშიროს, მას

წვალბა გაცილებით მეტი, ხელფასი კი — გაცილებით დაბალი ექნება, ვიდრე იმ სპეციალისტს, რომელიც თუნდაც კერძო პრაქტიკას მოჰკიდებს ხელს. მიუხედავად ამისა, გამოჩნდებიან ხოლმე ფანატიკოსები, რომლებიც სპეცსამსახურში მუშაობას ირჩევენ. ასეთი ფანატიკოსები ჩვენთანაც არსებობენ და მე ვიტყვი, რომ ასეთი ფანატიკოსებზე დგას საერთოდ, ყველა სახელმწიფო სამსახური.

**— სპეცრაზმი თუ გყავთ?**

— დიახ, ჩვენ გვყავს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც უშუალოდ მინისტრს ექვემდებარება. რიცხოვნობით, ადრე რომ სპეცრაზმი იყო — „ომეგა“, იქ 50 სპეცრაზმელი იყო — ახლა იმაზე მეტია და საკმაოდ კარგად მომზადებულები არიან. მე ვთვლი, რომ ჩვენს რეგიონში ამ დონეზე მომზადებული ხალხი სხვაგან არც არის.

**— ბატონო ვახტანგ, პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას ი აგენტები მართლა არიან?**

— ჩვენ აქ უნდა გავმიჯნოთ — რას ნიშნავს აგენტი და რა ტიპის აგენტზე ვლაპარაკობთ. თუ ამა თუ იმ სპეცსამსახურის აგენტი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას ეწევა, მისი გამოვლენისა და პასუხისმგებლობის საკითხი კანონით არის განსაზღვრული. აქ სხვა რამ არის დასადგენი. 10 წლის წინ ასეთი პრობლემა დადგა: რა ვუყოთ იმ ხალხს, ვინც საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან (უშიშროების კომიტეტთან) თანამშრომლობდა? დიდი დებატები იყო: მე მაშინვე ვთქვი — უნდა განვსაზღვროთ, რა გვინდა: თუ გვინდა, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არ მოხვდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან ურთიერთობით კომპრომეტირებული ადამიანები, ჩვენ (უშიშროების სამინისტრო) ასეთი პროცესის მომხრენი ვართ...

**— ბატონო ვახტანგ, ერთი კონკრეტული შეკითხვა მინდა დაგისვამო და გთხოვთ, კონკრეტული პასუხი გამცეთ. ასეთები არიან პარლამენტში?**

— არიან.

**— ბევრნი არიან?**





— ეგ მეორე კითხვაა... თუმცა, გეტყვით, რომ ასეთები აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც არიან...

— ისევ თქვენს პიროვნებას დავუბრუნდეთ. ოჯახის ბიუჯეტს ძირითადად, ალბათ თქვენ ავსებთ.

— კი, ოჯახის ბიუჯეტს ძირითადად, მე ვავსებ, თუმცა, ჩემს მეუღლეს — ნანა დანელიასაც თავისი წვლილი შეაქვს.

— რა პროფესიისაა ქალბატონი ნანა?

— ავტომატიზაციის სპეციალისტია, თუმცა ამ პროფესიით არ მუშაობს. ამჟამად უმუშევარია, მაგრამ ერთ-ერთი შპს-ს მეწილეა.

— სანარმოა?

— არა. ამ შპს-ს სახელი არ მასხენდება, მაგრამ გეტყვით, რომ ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარეობს და მასში კაფეც შედის და რესტორანიც... ეს საწარმო მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა 1994 თუ 1995 წელს შევიძინეთ, მოგვიანებით კი, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ჩემი წილი მეუღლეს გადავბარე.

— თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?

— 45-ის, მეუღლეც ჩემი ტოლია, ერთად კი 23 წელია ვართ.

— ე.ი. საკმაოდ ახალგაზრდები ბრძანდებოდით, ოჯახი რომ შექმენით. თუ შეგიძლიათ, ოჯახზე ცოტა მეტი რომ გვითხრა?

— რა გითხრა? მე და ჩემი მეუღლე ერთად ვსწავლობდით და ამან განაპირობა ჩვენი ოჯახის შექმნა. მყავს სამი შვილი: უფროსი, გოგონაა — მარიკა, რომლისგანაც შვილიშვილი — ვახტანგი შემეძინა. მისი მომდევნო — ვივიკო 20 წლისაა და იურიდიულზე სწავლობს. უმცროსი ვაჟი — დავითი კი, ჯერ მხოლოდ 11 წლისაა.

— თქვენ რომელი გავით ყველაზე მეტად?

— რა ვიცი, ალბათ სამივეს აქვს რაღაც ჩემი... გოგო ხელოვნებათმცოდნეობაზე სწავლობს და ვფიქრობ, პროფესიის შერჩევასაც, მასზე იმანაც იმოქმედა, რომ მე თვითონ ძალიან მიყვარს ხელოვნება. მხატვრობა ჩემი ჰობია.

— თქვენ თვითონ თუ ხატავთ?

— არა, მე უბრალოდ, მიყვარს მხატვრობა. საკმაოდ კარგი კოლექციაც მაქვს და მხატვრებს შორის საკმაოდ დიდი ნაცნობობის წრეც.

— კითხვა, რომელიც აუცილებლად უნდა დაგისვათ: საირმის გორაზე სახლი თქვენი დანაზოგით შეიძინეთ?

— საირმის გორა ასეთი რომ გავხდა, ჩემი „დანაშაულები“: მე პირველი დავსახლდი იქ და ერთ-ერთმა პირველმა ავაშენე სახლი.

— ეს როგორ?



მინისტრი რომ გაეხდი, სახლი უკვე აშენებული მქონდა

— ძალიან მოკლედ რომ გითხრა, მინისტრი რომ გაეხდი, სახლი უკვე აშენებული მქონდა. ახლა კი გეტყვით, რით ავაშენე.

— თუ შეიძლება, გულწრფელად...

— აბსოლუტურად გულწრფელად. ჩემი დედ-მამა მთელი ცხოვრება მუშაობდა, მათთან ერთად მეც. გვექონდა საკმაოდ დიდი ბინა და, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხაც. საირმეზე, მამაჩემის მიერ აღებული ნაკვეთის გვერდით, ასეთივე ნაკვეთი ჰქონდა ჩემს მეგობარს. მან სახლის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში ბინის პრობლემა შეექმნა. ჩემი ბინა დავუთმე, სამაგიეროდ, მიწის ნაკვეთი, რომელშიც მშენებარე სახლის საძირკველი იყო მხოლოდ ჩაყრილი, გადამოვიფორმე. ჩვენი ბინა მას დავუტოვე. მის ნაკვეთში სახლი ავაშენე და მამაჩემის მიერ აღებული მიწაც მივუერთე. ქონებრივი დეკლარაციები 1998 წელს შემიძღეს, როცა მე მინისტრი ვხდებოდი. მაშინვე ჩავწერე, რომ მაქვს საირმეზე 240 ათას ლარად შეფასებული სახლი.

— ვისი დიზაინით აშენდა თქვენი სახლი?

— ჩემი დიზაინით, თუმცა, ჩემი არქიტექტორი მეგობარიც დამეხმარა.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ დილაობით იპოდრომზე დარბიხართ. როგორც მოქალაქეს, რა გრძნობა გიჩნდებათ, როცა ზემოდან უზარმაზარი სახლები გადმოგყურებთ?

— მე უგემოვნობის მიმართ მიჩნდება პროტესტის გრძნობა...

— ეს ერთადერთი სახლი გაქვთ?

— მამაჩემის ერთოთახიანი ბინაც გვაქვს საბურთალოზე, რომელსაც გაყიდვას ვუპირებ. აგარაკი არა მაქვს. თუმცა, მაქვს ნაკვეთი საგურამოში, რომელიც, სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტი-

ტუტის რექტორის დახმარებით, დიდი ხნის წინ მივიღე. მშენებლობის თავი ჯერ არ მაქვს. მამაჩემი მშენებელი იყო და საჩხერის რაიონში, ყვითელი ქვიშა რომ არის, იმის საწარმოს აქციები ჰქონდა. ის აქციები შარშან გაყიდეთ 25 ათას დოლარად.

— ვინ იყო ის ბედნიერი ადამიანი, უშიშროების მინისტრისგან მამამისის აქციები რომ იყიდა?

— მეგობრის ნათესავია, გვარად კოტეტიშვილი. მას საზღვარგარეთ აქვს ბიზნესი.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ ისეთი პროფესიის კაცი ბრძანდებით, რომ ყველას ეჭვის თვალით უნდა უყურებდეთ. ისეთი მეგობარი ან მეგობრები თუ გყავთ, თვალდასუფული რომ ენდობით?

— მყავს.

— ბევრი?

— ბევრი.

— რამდენიმე მაინც დამისახელო და დანარჩენებს რომ არ ეწყინოთ, მე გაგანყვეტინებთ...

— ...კარგით... თემურ ქერხული (ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი), დავით სულაძე (ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი), ზურაბ ბიბილეიშვილი (ყოფილი ვიცე-მერი), მერაბ ადღიშვილი (ტრანსპორტის მინისტრი), მერაბ ბოხუა (ექიმი, აკადემიკოსი), გოგი გველესიანი...


— ბატონო ვახტანგ, ისეთი რამის თქმა თუ გინდათ, რის შესახებაც არ მიკითხავს?

— ყველა ადამიანი და მათ შორის, თქვენი მკითხველიც ისე უნდა მოიქცეს, როგორც სურს, მას რომ მოეცენ. ამ ქვეყანაზე არაფერი — არც კარგი და არც ცუდი, არ იკარგება. და იმის რწმენით უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ ღმერთი ორივეს მკეთებელს იპოვის...



# სახალი გოგონაიშვილი ამერიკაში მშუღვანს არ ასახვენ

უკვე 4 კვირაა, „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „60 წუთი“ აღარ გასულა. რა ხდება? ნუთუ მართალია ქორები იმის შესახებ, რომ „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაცია რთული არჩევანის წინაშე დააყენეს — ან შელეოდნენ „60 წუთს“ ან მთლიანად ტელეკომპანიას. ნუთუ ეროსი კინშარიშვილს — „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს „ძველი საქმეები მართლა ამოუქექეს“ და „60 წუთი“ „ძალოვნებისა და „ნითელი ინტელიგენციის“ გაერთიანებული შანტაჟის მსხვერპლი გახდა“?



## ნანა ქიბიშაური

ამას დრო გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი, გადაცემის წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ ისინი სახელმწიფოს პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ. იმ არადემოკრატიული სახელმწიფოს პირისპირ, რომელიც თავისუფალ მასმედიას ღებნის. „სწორედ სახელმწიფო მოხელეების ნათქვამს დაუდებს საქართველოს ტელევიზიის I არხი, რომლის ეთერიდანაც ისმის შეკითხვა — სად არის ეკლესია, რატომ არ იძალდებს ხმას ეშმაკულებისა და სატანისტების წინააღმდეგო... და ამ ეშმაკულებში სწორედ „60 წუთის“ ჟურნალისტებს გულისხმობს“, — ამბობს აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელიც კვირას თავის ბოლო გადაცემას შემოგვთავაზებს და შემდეგ ამერიკაში გაემგზავრება.

— აკაკი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ და თქვენთან ერთად, „60 წუთის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეთ.

— ამის შესახებ ჩვენი ჟურნალისტების

ვიწრო წრეში იყო საუბარი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩავეტარებინა პოლიტიკური აქცია, სადაც „60 წუთის“ ჟურნალისტები პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნის შესახებაც გაგაკეთებდით განცხადებას, მაგრამ ეს არ განვახორციელებთ, რადგან ჩვენ მხოლოდ სახელმწიფო მოხელეები და კორუმპირებული ხალხი გვიპირისპირდება და არა საკუთარი ხალხი. საქართველოში მხოლოდ მაშინ არ დაგვედგომება, როდესაც საზოგადოების აზრი შეიცვლება ჩვენს საწინააღმდეგოდ, ჯერჯერობით კი, ეს ასე არ არის.

— რა არის იმის რეალური მიზეზი, რომ „60 წუთი“ დაიხურა? მაინც ვისზე მოხდა ზენოლა — გოგიჩაიშვილზე თუ „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაციაზე?

— ზენოლა იყო როგორც გოგიჩაიშვილზე, ასევე „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაციაზე, მაგრამ „60 წუთის“ შემოქმედებითი ჯგუფი არ დაშლილა და შესაბამისად, არც გადაცემა დასურულა. უბრალოდ, მივხვდით იმას, რომ რაღაც უნდა შეცვალოთ. ეს უფრო აშკარა გახდა დღეს, როდესაც თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტანციამ, „წითელმა ინტელიგენციამ“, უშიშროებისა და შს სამინისტროებმა „60 წუთის“ წინააღმდეგ ერთობლივად შეკრეს პირი და ჩვენ მთლიანი სახელმწიფო მანქანა დაგვიპირისპირდა. არხის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ამ მიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში, „60 წუთის“ ჯგუფმა დაისვენოს ერთი თვით და ამავე პერიოდში მოგვეცემა საშუალება, გავაანალიზოთ, ზუსტად ვინ გვიპირისპირდება და რა გზებით. ჩვენი ჯგუფის აზრი იყო, უმჯობესია, დავასრულოთ მუშაობა მიმდინარე თემაზე, რომელიც გენერალურ პროკურატურაში არსებულ განუკითხაობას ეხება, და ამის შემდეგ აჯობებს დასვენება, რაზეც არხის ხელმძღვანელი ეროსი კინშარიშვილი დაგვეთანხმდა. „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაცია ამბობს,

რომ ეს არ არის დათმობა, ეს არის სტრატეგიული მანევრი და „რუსთავი 2“-ის ეთერში აგვისტოდან ისევ გავა ეთერში „60 წუთი“. ეს გადაცემა უკვე 2 წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში პირველად გამიჩნდა ეჭვი: თუ იმას, რასაც მე ვაკეთებ, არანაირი შედეგი არ მოჰყვება, ვისთვის იქნება საჭირო? ჩემთან მოდის ხალხი, ვისაც უსამართლოდ მოექცნენ. მე მათ მასალებზე დაყრდნობით, ვაკეთებ გადაცემას, შემდეგ კი, იმ ხალხს, ვისაც ვესარჩლები, უფრო მეტ პრობლემას უქმნიან და მე არ ძალიან მათი დაცვა. აი, ყველაფერი ის, რაც მაწუხებს. ძალიან დავიბენი. გადავწყვიტე, წავიდე ამერიკაში და იქ ჩემს კოლეგებს ვკითხო რჩევა — ისინი როგორ იქცევიან ასეთ სიტუაციაში.

— მარტო მიდიხართ თუ მუულებს მიგყავთ?

— სამწუხაროდ, მარტო მივდივარ, თუმცა, ჩემს მუულებს ნინო ხაჭომას ჩემთან ერთად წამოსვლის დიდი სურვილი აქვს. ეს არაფერით არ დაუშვებს: ფიქრობენ, ცოლი და ქმარი ერთად რომ წავიდნენ, შეიძლება აღარ დაბრუნდნენ და ა.შ. მოკლედ, არ გვენდობიან.

— როგორც ვიცი, ნინო ამერიკაში, სწავლის პერიოდში გაიცანით.

— გავიცანი მაშინ, როდესაც ამერიკაში „კურიერისთვის“ ვმუშაობდი და ნატოს სამიტის შეხვედრას ვაშუქებდი. ნინო მაშინ სტუდენტი იყო და ვთხოვე, როდესაც საქართველოში დაბრუნდებოდა, ჩვენს ტელევიზიაში მოსულიყო. მართლაც, მოვიდა. მან ძალიან სწრაფად აითვისა ჩვენი მუშაობის სტილი. ერთმანეთთან ჯერ მხოლოდ პროფესია გვაკავშირებდა, შემდეგ კი გრძნობა გაჩნდა. დავქორწინდით. რაღაც კონტრაქტის მაგვარივით გვაქვს: არასოდეს არ ვლაპარაკობთ სამსახურში ოჯახზე და, პირიქით, ოჯახში სამსახურზე.

— როგორც თქვენ აცხადებთ,





უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა მუქარის ზარები. ოჯახის წევრები ალბათ მაინც ნერვიულობენ?

— ოჯახში ასეთი ზარების მიმართ არაადეკვატური მოსაზრებები არსებობს. ერთხელ დედაჩემს ვათხოვე ჩემი მობილური ტელეფონი და ზუსტად მაშინ მოუწოდებდათ დარეკვა: „ამოგზოცავთ, გაგანადგურებთ!“ დაშეთანხმებით, დედისთვის ამის მოსმენა არ არის ადვილი, მაგრამ მოუხედავად ამისა, ჩემს ოჯახს არასოდეს უთქვამს ჩემთვის — სიმართლის თქმა არ ღირსო! ნინომ კი, ზედმიწევნით იცის ჟურნალისტური გამოძიების თანმდევი მოვლენები და ასეთ ზარებს უფრო მშვიდად ხვდება ხოლმე. ჩვენ ხომ მათ ვუპირისპირდებით, ვისაც ფული და ძალაუფლება აქვს. ისინი კი, ზეწოლისთვის სერიოზულ ბერკეტებს ფლობენ და სარგებლობენ კიდევ ამით, რაც მედიაზე ძალალობითაც გამოიხატება. პირადად მე, არც ერთი მუქარის შემდეგ არ გამჩენია შიშის გრძნობა. ერთადერთი, რაც გადაცემის შემდეგ მაწუხებს ხოლმე, არის უმწეობის შეგრძნება: ვაკეთებ ყველაფერს, რასაც ჟურნალისტი უნდა აკეთებდეს, მაგრამ შედეგი? შედეგი არ ჩანს! რისთვის ჩავყარე მეგობრები ამ დღეში? რა მოელის ასლა იმ კაცს, ვისაც გამოვესარჩლე და ა.შ. — აი, ამ კითხვებმა მიმიყვანა იქამდე, რომ არჩეული გზიდან გადავუსვვი და გადაცემის დროებით შეჩერებაზე დავთანხმდი „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაციას.

— ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობენ „60 წუთში“ შეკვეთილი გადაცემების შესახებ, იმასაც ამბობენ, სპეცსამსახურების დახმარე-



„60 წუთის“ ჯგუფი

ბის გარეშე, ასეთი ინფორმაციების მოპოვება საქართველოში, ფაქტობრივად, შეუძლებელია...

— ნეტავი მართლაც ასე იყოს, რომ ვილაც, მზამზარეულ ინფორმაციას გვაწვდიდეს. თითოეული ფაქტის, დოკუმენტისა და პიროვნების მოძიება, იცით, რამდენი ენერჯის ფასად გვიჯდება? ჩვენი კოლეგები კი, რომლებიც ამბობენ, რომ სპეცსამსახურები გვაწვდიან მასალებს, უბრალოდ, თავს იმართლებენ — იმიტომ, რომ თვითონ, პირობების არქონის გამო, ვერ ასერხებენ ასეთი მასალების მოძიებას. ეს ინფორმაცია გარკვეულწილად, შს და უშიშროების სამსახურების მიერ ჩვენი მისამართით გავრცელებული ჭორების შედეგად არის. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრი ჩვენს საწინააღმდეგოდ შემობარუნონ, რადგან ხვდებიან, რომ

ჩვენი „ზურგი“, ფული და ძალაუფლება კი არა, ხალხია, ვის ინტერესებსაც ვიცავთ. ჩვენს არქივში ძალიან ბევრი წერილია. წერილი კი არა, მე ამას ხალხის ცრემლებს დავარქმევდი. მოვიდეს ნებისმიერი ჟურნალისტი და მზად ვარ, ჟურნალისტური გამოძიებისთვის ეს წერილები გადავცე. მაგრამ რატომღაც, ამის სურველი არავის აქვს. არადა, თანმდევი პრობლემების მოხედავად (რაც ჟურნალისტს მხოლოდ არადემოკრატიულ ქვეყანაში შეიძლება შეხედეს), ჟურნალისტური გამოძიება არის ჟანრი, რომელიც ქართულ მასმედიას უთუოდ სჭირდება. იმედი მაქვს, აგვისტოში, როდესაც საქართველოში დავბრუნდები, უკვე ჩამოვყალიბდებით და „60 წუთში“ ჩვენს მაყურებელს ჟურნალისტური გამოძიების ახალ მასალებს ახლებურად შევთავაზებთ...



# გურუბხყვირო ჰიგმიეხი

ეს კურიოზული შემთხვევა ტაილანდის პარლამენტში მოხდა. სენატორმა ჩაოვარინ ლატასაქსირიმ განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელმა ოკუპანტებმა მათ მიერ მითვისებული დიდძალი ოქრო ერთ-ერთ უზარმაზარ გამოქვაბულში გადაამალეს. მისი ცნობით, ვაგონებში მოთავსებული 50 მლრდ ღირებულების ძვირფასი ლითონი იყო. პრემიერ-მინისტრმა ტაქსინ ჩინავატმა ამის გაგონებისას უმაღლესი შეცვალა თავისი დაძაბული საქმიანი განრიგი და აღნიშნულ ადგილას გაემგზავრა, რათა

თავად აღმოეჩინა განძი. მისმა ეკონომისტებმა კი სასწრაფოდ დაიანგარიშეს, რომ აღნიშნული თანხით ქვეყანა სახელმწიფო ვალის დაფარვასაც მოახერხებდა და ეკონომიკური აყვავების გზასაც დაადგებოდა. ყველაფერი მართლაც ასე საუცხოოდ წარიმართებოდა, ოქრო რომ ეპოვათ, მაგრამ საქმე მხოლოდ კურიოზით შემოიფარგლა. გულუბრყვილო პრემიერმა კი ასე იმართლა თავი: „როგორც მთავრობის ხელმძღვანელი, ვალდებული ვიყავი, თავად შემემოწმებინა მიღებული ინფორმაცია“...

## მსოფლიოში პირველი

მსოფლიოში პირველი „სასუნთქი“ ბარი გაიხსნა ბანგოკში, სადაც სულ ოთხიოდე დღეა, 20 წუთის მანძილზე შეიძლება კვებოფილტვები ჟანგბადითა და გრილი ჰაერით, თან სასიამოვნო მუსიკასაც უსმინო და გამაგრილებელი სასმელიც დააყოლო სუფთა ჰაერის ულუფას. „ადამიანები აქ სიცხეს, ზმაურსა და, რაც მთავარია, ქურის შხამს აარიდებენ მცირე ხნით მაინც თავს“, — ამბობს ორიგინალური ბარის მეპატრონე, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ ბევრი კლიენტი ეყოლება: როგორც ცნობილია, ბანგოკი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ქალაქის ხუთეულში შედის.



იცით, რა არის „ტუ-ტუ-ტუ-ტუ“? აბა საიდან გეცოდინებთ, თუ ტაილანდში არ გიმოგზაურიათ? არ გაგანვალებთ და აქვე გაცნობებთ: ტაილანდელები „ტუ-ტუ-ტუ-ტუ“ სამთვლიან მოტოციკლეტს უწოდებენ, რომელიც იქ ტაქსის ფუნქციას ასრულებს.

ამ რამდენიმე დღის წინ, სწორედ ამ „ტუ-ტუ-ტუ-ტუ“ ამხედრებული დაქროდა ტაილანდის ქუჩებში საყოველთაოდ ცნობილი მკურნალი — ბიჭიკო ასკურავა. ყოველი ქუჩის მოსახვევში კი, მაცდურად უღიმოდნენ მომხიბლავი შავტუხა გოგონები და თავიანთი უღურტულა ენით, ცნობილი ტაილანდური მასაჟის გასაკეთებლად იწვევდნენ.

ბატონი ბიჭიკო „პატარა ბიჭიკო“ ხომ არ აცმუკდებოდა. მან თავისი ასაკისთვის შესაფერისი სიღარიბისლითა და ქართული არისტოკრატიზმით, ღირსეულად გაუძლო ყველა საცდურს და თავის ქვეყანას, ოჯახსა და ავადმყოფებს პირნათელი დაუბრუნდა.

თუმცა, „ჯვარედინი დაკითხვისას“ გაირკვა, რომ ბატონ ბიჭიკოს წამოსვლის წინ მაინც ვერ მოუთმინა გულმა და ტაილანდური მასაჟის ცნობილ დიდოსტატებს,

პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, მაინც შეუარა. გოგონებმა დიდი მონდომების მიუხედავად, ვერაფრით აღაფრთოვანეს კავკასიელი ტურისტი. ბოლოს, ბატონ ბიჭიკოს უთქვამს: აბა, ახლა თქვენ დაწეით და მე გასწავლით, როგორ უნდა ნამდვილი მასაჟის გაკეთებაო. აღარ უშვებდნენ თურმე: სანამ კარგად არ ავითვისებთ, მანამდე ნუ დაგეტოვებთ, ძვირფასო მასწავლებელო!


— ეხვეწებოდნენ, მაგრამ როდესაც მიხვდნენ, მასწავლებელი იქ დამრჩენ კაცს არ ჰგავდა, თავი დაანებეს და სამახსოვრო ფოტოსურათების გადაღებითა და კმაყოფილდნენ.



მონარქის სასახლე

ბიჭიკო ასკურავა:

ჯექეტორი ქეთიქორი ოხმუნქის მსმი



ნანა ქიბიშაური

— ბატონო ბიჭიკო, არ მოგწონებიათ ტაილანდური მასაჟი, არადა, თქვენს მეგობრებს მოლად თეთრი შურით არ შურდათ თქვენი...

— ღიას, მეგობრებსაც ვუთხარი და თქვენთანაც ვავიქორებ: ტაილანდურ მასაჟში არაფერია განსაკუთრებული. მათზე უკეთესად ეს საქმე აგერ, ჩვენი ჭრელი აბანოს მექისემაც კი იცის. ჩემი უკმაყოფილება ჯერ იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ იქ მასაჟს შხაპის მიღების გარეშე იწყებენ. ფაქტობრივად, ეხებიან ყოველ წერტილს და სახსარს, მაგრამ ისე, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ წუთიერი ეფექტი მოაქვს. მათმა ხელებმა შთაბეჭდილება შეიძლება მხოლოდ იმ ტურისტზე მოახდინოს, ვინც პირველად იკეთებს მასაჟს. არადა, ტაილანდი პირველ რიგში,

როგორც მასაჟის ქვეყანა, ისეა ცნობილი. როგორც ჩვენთან არის ყოველ ფეხის ნაბიჯზე სავაჭრო ჯინსურები, სწორედ ასე საკურორტო ქალაქ პოტაიაშიც მასაჟის ქოხები ჩამწკრივებული. ისინი ტურისტებისთვის ფულის მახეს წარმოადგენს: მომსახურება 20 დოლარი ღირს. ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა, ამიტომ, მასაჟი ტაილანდში ყველამ იცის — სპილომაც კი!..

— სპილომ?!

— კი. ტაილანდელებს ამისთვის საგანგებოდ გაწვრთნილი სპილოები ჰყავთ. შეგიძლია დაწვე ქუჩაში და რამდენიმე წუთი მოიცადო: სად არის და სად არა, სპილოც გამოჩნდება. მოვადგება ამხელა მასა და ფეხით ისე ნაზად გაგიკეთებს ჭიპზე მასაჟს, რომ საკუთარ თვალებს არ დაუჯერებ.

— ახლა არ მითხრათ, რომ თქვენც დაუწეით სპილოს.



— აბა რა! ამას როგორ გამოვტოვებდი?! ავერ ნივთმტკიცებაც მაქვს — ფოტოსურათების სახით.

— საშიში არ იყო?

— როგორ გითხრათ, მთლად დაზღვეული მაინც არ არის ადამიანი. მე, მაგალითად, ეტყობა ძალიან მოვეწონე. მასაჟის შემდეგ ხორთუშით ამიტაცა და ისე მიმიხუტა, რომ მისი მოხერხილი ეშვი, პირდაპირ ნეკნზე მომბეჭინა. ტკივილისგან სუნთქვა შემიკრა. დროზე რომ არ დავეხვი, ცუდად იყო ჩემი საქმე.

— მოგტყდებოდათ რამე და... დიდი ამბავი... თუმცა, რა იცოდა სპილომ, ვისთან ჰქონდა საქმე — თქვენ ხომ „ძვლების ექიმი“ ხართ, მოტენილობის საუკეთესო სპეციალისტი...

— დიას, მეგობრები ხუმრობით „ძვლების კირითხუროს“ მეძახიან, მაგრამ სპილოსთან რას გავხდებოდი? ბევრიც მეყვირა — ასკურავა ვარ, სპილო, გამანებე თავი-მეთქი, ვითომ გამომივიდოდა რამე? ასე რომ, ისევ უხმოდ ვარჩიე ტკივილის ატანა.

— გამიგია, რომ იქ ცხოველები, რომელთაც ხალხთან უნევთ კონტაქტი, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ჰყავთ. ნარკომანი სპილოს მიერ დამტყვევული კაცი მთლად ადვილი მოსარჩენი არ უნდა იყოს...

— სიმართლე გითხრათ, სპილოსს ვერ შევატყვევ, მაგრამ ნიანგები და ვეფხვები აშკარად „კაიფში“ იყვნენ.

— ლოკოკინებისა და ტარაკნებისაგან მომზადებული ნუგზარ-ნუგზარცი ბლომად იქნებოდა. თქვენ, როგორც სტუმარს, ალბათ ყველაზე მსუქნებს გთავაზობდნენ?

— კი მთავაზობდნენ, მაგრამ სვლიკებსა და ტარაკნებს რა შემაჭმევდა?! მე მხოლოდ კიბორჩხალებს გეახლებოდით. ერთი სახეობა, რომელსაც სამეფოს ეძახიან, — ძალიან დიდი იზრდება. ეს კიბორჩხალა, მოსკოვში, ეგზოტიკურ რესტორანში 200-300 დოლარი ღირს. იქ კი, 15 დოლარად ვყიდულობდი. ძალიან გემრიელია. ყინულიან აკვარიუმებში თოკებით ჰყავთ დაბმული. მიხვალ, ამოარჩევ რომელსაც გინდა და თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ უკვე მზად არის. მას რაღაც სხვანაირი გემო აქვს, კურდღლის ხორცს წააგავს... საერთოდ, ტაილანდში ძალიან ცხარე საჭმელებს ამზადებენ. იქაურ წინააღმდეგარს შეჭამ კი არა, ვერც გასინჯავ... ჭამა უყვართ,



ჩაველექი რიგში. მოვიდა ჩემი ჯერი და გადავიღე ეს ფოტო. გადავიხადე 10 დოლარი და... მერე გავიგე — თურმე... კაცი ყოფილა!

მაგრამ ქალები მაინც სუსტები ჰყავთ. საერთოდ, რაღაცნაირი ძვალწვრილი ხალხია. თუ სადმე მსუქანი ქალი გამოჩნდა, ყველა გზას უთმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქალი, მდიდარი კაცის ცოლია. დიეტას იქ არავინ იცავს. ტაილანდელ ქალებს მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებთ: ძალიან უნდათ, მაღალი კისერი ჰქონდეთ და ამისთვის, მთელი ორი წლის განმავლობაში შეუძლიათ კისერზე სპეციალურად დამზადებული ყელსამკაულით იარონ. ყელზე ჩამოცმულ რგოლებს ყოველთვიურად ახალ-ახალს ამატებენ. და ასე გრძელდება მანამ, სანამ სასურველ სიგრძეს არ მიიღებენ.

— მონარქისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— მონარქი არა, მაგრამ მონარქის სასახლე ვნახე. და იცით, რას გეტყვით? ვისაც არ უნახავს მეფის სასახლე, მას არაფერი უნახავს. ძალიან ლამაზია. საერთოდ, ეგზოტიკური და ჰარმონიული ქვეყანაა. წრეღია შეკრული: ბუდას უყვარს ხალხი, ხალხს უყვარს მეფე, მეფეს უყვარს ბუდა! ბუდას სამ ქანდაკებას მეფე თურმე თავისი ხელით უცვლის ტანსაცმელს, სეზონის მიხედვით, და თან ამ დროს თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს.

— სადაც მეფეა, იქ პრინცესაც არის. პრინცე-

მოგადგება ამხელა მასა და ფეხით ნამად გაგიკეთებს ჭიპზე მასაჟს

სა უნდა იყოს ლამაზი, სასურველია, გრძელი თმით და ბრჭყვიალა ტანსაცმლით. თქვენს ალბომში ერთ-ერთ ფოტოზე ალბეჭდილი გოგონა, პრინცესა თუ არა, ფოტომოდელი მაინც იქნება... თუმცა, თქვენ, ცოტა არ იყოს, ჰიკანტურ პოზაში ხართ...

— რომელი ფოტო, ხელი რომ მაქვს სილიკონზე მიდებული? ისე უცხოვნა მამა, როგორც ის პრინცესაა.

— რამე განწყენათ?


— კი არ მაწყენინა, ძალიან თავაზიანად მომექცა, მაგრამ მაინც მოტყუებულ დავარჩი... მოკლედ, დავესწარი შოუს ღია ცის ქვეშ, რომელშიც 60 ულამაზესი გოგონა მონაწილეობდა. შოუს დასრულების შემდეგ, ისინი მყურებლებთან ჩამოვიდნენ და გამოცხადდა, რომ ვისაც მათთან მიახლოება და სასურველ ადგილას ხელის შევლება უნდოდა, 10 დოლარი უნდა გადაეხადა და რიგში ჩამდგარიყო. ჩაველექი რიგში. მოვიდა ჩემი ჯერი და გადავიღე ეს ფოტო. თან ვფიქრობდი, ჩემს მეგობრებს რომ ვაჩვენებ, ამბავსაც მოვუყვები-მეთქი ამასთან დაკავშირებით. გადავიხადე 10 დოლარი და... მერე გავიგე — თურმე... კაცი ყოფილა!

— რაა?! კაცი როგორ არის, ყველაფერი თავის ადგილას აქვს...

— აი, მეც მაგან შემიყვანა შეცდომაში. „გადაკეთებული“ ყოფილა — ქალად „გადაკეთებული“ კაცი! სამოცივე ასეთი ყოფილა. ეს ხელი გამიხმეს-მეთქი, როგორ ვინატრო, როდესაც ამდენ პაციენტს ვჭირდები?! არადა, როგორი ამბავია!.. ახლა ერთი შემთხვევა გამახსენდა: ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც რომელიღაც მონარქიულ სახელმწიფოში იყო ჩასული, გაეხ-







სპილოებს ვერ შევაგყვე, მაგრამ ნიანგები და ვეფხვები აშკარად „კაიფში“ იყვნენ

უმრნენ: დელოფალს რომ თავისთან მიეწვიეთ, რას იზამდითო? ბატონი ელჟარდიც მიუხედა და უპასუხა – არ შევარცხვენდი სამშობლოსო... ქალბატონი ნანულიც ჩაერთო ამ საუბარში და მეუღლეს „დაუტია“ – დეილუპე იქეთო... და კიდევ ისეთი რამე მოაყოლა, რასაც ჩვენს პრეზიდენტზე მე ვერ ვიტყვი... ასეა – კი ვცდილობთ, უცხო ქვეყანაში სამშობლო არ შევარცხვინოთ, მაგრამ ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ დღეს მართლა ვერ გაიგებ, ვინ კაცია და ვინ ქალი. ამიტომ, სანამ რამეს ხელს მოჰკიდებ, კარგად უნდა დააკვირდე, რას ჰკიდებ ხელს...

— თქვენი სახლის თითქმის ყოველ კედელზე სტალინისა და შევარდნაძის სურათები და ამერიკის დროშებია გამოფენილი. ამას რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა ხომ არ აქვს?

— სტალინიც და შევარდნაძეც ჩემთვის №1 პოლიტიკოსები არიან. ერთმა ქართველმა ააშენა ბერლინის კედელი, მეორე ქართველმა დაანგრია – თქვენ ეს პატარა ამბავი გგონიათ? რაც შეეხება ამერიკის დროშას, ეს ჩემთვის ოცნების სიმბოლოა: ამერიკა ყოველი ადამიანის ოცნებაა. ამერიკა არის ქვეყანა, საითკენაც გული მიუწევს ყოველ ადამიანს. შეიძლება იმიტომ, რომ ის შორსაა. ადამიანს კი, ყოველთვის ის უნდა, რაც მისგან შორს არის... ძალიან ბევრჯერ მქონდა იქ წასვლის შანსი, მაგრამ რატომღაც, არც ერთხელ არ წავედი... ლამაზი დროა აქვთ, ძალიან მომწონს. კაცია და გუნება: სახლი ჩემია და რასაც მინდა, იმას დაგვიღებ, – რა, არ შეიძლება?..

— როგორც ვიცო, თქვენი ვაჟიშვილი ნუგზარ შევარდნაძის შვილთან მეგობრობს.

— კი, მეგობრობენ.

— თქვენ ვისთან მეგობრობთ?

— როგორ ვითხრათ, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. საერთოდ, ეს გრძნობა ძალიან მაქვს განვითარებული. აი, ტაილანდში რომ ვიყავი, იქ ერთ მაიმუნსაც კი დავეუშეგობრდი.

— ნამდვილ მაიმუნს?

— ნამდვილს. მართლა კარგი ძმაცაცებივით დავდიოდით. გზადაგზა კი, თუ რამე ანეკდოტი ვიცოდი მაიმუნების შესახებ, იმას ვუყვებოდი.

— არ სწყინდა?

— ნამდვილ მეგობრობაში წყენა არ მოდის.


— მაინც რა ანეკდოტებს ჰყვებოდით?

— აი, მაგალითად: შენ თუ იცი, ჩემო მეგობარო, რა განსხვავებაა რესტორანსა და საპარიკმახეროს შორის-მეთქი? ის თავს გაიქნევდა – არაო! მეც ვუხსნიდი, – საპარიკმახეროში შედიან მაიმუნები და გამოდიან კაცები, რესტორანში კი შედიან კაცები და გამოდიან მაიმუნები-მეთქი. ისიც შევჩივლე – გამაიმუნებელი კაცები რომ მომრავლდნენ, გაადამინებული მაიმუნი კი, ჯერ არავის უნახავს. აი, დაახლოებით ასეთი საუბრები გვქონდა.

— ამდენი საინტერესო ამბის მოსმენით ისე გავერთე, რომ მთავარი კითხვა დამავინწყდა: როგორ მოხვდით ტაილანდში, მიწვევა გქონდათ თუ ჩვეულებრივი ტურისტული მოგზაურობა იყო?

— ერთმა ყოფილმა პაციენტმა წამიყვანა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. ტაილანდში მის მეგობარს ჰქონდა ტრავმატოლოგიური პრობლემა, რომლის მოგვარებაც მე შემიძლო. შეიძლე-

გაილანდელი მასაჟისტი გოგონები ქართველ მასწავლებელთან ერთად



ბა ითქვას, რომ ეს საქმიანი ვიზიტი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ძირითადად, რა შეცდომებს უშვებენ ხოლმე ჩვენი ტრავმატოლოგები?

— კარგი ტრავმატოლოგები გვყავს, მაგრამ ზედმეტად უყვართ ოპერაციები, ლურსმნები, რკინები. ხშირად უკეთებენ ოპერაციას „არასაოპერაციო“ ავადმყოფებს.

— მუდამ ბევრი ხალხი გაკითხავთ...

— იყო დრო, როდესაც დღეში 200 ავადმყოფს ვიღებდი. ახლა 20-დან 60-მდე პაციენტს ვისტუმრებ ხოლმე.

— რა ღირს მკურნალობა?

— ძალიან იაფი. ჩემთან ხომ ის ხალხი მოდის, ვისაც საავადმყოფოში გადასახდელი ფული არა აქვს; ან ისეთი, ვინც იქ გადაიხადა და დღეს ისევ, ხელახლა მკურნალობას საჭიროებს. ფულთან დაკავშირებით ერთი კურიოზი გამახსენდა: ბავშვს ვუმკურნალე. ისე მოხდა, რომ იმ პერიოდში სულ გადახდის უუნარო პაციენტები მოვიდნენ. სხვა რა გზა მქონდა – ზოგს უფასოდ ვმკურნალობდი, ზოგს კი, იქით ვაძლევედი აუცილებელი წამლებისთვის ფულს. მიყურა ამ ბავშვის მამამ, მიყურა და... ერთ მშვენიერ დღეს, შვილს კონვერტში ჩადებული „რალაც“ გამოატანა. ვიფიქრე, მკურნალობის საფასური იქნება-მეთქი, გამიხარდა, გამოვედი მეორე ოთახში, გავხსენი კონვერტი და... ფულის ნაცვლად წერილი დამხვდა: ბატონო ბიჭიკო, 1500 დოლარი მჭირდება და თუ საშუალება გაქვთ, იქნებ დამეხმაროთ...

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

— ანტალიაში ვაპირებ კაბინეტის გახსნას. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. ალბათ მალე წავალ... და, როგორც ყოველთვის, მალევე ჩამოვალ: მე ხომ საქართველოს გარდა დიდხანს ვერსად ვძლებ.

— წარმატებებს გისურვებთ. იმედი მაქვს, ფრთხილად იქნებით და სანამ კარგად არ დააკვირდებით, ხელს აღარაფერს მოჰკიდებთ... ■



### ელისო გურბენიძე

— ელოდით, რომ ასეთი პოპულარული გახდებოდით?

— არანაირად არ ველოდი. არც ტელესერიალში თამაშზე მიფიქრია. გადაღებები უკვე დაწყებული იყო, როცა ბასას (რეჟისორ ბასა ფოცხიშვილს) შემთხვევით ტელეფონით დაველაპარაკე. მამაჩემს ურეკავდა და მე ვუპასუხე. რას შვრებიო — მკითხა. არაფერს-მეთქი — ვუპასუხე. მოდი, ტელესერიალში შენც გათამაშებო... მე მგონი, იქვე, საუბრისას მოუვიდა თავში ეს იდეა. ვინ უნდა ვიყო-მეთქი, ვკითხე. გიოს ნაშა იქნებო... ვინ უნდა მეთამაშა, წინასწარ არც გვქონდა მოფიქრებული და იქვე, გადასაღებ მოედანზე დაიბადა ლელა დეკანოსიძე.

— ადრე ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ: მინდა, ჟურნალისტიკა მკითხოს, რა ოცნებები დამრჩა ასასრულებელიო. მაშ, რა აგისრულდათ და რა დაგრჩათ ასასრულებელი?

— მოდით, სამჯერ დავაკაკუნებ ხეზე: არ მინდა, ძალიან კატეგორიული ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ რეალური თითქმის ყველაფერი ამიხდა (მადლობელი ვარ ღმერთის!): პირადი ცხოვრება, საქმე. როგორც ამბობენ და ახლა უკვე მეც მჯერა, — რაც ძალიან, ძალიან გინდა, აუცილებლად აგისრულდება და „ისე რა“ რომ გინდა, ის არ ახდება...

— როგორც ვიცო, მსახიობობაც გულით გინდოდათ. მამათქვენი ამბობს — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სამი „ხუთიანი“ ჰქონდა მისაღებ გამოცდებზე მიღებული, მერე საბუთები გამოიტანა და თეატრალურში ჩააბარაო...

— მართალია: გამოცდებზე გავედი და „ხუთიანებით“ გარეთ დავრჩი — აბა, კი არ ჩავჭრილვარ! მაშინ მედლოს-ნებს შელაგათები ჰქონდათ და მე მეოთხე გამოცდა აღარ ჩამაბარებინეს. გახარებული გამოვედი... რაც თავი მასსოვს, სცენაზე ვდგავარ: 3 წლის ვიყავი, სცენაზე რომ ამიყვანეს პირველად. მერე ბავშვთა ანსამბლი „მზიური“ იყო. „მზიურის“ შემდეგ რატომღა უნდა ვყოფილიყავი აღმოსავლეთმცოდნე, რალაც ვერ ვხვდებოდი. ვახუშტი კოტეტიშვილი შემხვდა მაშინ, მისაღებ გა-

ამ ცოტა ხნის წინ მსახიობი ეკა კახიანი ახალ როლში წარმოდგა ტელესერიალის — „ძილის წინ“ მაცურებელს. „ყოველდღე სულელ ქალებს ვაკვირდები, მათ გამონათქვამებს ვაგროვებ, რომ ლალას როლი უკეთესად ვითამაშო“ — გამოგვიტყდა მსახიობი. ვის მხარეზეა ეკა კახიანის სიმპათიები — ლელასი თუ ლალასი? ხომ არ ფიქრობს ამივე ტელესერიალში მესამე როლის თამაშს და როგორია მსახიობი ეკრანს მიღმა? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხების მისაღებად მკბაბხნიანს შინ ვესტუმრე.



მეუღლესთან ერთად

## „ძნელია, როცა შვილს აჩინ და მეუღლე გვერდით არ გყავს...“

მოცდებზე და მკითხა — რა გინდა, შვილო, რატომ იტანჯავ თავსო? რაც მთელი ცხოვრება გიკეთებია და გამოგდის, წადი და ისევ ის აკეთეო... იმედოვნად არ მიშვებს-მეთქი. იმედოვნად ვადაეცი, ნუ ... ნუ დაუჯერებო... ვახუშტის ვუმადლი, რომ დღეს არაბული ენის სპეციალისტი კი არა, მსახიობი ვარ. პირდაპირ თეატრალურში წავედი ამ საუბრის შემდეგ.



თადად, არ ვთამაშობ — მეყოფა ის, რასაც სცენაზე ვმსახიობობ. ვარ ის, რაც ვარ. ცხოვრებაში თამაში არც მომწონს და არც შემიძლია. ხანდახან მაქვს პერიოდები, როცა „ვაფურენ“ ხოლმე, მაგრამ ძირითადად, სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ. რაც ცხოვრებაში ვარ, ის არ უნდა ვიყო სცენაზე და ყოველდღე რალაც ახალი სახე შევქმნა. ეს არის ალბათ მსახიობის ოსტატობაც.


(იმედა კახიანი ამ ფაქტს ასე იხსენებს: სკოლა რომ დაამთავრა, ჩემთან მოვიდა და მკითხა — მამა, თეატრალურში მინდა ჩაბარება და რას მიჩვევო? უარი ვუთხარი. მსახიობობა და საერთოდ, ყველაფერი, რაც მართლა გინდა, გულით უნდა გინდოდეს. ამიტომ, სხვას რომ ეკითხები — ჩავაბარო თუ არაო, ე.ი. არ გინდა მთელი გულით-მეთქი. აი, რატომ არ ვურჩიე! შემდეგ, როცა უკითხავად, თვითონვე გადაწყვიტა და შეიტანა საბუთები თეატრალურში, რატომღა უნდა ვყოფილიყავი წინააღმდეგე?! — ავტ.).

— ახლა რეალურ, „უგრი-მო“ ეკა კახიანზე მოგვიყვით... — სახლში სხვანაირი ვარ და მუშაობის პროცესში — სხვანაირი. ძირით-

— ბავშვობაში ალბათ ყაჩაღანა იყავით...

— ცელქი, საშინლად ცელქი. მაია ჯაბუა ხშირად ამბობს ხოლმე — აუტანელი ბავშვი იყავიო... სხვათა შორის, ბავშვობიდანვე ვერ ვიტანდი პაროდირებას: სულ ვტიროდი, როდესაც სცენაზე ვინმეს პაროდირებას მთხოვდნენ, თუმცა, ეს ძალიან კარგად გამომდიოდა. შემდეგ, უკვე პოლიტიკოსი თოჯინის გახმოვანება რომ შემომთავაზა თამრიკო ბასილიამ „დიდების ზღაპარში“, უფრო იმიტომ დავთანხმდი, რომ სცენაზე არ უნდა გამოვსულიყავი და მართლ ჩემი ხმა იქნებოდა ეთერში. 2 თოჯინას გახმოვანება შემომთავაზეს — ელენე თევ-ლორაძის და ირინა სარიშვილი-ჭან-





სახელოვან მამასთან და ქალიშვილებთან ერთად

ტურიასი. თევდორაძის ტექსტი ავიღე და პირდაპირ ქალბატონი ელენეს ხმით დავიწყე კითხვა. რაღაც უცებ გამოვიდა. ახლაც ვერ გეტყვით, სახლში ვზივარ და ტექსტებზე წინასწარ ვმუშაობ-მეთქი. ეტყობა, ამ საქმეში იმ-იტაციის ნიჭი და მუსიკალური სმენა მესმარება.

— **გამიგია, თეატრში მუშაობისას ბატონი მიშა თუმანიშვილი საკმაოდ განებივრებდათ. მართალია?**

— მეამაყება, რომ ბატონმა მიშამ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, თვითონვე გამოგზავნა მოწვევა ჩემს სახელზე. მართლაც განებივრებული ვიყავი მისგან. ვგრძნობდი ჩემდამი სიმპათიასაც და სიყვარულსაც. ეს, რა თქმა უნდა, აღიზიანებდა ზოგიერთ მსახიობს და საყვედურობდნენ კიდევ — კახიანს ბევრს პატიობთო... თუ ჩემი ცხოვრების 10 ფანტასტიკური წელი „მზიურს“ უკავშირდება, ეს ზღაპარი შემდეგ ბატონი მიშას თეატრში გაგრძელდა. მასთან ყოველდღიური შეხვედრებისას, გარდა იმისა, რომ ვსწავლობდი მსახიობის ოს-

ტატობას, ყოველდღიურ გაკვეთილს ვიღებდი იმისას, თუ როგორი უნდა იყოს შემოქმედლი, რეჟისორი... მისი გარდაცვალების შემდეგ თეატრში აღარც გამიკეთებია რაიმე ახალი. კი მიმიღია რაღაც შემოთავაზებები, მაგრამ უარს ვამბობდი: პიესას რომ ვკითხულობ, არც როლი მომწონს და თავიდანვე ვხვდები — არაფერი გამოვა. დროის ტყუილბრალად ხარჯვას მირჩევნია, ჩემს შვილებთან ვიყო.

— **სხვა მსახიობები ამბობენ, მეტიმეტად მკაცრი და მძიმე ხასიათისა იყო...**

— როგორც თვითონ იყო შეწირული თეატრისთვის, ასეთ დამოკიდებულებას მოითხოვდა სხვებისგანაც. პირადი ცხო-

ვრებაც მეორე პლანზე უნდა გქონოდა გადაწყველი: ფუნქციონალური ვიყავი და იქამდე ვთამაშობდი თეატრში, სანამ სცენაზე ჩემი გამოჩენა შეიძლებოდა. მშობიარობის შემდეგ კი, სამშობიაროში შემომითვალა — ჩქარა გამოდიო. ასე რომ, მშობიარობიდან თითქმის ერთი კვირის შემდეგ ისევ სცენაზე გამოვედი.

— **იმედა კახიანის შვილობა გენმარებათ თუ ხელს უფრო გიშლით? ხომ არ ფიქრობდით ვაითუ, ისეთი პოპულარული ვერ გავხდებო, როგორც მამაჩემიაო?**

— გარდა იმისა, რომ ვშიშობდი — ვაითუ, მამაჩემისნაირი მსახიობი ვერ გამოვიდებ-მეთქი, პასუხისმგებლობის გრძნობაც დიდი მქონდა: იმედას შვილი ვიყავი. რა საზოგადოებაშიც არ უნდა მოვხვედრილიყავი, ყველგან მამაჩემისადმი დიდ სიყვარულს ვხედავდი და პატარაობაშიც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. დიდხანს ვიყავი იმედას შვილი: რაღაცას კი ვაკეთებდი, ხალხიც მიცნობდა, მაგრამ მაინც „იმედას შვილი“ ვიყავი... დღეს უკვე ეკა

კახიანი ვარ. ახლაც, რა თქმა უნდა, იმედას შვილი ვარ, მაგრამ ჩემი, საკუთარი სახელიც დავიმკვიდრე. ძალიან მიხარია, მე და იმედა პარტნიორები რომ ვართ. ადრე ამაზე არც მიოცნებია. გადაღების შემდეგ, აზრებსაც ვუზიარებთ და ყურადღებითაც ვუსმენთ ხოლმე ერთმანეთს.

— **იმედა კახიანის შვილს, რომელიც, თავისი პერსონაჟების მსგავსად, ცხოვრებაშიც ძალიან კეთილი და მომხიბლავი ადამიანია, ალბათ ღირსეული ცხოვრების თანამგზავრის პოვნა გაგიჭირდებოდათ?**

— მამაჩემი მართლაც იდეალური მამაკაცია — ოჯახშიც, გარეთაც — ყველგან! მე და ჩემი მეუღლე ჩემს დედამასთან ერთად ვცხოვრობთ და იმედებს სახით, ჩემს მეუღლეს ისეთი მაგალითი ჰყავს, რომ ვერც იქნება ცუდი...

— **როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— მე და ნიკა თოფურაძე ერთად ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში. ჩემზე რამდენიმე წლით გვიან დაიწყო სწავლა. გავიდა დრო და ერთხელ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ჩემი მეგობრის სახლში. ვერაფრით ვერ ვიცანი. არადა, წინა დღეს ყოფილა ჩემს სპექტაკლზე და, ასე ვთქვათ, გულში ჩავვარდნივარ... გამომელაპარაკა. მივხვდი, რომ მასაც რაღაც კავშირი ჰქონდა თეატრთან. გარეგნულად იმდენად შეცვლილიყო, რომ მასში ვერაფრით შევიცანი ის ახალგაზრდა, რომელიც თეატრალურში მინახავს. რომელ ინსტიტუტში სწავლობდით-მეთქი? — ვკითხე. თეატრალურში, ამა და ამ ჯგუფში ვიყავიო. შენ რომელი ხარ-მეთქი? თავი შემასხენა.

— **ინსტიტუტში სწავლისას არ მოგწონდათ ერთმანეთი?**

— „ის ბიჭი“, თეატრალურში რომ სწავლობდა, არ მომწონდა. იმ საღამოს გაცნობილი კი, პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა. გარეგნობამ მომხიბლა.

— **რამდენი შვილი გყავთ?**

— სამი: ნინი, ანი და ქეთევანი. ნინი პირველი მეუღლისგან მყავს. ჟურნალისტები სულ მეკითხებიან — რატომ გაეყარეთო? სასიათებით ვერ შევეწყვეთ-მეთქი, ვპასუხობ...

— **ახლა თუ გაქვთ ერეკლესთან (ერეკლე ბადურაშვილი კინორეჟისორია — ავტ.) ურთიერთობა?**



# ბესტი ერუდიციაზე

1. რამდენი დამხარელობაა მსოფლიოში?



- ა) 7;
- ბ) 14;
- გ) 20.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო:



- ა) ივანე ჯავახიშვილი;
- ბ) ნიკო კეცხოველი;
- გ) პეტრე მელიქიშვილი.

3. რომელი კომპოზიტორი მხზავდა მსოფლიო საფორტეპიანო ნაწარმოებებს?



- ა) რახმანინოვი;
- ბ) გერშვინი;
- გ) შოპენი.

4. ლუის კაროლი, რომელსაც ეძღვნება „ალისას თავგადასავალი საოცრებათა მთელი მსოფლიო“ პოეზიის ნაწარმოები:



- ა) იურისტი;
- ბ) მათემატიკოსი;
- გ) ექიმი.

— არავითარი. უბრალოდ, შვილს აქვს ურთიერთობა მამასთან. ძალიან კარგი მამაა და ახლო ურთიერთობა აქვს შვილთან. ბავშვიც კარგად გრძნობს მასთან თავს...

— როგორც ვიცი, თქვენი მეუღლე ამერიკაში ცხოვრობს.

— ახლა აქ არის, 4 წელი ამერიკაში იყო. ჩვენთან რომ ცხოვრება აირია, მამაკაცებს ძალიან გაუჭირდათ. ნიკას სამსახიობო აქვს დამთავრებული, მაგრამ პროფესიით არ უმუშავია. ჩემი მეუღლის მამა აშშ-ის მოქალაქეა. 25 წლის წინ მოხვდა საზღვარგარეთ და ამერიკაში დარჩა. შემდეგ მოქალაქეობაც მიიღო და ახლა „ამერიკის ხმაში“ მუშაობს — რამაზ ჯაბადარის ფსევდონიმით. მისმა ვაჟმაც გადაწყვიტა, ბელი ამერიკაში ეცადა. მამაც დაეხმარა. იშოვა სამსახური, მშვენივრადც მოეწყო, მაგრამ სამუდამოდ ხომ არ დარჩებოდა იქ?! ისევ ოჯახთან და შვილებთან ყოფნა ამჯობინა. მეც მიჭირდა წინ და უკან ფრენა... ჩემი მეუღლე ამერიკაში იყო, როცა პატარა ქეთევანი გაჩნდა. ძნელია, რა თქმა უნდა, როცა შვილს აჩენ და მეუღლე გვერდით არ გვაკვს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილი სიყვარული გვექონდა და გავაჩინე. ახლა ყველანი ერთად ვართ. ჩემი მეუღლე დღეს მამაჩემთან მუშაობს.

— თქვენი მეუღლე როგორ იცნობს თქვენს პოპულარობას?

— უხარია და სრულიად არ იბოლმება ჩემი წარმატებების გამო. თუმცა, რა თქმა უნდა, ცოტათი ეჭვიანობს ხოლმე.

— ნიკას ლალა უფრო მოსწონს თუ ლელა დეკანოსიძე?



— თავიდან, როცა ლელა ძალიან პოპულარული იყო, მასაც მოსწონდა. ახლა ლალა უფრო მოსწონს.

— ლელა დეკანოსიძე თუ ჰგავს ეკა კახიანი?

— არაფრით არ ჰგავს — რადიკალურად განსხვავებით ერთმანეთისგან. ვინც ახლოს მიცნობს, ასეთი ეჭვი არც გაუჩნდება. ვინც არ მიცნობს, რატომღაც ფიქრობს, რომ ლელაში საკუთარ თავს ვასახიერებ. არადა, საშინლად არ მომწონს ასეთი ქალები. ახლა კარგია, რომ ლალა ვითამაშე — ეს ეჭვი ცოტათი გაიფანტა.

— ლალაზე რას იტყვი?

— ლალა მომწონს. რადაცნაირი, კეთილი სულელია. ასეთი ქალიც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, აბსოლუტურად! მაგრამ, სიმპათია ლალასადმი უფრო მაქვს და ლალას თამაშშიც უფრო მსიამოვნებს. ყოველდღე ახალ-ახალ ნიუანსს ვეძებ, ვაგროვებ სულელი ქალების გამონათქვამებს. თუ ქალში რაღაც საინტერესო დავიჭირებ, რაც ახლოსაა ჩემი რომელიმე პერსონაჟის ხასიათთან, ვისრუტავ და ხასიათის შექმნისას ვიყენებ ხოლმე.

— ისე, როგორ ფიქრობთ, რომელი შემორჩება ტელევიზორიალს ბოლომდე — ლალა თუ ლელა?

— რა ვიცი, ლელა ძალიან პოპულარულია. 2002 წლის მაისში უნდა დამთავრდეს გადაღება. ასე რომ, ერთი წელი კიდევ წინ გვაქვს. არ ვიცი, რა მეშველება, კიდევ რომ ვაგრძელებ და ისევ ლელას თამაში მომიწიოს; სახასიათო როლები ცოტა მოსაბეზრებელია.

ლელა ხალხს დღესაც ძალიან მოსწონს, მაგრამ მე მინდა ლელამ „დაისვენოს“ და ასპარეზი ლალას „დაუთმოს“. თუმცა, მერე ალბათ ლალაც მომბეზრდება...

— გადაღებებიდან შინ რომ ბრუნდებით, ლელას ან ლალას მანერებს, გამოთქმებს, თქვენდა უნებურად ხომ არ იმეორებთ ხოლმე?

— კი, როგორ არა. ტელევიზიიდან რომ მოვდივარ, ნაცნობებს ხან ლელას ფრაზებით ველაპარაკებ, ხან ლალას სიტყვებს ვაკუროვებ. მერე ბოდიშს ვუხდით, თუმცა თვითონაც ხვდებიან, რაც მემართება.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



„გზის“ №18-ში სათაურით — „შესაძლოა, ახლა ვინმე ქართველი, ჩემი თირკმლით და- დის“ გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელსაც დიდი გამონათქვამი მოჰყვა: ძირითადად, ის ადამიანები გვიკავშირდებიან, ვისაც, იმ ქალ- ბატონის მსგავსად, უმძიმესი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება საკუთარი ჯან- მრთელობის ფასად განუზრახავს. ტრანსპლანტ- აცია (ანუ ერთი ადამიანის რომელიმე ორგანოს მეორისთვის გადაწერვა) ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია. არც საკუთარი ორგანოს გაყიდვაში შეგიშლის ვინმე ხელს. პრობლემას, ფაქტობრივად, მხოლოდ დამკვეთი — შეძლებული ავადმყოფი წარმოადგენს. მის საპოვნელად და კიდევ, თაღლითობისაგან თავის დასაზღვევად, რამ- დენიმე ადამიანმა მოგვმართა „კვირის პალი- ტრისა“ და „გზის“ რედაქციებში. ყველა მათ- განის სახელი შეცვლილია.



# თირკმლის გაყიდვა

## მათ ქმარ-შვილის გადასარჩენად ერთადერთ საშუალებად ესახებათ

**მარინა ბაბუნაშვილი  
ნიკო ჯაფარიძე**

**ნათია:**

— ვიცი, რომ დანაშაულს არ ჩავდი- ვარ და დასამალიც არაფერი მაქვს, მაგრამ როცა წარმოვიდგინე, რომ ოჯახ- ის ყველა ნაცნობი და ახლობელი გაიგებ- და ჩვენი გაჭირვების ამბავს, ცუდად გაგხდი... ძალიან ამაყი და თავმოყ- ვარე რომ ვარ ამიტომ, თორემ ზოგი რას აღარ კადრულობს და არავისი რცხვენია... ჩემმა მშობლებმა რომ გაიგონ, მათი ერთადერთი შვილი თირკ- მელს უფულობის გამო იკვეთსო, საშინელ დღეში ჩავარდებიან...

**— კონკრეტულად, მაინც რამ მიგიყვანა ასეთ მძიმე გადაწყვეტილებამდე?**

— დავიღალე, დამცირებული კაცის გვერდით ყოფნით. ოჯახი თავზე მენ- გრევა, ქმარი კი ხელს არ ანძრევს, სულ დაპირებებით „მკვებავს“. როდემ- დე?! თირკმელი ჩემი ბოლო შანსია: თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, უნდა გავმორდე, აზრი არა აქვს ერთად ყოფ- ნას. არადა, სიყვარულით შევუღლდით — სტუდენტობის დროს შეგვიყვარდა ერთმანეთი. მაშინ კარგი ჩაცმულ-დახ- ურული დადიოდა, საჩუქრებითა და ყვავილებით მანებებდა. როცა ვწუხ-

დი ხოლმე — არ მუშაობ და ოჯახს როგორ შეინახავ-მეთქი, მამშვიდებდა: ახლა რა მაკლია, რომ მერე დაგა- ნატრულო რამეს, დღე-დღეზე მუშაო- ბასაც დავიწყებ და ყველაფერი კარ- გად იქნებაო... შეუღლებიდან 5 წელი გავიდა და ჩემს ქმარს ერთი დღეც კი არ უმუშავია. ბევრჯერ პურის ფუ- ლიც კი არ გვქონდა და მთელი დღე მშვიერი ველოდებოდი, როდის მოვიდო- და და სამადლოდ ნაშონი 50 თეთრით ნაყიდ პურს როდის მომიტანდა... მა- შინ ორსულადაც ვიყავი... ვითმენდი, სხვა რა გზა მქონდა. ვფიქრობდი — დღეს არა გვაქვს, ხვალ გვექნება-მეთქი. მე თვითონ უღარდელად გავიზარდე, ბავშვობაში და ახალგაზრდობაში არც ჩასაცმელი მაკლდა და არც სასმელ- საჭმელი. მშობლები თან მყვებოდნენ. შეიძლება ამიტომაც, სხვებზე მეტად მიძინებდებოდა გაჭირვებასთან შეგუე- ბა... ბავშვი გაჩნდა და უარეს დღეში ჩავვარდი. ახლახან ექიმმა 10 დოლა- რიანი ვიტამინები გამოუწერა — აუცი- ლებელიაო, მითხრა, მაგრამ როგორ ვუყიდო? ამას წინათ ბავშვმა მთელი დღე იტირა, ლამის ისტერიაში ჩა- ვარდა: გინდა თუ არა, კანფეტი მინდ- აო. მიდი და აუხსენი 4 წლის ბავშვს, რომ კანფეტი კი არა, პურიც ვერ გვიყ- იდია. თორნიკეს სათამაშოები ენატრე-

ბა და სხვის გამონაცვალ ტანსაცმელ- ში იზრდება...

**— მეუღლე სამსახურის შოვნას არ ცდილობს?**

— რა ვიცი, ამბობს — თავმოყვარეო- ბა შემელახება, 4-5 ლარისთვის დღიურ მუშად რომ ვიმუშაო ან ქუჩაში „ვაჭრუ- კანობა“ დავიწყო. წარმოგიდგენიათ? თავმოყვარეობას ის არ ულახავს, ცოლ- შვილი შიმშილით რომ უკვდება!.. სოფელში უზარმაზარი სახლი გვქონდა, გაყვიდეთ — ვითომ რაღაც საქმეში უნდა „ჩაგველო“, მაგრამ ჩემი ქმრის ბელოვ- ლათობის გამო 10.000 დოლარი აქეთ დაგველო ვალად. ხან „მარშრუტკაზე“ დაიწყო მუშაობა, მაგრამ იქაც არ ივარგა... საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არაფრის გამკეთებელია და მე თვითონ უნდა ვიღონო რამე...

**— ამ „რამეში“, თირკმლის გაყიდვის გარდა, სხვა გე- რაფერი მოგიფიქრებიათ?**

— იცით, უკვე რამდენი ადამიანი ფიქრობს თირკმლის გაყიდვით მატე- რიალური პირობების გაუმჯობესებას?! ამას წინათ ახლობლებს ვესტუმრე. კახ- ეთიდან ნათესავები ჰყავდათ სტუმრად — ხანში შესული კაცი, თავის ქალიშ- ვილთან ერთად. ჟურნალში რომ წაუ- კითხავს — ქალმა თირკმელი ძვირად გაყიდაო, ამ ამბის დაწვრილებით



გასარკვევად წამოსულა... კარგა ხანს ვისაუბრეთ – გამრჯე, მშრომელი გლეხი კაცი ვარო, მითხრა. ასეთი რა გაგჭირვებიათ-მეთქი? მომიყვ: „ჩემმა სიძემ მთელი ქვეყნის ფულები შეჭამა, ვალეები დაიდო და ახლა, ხან რომელი მევალე მოგვივარდება სახლში ჩხუბითა და მუქარით, ხან რომელი. ერთი გოგო მყავს, ამაზე ამოდის მზე და მთვარე და როდემდე ვუყურო ამის ტანჯვა-წამებას? მე ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, დღეს თუ ხვალ მოგკვდები და იქნება, რამით მაინც დავეხმარო შვილს და შვილიშვილებს...“ თურმე გაუკითხ-გამოუკითხავს კიდეც და გაუგია, თითქოს თირკმელში 20.000 დოლარზე მეტს არ იძლევიან... შეწუხებული იყო, საწყალი: აბა, რაში მეყოფა, 20.000 დოლარი? მარტო ვალეებს თუ გაგვასტუმრებინებსო... თვითონ ინვალიდი კაცი იყო, მარჯვენა ხელს საერთოდ ვერ ამოძრავებდა. აი, სადამდე მივიდა ხალხი. ზოგჯერ ისტერიკულად მეცინება ხოლმე – ისე ჩვეულებრივად ვლაპარაკობ თირკმლის გაყიდვაზე, თითქოს რაღაც უბრალო ნივთით ვაჭრობას ეხებოდეს...

**— იქნებ მაინც არსებობს სხვა გამოსავალი?**

– მაინც, რა? უცხო ენის სპეციალისტი ვარ, მაგრამ სკოლაშიც კი ვერ ვიშოვე ადგილი. თუნდაც ვიშოვო – 20-25 ლარი ვალეებს გამასტუმრებინებს თუ ოჯახს შემინახავს?

**— მეუღლემ თუ იცის რაიმე თქვენი გადანყვრტლების შესახებ?**

– კი, ვუთხარი. მომიწონა „იდეა“, გახარებული იყო: ოჯახში ფული გაგვიჩნდება და ერთხელ და სამუდამოდ ვალებიდანაც ამოვალთო. აბა, რა უნდა ელაპარაკო?!

**— არ გეშინიათ, ოპერაცია რომ ვერ გადაიტანოთ?**

– როგორ არ მეშინია?! ნემსისა და თეთრხალათიანების დანახვაზეც კი შიშისაგან გული ცუდად მიხდება, მაგრამ ვცდილობ, შიშს მოვერიო... ხანდახან იმასაც ვფიქრობ ხოლმე – ვთქვათ, ღმერთმა გადმომხედა და მართლაც გავეიდე თირკმელი (40.000 დოლარზე ნაკლებად არავითარ შემთხვევაში არ გავეიდი, როგორც გავიგე, ასე ღირს), მაგრამ ხომ შეიძლება, ოპერაცია ვერ გადავიტანო და მოგკვდე. ვინდა მოუვლის ჩემს თითისტოლა ბიჭს, გზაზე ვინ დააყენებს-მეთქი?.. რას აღარ

ვფიქრობ-ხოლმე... ზოგჯერ ქუჩაში მინდა გავიდე და ხმამალა, მთელი ქვეყნის გასაგონად ვიყვირო: ხალხნო, გაიგეთ – თირკმელს იმიტომ ვყიდი, რომ შვილი დალუპვასა და შიმშილს გადავარჩინო-მეთქი! იქნებ ვინმე ღვთისნიერმა გაიგოს და დაძეხმაროს: ზოგისთვის ხომ 10.000 დოლარი რესტორნის ფულია და მეტი არაფერი. ცხოვრება ასე უსამართლოდ ყოფილა მოწყობილი. ამბობენ ხოლმე, საბანი ისე უნდა დაიხურო, როგორც გაგწვდებაო. კი, ბატონო, ბროლის კოშკებს არც მე ვითხოვ, მაგრამ საარსებო ლუკმაპური ხომ მაინც არ უნდა გენატრებოდეს?!..

**ლია:**

– იმ ასაკში ვარ, ჯერ კიდევ რომ გამოვდგები დონორად, 5-6 წლის შემდეგ კი „დამბრაკავენ“, როგორც ხანდაზმულს... უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ერთ-ერთ ტექნიკუმში მათემატიკას ვასწავლიდი. მეუღლე მშენებელი ინჟინერია. სამუშაო ყოველთვის ჰქონდა. ახლა მშენებლობა შეჩერებულია. ძალიან გაგვიჭირდა. მეც თავი დავანებე სამსახურს. ტექნიკუმში კი არა, სკოლა აღარავის უნდა. ჩემს ქალ-ვაჟსაც მშობლების მზრუნველობა და ხელშეწყობა სჭირდებოდა, ჩვენ კი ვერაფერს ვუკეთებდით. მეუღლემ სმა დაიწყო. მე ღებრესიაში ჩავვარდი. საწოლიდან ვეღარ ვდგებოდი. ერთხელაც, პოლიციელები დამადგნენ თავზე – თქვენმა შვილმა მანქანა გაიტაცა და გვითხარით, სად იმალებაო. ლამის გავვიყუდი. ჩემი შვილი ამას არ გააკეთებდა-მეთქი... მაგრამ როცა ისინი წავიდნენ, დავფიქრდი და მივხვდი: მეც და ჩემი ქმარიც გაჭირვებამ გაგვაგვისტა, ბავშვები კი მარტონი დარჩნენ და რა გასაკვირია, რომ ბიჭმა ქუჩისკენ გაიწია? ისეთ უბანში ვცხოვრობთ, სადაც ძველბიჭობა ძალიან დაფასებულია. ალბათ ჩემმა შვილმაც „წაივაჟკაცა“... პოლიციელების ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდა. ჩემს შვილს და მის ორ ამხანაგს მართლა მოეპარათ მანქანა და სვანეთის უბანში, ნაცნობის ეზოში დაემალათ. ერთი სიტყვით, მის გამოსახსნელად სამოთახიანი ბინა გავყიდეთ. შვილი კი გავათავისუფლეთ, მაგრამ

**თირკმლის გრანსპლანტაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კეთდება**

ახლა, მეორე უბედურება დაგვატყდა თავს: გოგონა გაგვეპარა... ჩემი სიძე ნარკომანი აღმოჩნდა, ჩემმა შვილმა დიდხანს ვერ გაძლო მასთან და ორი წლის შემდეგ ბავშვიანად დაგვიბრუნდა. კიდევ კარგი, შვილიშვილი ჯანმრთელი მყავს. დღე და ღამე ვლოცულობ, ავად არავინ გავხდეთ. ამას წინათ მეუღლეს წნევამ აუწია. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მეზობელს შევეცოდე, ოცი ლარი მომცა და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახეთ. მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, ექიმები 2 საათი არ მოგვმორებდნენ გვერდიდან. როცა კრიზისმა ჩაიარა და ოცი ლარი გავუწოდე, „მორიდებით“ ამიხსნეს – ჩვენი გამოძახება და მომსახურება 25 ლარი ღირს, ხოლო, ვინაიდან ორი საათი თქვენთან დავრჩით, ამიტომაც ორჯერ ოცდახუთი, ე.ი. 50 ლარია საჭიროო. კინალამ გული გამიხკდა, მაგრამ გამოსავალი მაინც ვიპოვე: გამოვუტანე გაყიდვას სასწაულით გადარჩენილი ოქროს საყურე და მივეცი: ბოდიში, ერთი ლარიც კი აღარ დამრჩა-მეთქი. მხრები აიჩეჩეს, გამომართვეს და კარი გაიხურეს... სხვა გზა აღარ მაქვს. იქნებ ჩემი თირკმლით ოჯახს ვუშველო. ეგებ ქმარმა რაიმე საქმეში ჩაღოს ფული, ბიჭსაც საზღვარგარეთ გავუშვებ სასწავლებლად, გოგონასაც ვუშოვი სამსახურს და შვილიშვილსაც მშვიდად გავხრდი.

**ნინელი:**

– აფხაზეთის ომის მერე, ბევრი ჩემი ახლობელი რუსეთში წავიდა საცხოვრებლად. მე დარჩენა ვამჯობინე,





რადიკალიზაცია



მწუხარისათვის არის მალამო თანამგრძობლების სიტყვა და ცრემლი.

კასია

ერთიანობა გამარჯვების საწინდარია, ბრძოლაშია თუ მშვიდობაში – ეგ სულერთია.

გეორგ როლენშაგენი

კაცი ცოდნით ფასდება, არა ოქრო-ვერცხლითა.

მორის ბედელი

თუ არ გსურს უარი მოისმინო, ნურაფერს ითხოვ.

ჯონ დრაიდენი

როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა.

რაფიელ ერისთავი

ჯერ დაუფიქრდი და მერე თქვი სიტყვა შეუდრეკელი;

ჯერ საძირკველი ჩადგი და მერე აშენე კედელი.

საადი

ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაიჩაგროს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია. ნეტარი (წმინდა) ავგუსტინე

სიყვარული და მეგობრობა – ერთიმეორის გამოძახილია. იმდენს იძლევიან, რამდენსაც იღებენ.

ალექსანდრე გერცენი

რადგან ვიფიქრე, სამშობლოში არ გამიჭირდება-მეთქი. ჩემი ქმრის „ბიზნესის“ გამო ისეთი ვალები „წამოვიკიდეთ“, თუ დროზე არ მოვიფიქრე რამე, მევალებები მომიკლავენ. ამიტომაც გადავწყვიტე თირკმლის გაყიდვა. ჯანმრთელი ვარ. იმდენმა ქარტეხილმა გადაიარა ჩემს თავზე, კარგი ჯანმრთელობა რომ არ მქონდეს, ვერანაირად ვერ გავუძლებდი ამდენ უბედურებას...

ქეთევანი:

– ჩემი განზრახვის შესახებ ჯერ არავინ იცის. საოცარ სიდუხჭირეში ვცხოვრობთ და სასოწარკვეთილებამდე აღარაფერი გვიკლია. რა არ ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვიდის. ის ქალი არ ვარ, უწესო გზას დავადგე ან თურქეთსა და დუბაიში ვაჭრობით ვარჩინო ოჯახი. მას შემდეგ, რაც თქვენს ჟურნალში წავიკითხე, როგორ გაუმართლა ქართველ დონორს, მოსვენება დავკარგე. ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემი თირკმლით ოჯახს გადავარჩენ და შვილებს გზას გაუუკაფავ.

ლამარა:

– გორელი ვარ. პედაგოგი ვიყავი, შვილო, მაგრამ როცა თვეობით აღარ გვადირსეს კუთვნილი ხელფასი, რის ვაი-ვაგლახით ცოტაოდენ ფულს მოვუყარე თავი და ტანსაცმლით ვაჭრობა დავიწყე. ხომ გაგიგონიათ: არა შეჯდა მწყერი ხესაო... ვალი დაძლეო. ვაჭრობას თავი დავანებე, მაგრამ ვალი ხომ უნდა გავისტუმრო? ჩემი ქმარი უმუშევარია. ხანდახან მანქანას თუ შეურემონტებს ვინმეს და 2-3 ლარს მოიტანს შინ, ეგაა და ეგ. ოთხი შვილი გვყავს. უფროსი ქალიშვილი 26 წლისაა, ვაჟი – 21-ის, მომდევნო გოგონები 16-ისა და 11-ის. ბიჭი სასწავლებლიდან გამორიცხეს, რადგან სწავლის ქირის შეტანა ვეღარ შევძელით. მოუკვდეს დედა: მორებსა ჩეხს და სადღაც აბარებს, ყოველდღე ორი ლარი რომ მოგვიტანოს. ამ სამი დღის წინ უნებურად წამოსცდა: ეჰ, დედაჩემო, ეს თუ სიცოცხლეა, მაშინ სიკვდილი მიჯობსო... როგორ უნდა გაუძლოს დედამ მშვიერი შვილების თვალებს?! ისეთი ეგოისტიც არა ვარ, რომ თავი მოვიკლა. ჩემი სიკვდილი სულ გააუბედურებთ, ამიტომაც გადავწყვიტე დონორობა. ამბობენ, სისხლის დონორობა გაცილებით იოლია, მაშინვე იძლევიან ფულსო. ამას წინათ ჩამოვე-

დი და როცა უზნაძის ქუჩაზე, სისხლის გადასხმის სადგურში მივედი, 400 გრამ სისხლში 14 ლარი შემომთავაზეს. დაბალწევნიანი ვარ, ჩემთვის სისხლის დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ ერთი კვირა ფეხზე ვეღარ დავდგები. 14 ლარიც ვერაფრით უშველიდა ჩემს გაჭირვებას და მე კი შვილების მოსავლელი შევიქნებოდი. უკან გამოვბრუნდი. ერთადერთი გამოსავალი ჩემთვის ახლა თირკმლის ჩაბარებაა. ჩემს დღეში არც ერთი ორგანო არა მტკენია, ჯანმრთელი კი ვარ, მაგრამ ვაი, ასეთ ჯანმრთელობას...

ამ ქალბატონებმა იმ იმედით მოგვმართეს, რომ სანდო ინფორმაციას მივაწვდიდით, თორემ ეშმაკს არ სძინავს – შეიძლება, ვინმე დავგვირდეს შუამავლობას, მერე კი, ან ორივე თირკმელი ამოგვაცალონ, ან საერთოდ ვეღარ გამოვიდეთ ნარკოზიდან, ფული კი სხვებმა ჩაიჯიბონო...

ახალი ტალღა აზვირთდა საქართველოში... თუ რამდენიმე წლის წინ სასოწარკვეთილი ადამიანები თვითმკვლელობაზე ფიქრობდნენ, ახლა რთული სიტუაციიდან გამოსვლისათვის სხვა გზას დაადგნენ. ჩვენმა რესპონდენტებმა დამაიმედებელი სიტყვა დაგვიტოვეს: თვითმკვლელობა ეგოიზმის უდიდეს გამოხატულებად მიგვაჩნია, თირკმლის გაყიდვა კი, ერთგვარი კეთილშობილებაა, რადგან ჯერ ერთი, სრულიად უცნობს სიცოცხლეს ვაჩუქებთ, მეორეც – ჩვენს ოჯახებს ვუშველით და იქნებ გაჭირვებაში ჩავარდნილ ახლობლებსაც ხელი გავუშვებთ.





მთანმინდის თავზე დღეს მხოლოდ სამანქანო გზით შეიძლება ასვლა. მონყვეტილი საბაგიროსა და ფუნქციონირის აღდგენაზე არავინ ფიქრობს. მძიმე სანახავია დანგრეულ-გაპარტახებული დიდი სასახლე, რომელიც თითქოს დღესაც ამაყად გადმოჰყურებს თბილისს. ამაზე იტყვიან – შორიდან მტერს უბრმავეს თვალს, ახლოდან – მოყვარესო. ულამაზესი ტყე-პარკი გავრანებულ-გაჩეხილია. ატრაქციონები გაძარცვულია, ზოგიერთი ჯი მთლიანად მოპარული, პლანეტარიუმის სახურავი ჩაქცეული... ერთადერთი ადგილი, რომელსაც აქ ადამიანის ხელი ეტყობა, სატელევიზიო ანძა და მის გარშემო განთავსებული შენობა-ნაგებობებია.



## ანძის აწვითება

### ნახევარ ქალაქს დაანგრევდა...

მანანა იაშვილი

#### რას წარმოადგენს ანძა დღეს

დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენიც არის, თუ ოდესმე თბილისის თავზე ეს ანძა არ იყო აღმართული. საქართველოში ტელემარშუტებლობა 1956 წლის 30 დეკემბერს დაიწყო და პირველი, 186 მეტრიანი ფერმის ტიპის ანძაც იმავე წლის ნოემბერში დამონტაჟდა (ახლა იგი ქალაქ გორის თავზე დგას და ქართლის რეგიონს ემსახურება). წლები გადიოდა. სატელევიზიო არხები მომრავლდა და ახალი ანძის აგება გახდა საჭირო. პროექტი კიევში შეიქმნა. ეს არის ტიპური, 274,5 მეტრიანი ანძა, რომლის მსგავსი პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ ორ ქალაქში – კიევსა და ერევანში შემორჩა. ჩვენი ანძა რუსთავის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში დაამზადეს და 1975 წლის ნოემბერში დაამონტაჟეს. იგი 20 ათას ტონას იწონის და 9 ბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. მაშინ ანძის თვითღირებულება 2 მილიონ 365 ათასი საბჭოთა მანეთი იყო, ახლა კი 1 მილიონ დოლარამდე ეღირება.

რადიო-სატელევიზიო გადამცემს მთავრად 50 კაცი ემსახურება, რომელიც 24 საათიანი რეჟიმით მუშაობს. სოციალური და სამუშაო პირობები, რაღა თქმა უნდა, მძიმე აქვთ: კერძო კომპანიების მიერ გადახდილი თანხა მცირეა და არასტაბი-

ლურად შემოდის, სახელმწიფოსგან კი, გასული წლის 4 თვის დავლიანებასა და წლებანდელი 6 თვის ხელფასს დღემდე ელიან. სამსახურში მიკროავტობუსით ამოსვლის შემდეგ პერსონალი, ახალი ცვლის მოსვლამდე, ფაქტობრივად, მოწყვტილია ქალაქს.

საქართველოს რადიო-სატელევიზიო გადამცემების ქსელის ტექნიკური დირექტორი, ბორის ადამია ამბობს, რომ რაიონებში უფრო მძიმე მდგომარეობაა: იქ გადამცემები და რეტრანსლატორები დასახლებული პუნქტებიდან 15-20 კმ-ით არის დაშორებული, უმეტესად მთაზეა განთავსებული, სადაც მოსამსახურეებს ფეხით უხდებთ ასვლა, რადგან ბენზინისა და ორზიდანიან მანქანების შეკეთების თანხა არა აქვთ. ბუნებრივ შეკითხვას – რატომ მუშაობენ? ბატონი ბორისი ღიმილით

#### ბორის ადამია (მარცხნივ) და მალხაზ გეგეშიძე




პასუხობს: „ჩვენ არანორმალურები ვართ“. შეიძლება მაგანს მართლაც სიგიჟედ მოეჩვენოს, რომ ეს სისტემა, ასეთ პირობებში კიდევ მუშაობს, მით უმეტეს, რომ მათი შრომა სიმბოლურად ნაზღაურდება: ცვლის უფროსის საშუალო ხელფასი, მაგნე სამუშაოს შესრულებისათვის დაწესებული 12%-იანი დანამატით, 100 ლარია, ტექნიკური პერსონალის რიგითი მუშაკები კი 60-დან 80 ლარამდე იღებენ.

თბილისის რადიო-სატელევიზიო გადამცემის უფროსმა მალხაზ გეგეშიძემ საუცხოო გილობა გაგვიწია, რამაც ცოტათი გაამდიდრა ამ სფეროში ჩვენი მწიერი ცოდნა. თურმე, სატელევიზიო ანძა ურთულესი მოწყობილობის მხოლოდ ერთი ნაწილია – თვით ანძა კი, თავისი სიმძლიერით კოშკის კატეგორიას განეკუთვნება და ჩვენგან შერქმეული „სატელევიზიო ანძა“ მის დანიშნულებას აკნინებს.

რადიო-სატელევიზიო გადამცემები მიწისპირა შენობებშია განთავსებული. მოქმედებს სამი მძლავრი და რამდენიმე მცირე გადამცემი, რომელიც დიდ, ნათელ და სუფთა დარბაზებში მწყობრად გუგუნებს. სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა აქვს აპარატურისთვის, რადგან მასზე გადაცემათა ხარისხია დამოკიდებული. მოქმედებს სავენტილაციო სისტემა, რომელიც გადამცემთა ტემპერატურის სტაბილურობას უზრუნველყოფს. დარბაზებს სამი მაღალკვალიფიციური ინჟინერი ემსახურება. გვერდით შენობაში I კატეგორიის ელექტრომომარაგების ქვესადგურია. გადამცემებს და მთელ სისტემას საათში 300 კილოვატამდე სჭირდება და საერთო გამორთვების დროს მუშაობა ჩერდება, რადგან დიზელ-გენერატორებს ასეთი დიდი სიმძლავრის პირობებში ვერ გამოიყენებ. 71 მეტრის სიმაღლეზე სამკუთხა შენობაა, სადაც რადიო-სარელეო აპარატურაა განთავსებული: აქედან რადიო-სატელევიზიო სიგნალები მიეწოდება კახეთს, ქვემო





**მიწიდან 100 მეტრამდე აპარატურის დაყენება აკრძალულია: დიდ სიმაღლეებს დიდი გამოსხივებაც აქვს**

ქართლს, მესხეთ-ჯავახეთს. საქართველოს მთავორიანი ლანდშაფტის გამო, სივანელების გასაგრძელებლად მთელ საქართველოში დადგმულია შუალედური რადიო-სარელო სადგურები. ამ სისტემაში სულ 600 კაცი მუშაობს. პერიფერიებში პროფესიული კადრების სიმცირის გამო, თბილისში არის ლაბორატორია, საიდანაც ბრიგადები რაიონებში აპარატურის შესაკეთებლად გადიან. ეს კი, დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

მაღზხა გეგეშიძე ამბობს, რომ აპარატურის დიდი ნაწილი მოძველებულია. მაგალითად, II არხის გადამცემი 30 წელია მუშაობს. 400 V, მაღალი სიხშირის გადამცემზე მუშაობა საშიშიც არის. ყველაზე ახალი გადამცემი 16 წლისაა. ამჟამად არ მუშაობს OPT-ს გადამცემი, რომელიც პრივატიზაციის შედეგად, ახალი მეპატრონის ხელში შეიძლება ამოქმედდეს. პრივატიზაციას არ ექვემდებარება თვით ანდა, რომელიც ბუნებრივ მონოპოლისტს წარმოადგენს და სახელმწიფო საკუთრებაა.

ჩვენს ანდა-კომპურაზე ცენტრიდან სივანელები იქ განთავსებულ ანტენებს გადაეცემა, რომელიც 164-დან 265 მეტრის სიმაღლეზეა დამონტაჟებული. მიწიდან 100 მეტრამდე აპარატურის დაყენება აკრძალულია: დიდ სიმაღლეებს დიდი გა-

მოსხივებაც აქვს, ამიტომ ეს ზონა სანიტარულად არის გამოცხადებული. კომპურაზე ორი ლიფტია დამონტაჟებული. სამეზავრო ლიფტი 155 მეტრამდე ადის. აქ არის მრგვალი, ორსართულიანი შენობა, რომელიც დღეს დამწვარია. მეორე ლიფტი ერთკაციანია და 223 მეტრამდე აღწევს, შემდეგ გარედან კიბე მიუყვება ზევით და 51 მეტრი ფეხით უნდა აიარო. ბორის ადამია ამბობს, რომ იქ მუშაობა მაშინ არის შესაძლებელი, როცა ქარი არ არის. კომპურა-ანდის წვერის დიამეტრი 50-60 სანტიმეტრია, სადაც მამქურას ჰკიდებენ, თვითმფრინავების გასაფრთხილებლად. თუ არტერიული წნევა არ გაწუხებს, ზემოთ ასვლა სასიამოვნოცაა: „ღვანარ ანდის წვერთან, შენ გარშემო და ქვევით თეთრი ღრუბლებია. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს რძეში ცურავ. მზე ანათებს და ჰაერი გამჭვივრავია. სურვილი გიჩნდება მოაჯირს გადააბიჯო და ამ თეთრ ღრუბლებს ფეხით გაჰყვე ჰორიზონტამდე...“ — მიაძობოტს ბატონი ბორისი. საქართველოში ყველა პოეტიაო, ამბობდნენ, ეტყობა, დღესაც არ გადაშენებულან...

**„თბილისის ომი“**

თბილისის ომის დროს, როდესაც ტელევიზია გაიფიცა, კომპურასა და გადამცემებს დიდი საფრთხე დაემუქრა. მანამდე, ოქტომბრის ბოლოს, იქ ბესიკ ქუთათელაძის ნაჩხერის ბატალიონი დაბანაკდა. დეკემბრისთვის მთაწმინდაზე იარაღის იმხელა არსენალი დაგროვდა, რომ მისი აფეთქება ნახევარ ქალაქს დაანგრევდა. გადამცემის თანამშრომლები ქალაქში აღარც ჩადიოდნენ, აპარატურას დაცვა სჭირდებოდა, ხოლო რადიო-ტელევიზიის გამოთიშვა მოსახლეობაში პანიკას გამოიწვევდა. ტელევიზიის მუშაკთა გაფიცვის შემდეგ, ანდაზე სივანალს პარლამენტიდან გადასცემდნენ. შემდეგ ოპოზიციას ეს აღარ მოეწონა და ანდის ასაღებად გაემართა. ნუგზარ ბეკარიშვილი (დღევანდელი გენერალური დირექტორი), ბორის ადამია და მაღზხა გეგეშიძე შუამავლების როლს ასრულებდნენ დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ტელევიზია გამორთეს, მაგრამ მაშინდელმა მინისტრმა, ველიქს ტყეზუჩავამ, მაუწყებლობის აღდგენა ბრძანა. ანდისაკენ კი, უკვე გრუზუნით მოემართებოდა მძიმე ტექნიკა. ბორის ადამია ბრძანებას არ დაემორჩილა და პატარა მიკროსქემა არას-

წორად შეაერთა. მაუწყებლობის აღდგენა ვერ მოხერხდა. ახლა ხელისუფლების მხრიდან ატყდა ისტერიკა — სატელევიზიო გადამცემი გაიდარცვაო, მაგრამ აძას მართლაც არაფერი უკლდა. დადგა 31 დეკემბერი. ოპოზიციამ მძიმე ტექნიკით, ალყა შემოარტყა ანდას. მეორე მხარეს ბესიკ ქუთათელაძე იდგა. ერთი გასროლა და, მთაწმინდა ჰაერში აიწყოდა. ჩადგა შუაში ნუგზარ ბეკარიშვილი — მე მესროლეთო. ოპოზიციიდან გიგა არველაძე ამოსულიყო „მხედრიონელებთან“ ერთად, სამთავრობოდან — ბესიკ ქუთათელაძე. ნუგზარის საქციელმა ორივე მხარე გონზე მოიყვანა. ტყვიის გაუსროლელად, ურთიერთშეთანხმებით, ერთმა მხარემ დატოვა ანდა და მეორე შევიდა. უბედურება, მარცვა-გლეჯვა კი, ომის შემდეგ დაიწყო. სამხედრო შენაერთები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ყველამ გაჰკრა იქაურობას ბრჭყალი. ბორის ადამია იხსენებს:

— „მხედრიონი“ ბოლო კვირას იყო და წავიდა. მერე, ათასი ჯურის ხალხმა დაიწყო ამოსვლა: დაგადებდნენ შუბლზე იარაღს და მიჰქონდათ, რაც შეეძლოთ. კიდევ კარგი, აპარატურისა არაფერი გაეგებოდათ და თანაც, დაღუპებულა, თორემ იმასაც მოიკიდებდნენ ზურგზე... დათვრებოდნენ და სალალობოდ, ანდაზე დამავრებულ რადიოს ფიდერებს ესროდნენ. დიდად არეული ჭკუის ხალხი იყო. სახელებსაც ვერ ვიმახსოვრებდით — რომელ ბატალიონს რა ერქვა, — ისე სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს.

**ხანძარი**

ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგებოდა, მაგრამ სტაბილურობამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ბორის ადამია მაღზხა გეგეშიძის მონათხრობს ავსებს:

— ხანძარი რის გამო გაჩნდა, არავინ იცის. ეს მოხდა 1994 წელს და გამოძიება მგონი, დღესაც მიმდინარეობს. 155 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მრგვალ შენობას „მხედრიონი“ დაეპატრონა. თვითნაკეთი აპარატურა ჰქონდათ და ტელეკომპანია „თამარიონი“ აამუშავეს. ისეთი ღრო იყო, ჩვენ ბევრს არაფერს გვეკითხებოდნენ და მომსახურე პერსონალსაც არ უშვებდნენ. ამის გამო კონფლიქტიც მოხდა, რადგან ჩვენს საშუალოს განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს. 2-3 წელი სჭირდება მეცნიერ-მუშაკს, რომ ყველა ნიუანსში გაერკვეს. ისინი კი, არც ტექნიკის უსაფრთხოების მოთხოვნებს დავადებდნენ, არც სპეციალისტები ჰყავდათ. დაადეს ორი ბოქლომი, ზევით და ქვევით დაცვა დააყენეს... გაჩნდა ხანძარი. სანამ მეხანძრეები აქ ამ-



ოვიდენ, ჩვენმა პერსონალმა რაღაცნაირად ჩააქრო ცეცხლი. შემდეგ მეხანძრეები გაისარჯნენ და დაგვამშვიდეს — ლოკალიზაცია მოვახდინეთო. მაშინ მხოლოდ ერთი ოთახი იყო დამწვარი. ამოვარდნენ „მხედრიონელები“ და ვვინათ, ჩვენ გავაჩინეთ ცეცხლი ძალით. მოითხოვდნენ ექსპერტიზას და სანამ ექსპერტიზა არ მოვიდოდა, ანდაზე ასვლა ავკვირდებოდით. დააყენეს ქვემოთ გაძლიერებული დაცვა. ეს ამბავი საღამოს მოხდა. დილის 6 საათზე კი ხანძარმა იმძლავრა და თანდათან, მრგვალი შენობის ორ სართულს მოედო. ჩვენ ზემოთ არ გვიშვებდნენ და სანამ თვითონ მოვიდნენ, უკვე ყველაფერს ცეცხლი ეკიდა და ვედარაფერს გადაარჩენდი. აღმოჩნდა, რომ ზევით შახტის კარი არ იყო დაკეტილი. ანდა კი ბუხარითაა — მასში ჰაერი აქტიურად მოძრაობს. შახტაში ფიდერებია განთავსებული და ნაპერწკალმა მასაც წაუკიდა ცეცხლი, შემდეგ ანტენის გამანაწილებლებსაც გაჰყვა.

155 მ-ის სიმაღლეზე ქარი აგრუნუნებს დამწვარ რკინის კონსტრუქციას. უხარმაზარი რკინის ძელები ცეცხლისაგან გაღუნულია, ღია საფანჯრებიდან შენობის სიმრგვალის გამო, ქარი შიგნით ვერ დათარეშობს და გარედან ასკდება რკინას. რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები შესაძლებელია, მაგრამ საამისო თანხები არ არის. მომხდარი ხანძრის გამო, ანდა ახლა სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. აპარატურა, რომელიც მრგვალ შენობაში იყო განთავსებული, ნაწილობრივ სამკუთხედ კონსტრუქციაში ჩამ-

ოიტანეს, მაგრამ იქ დიდი სივიწროვეა. I არხის საფიდერო-საანტენო მეურნეობა მილიანად აღადგინეს, მაგრამ სხვა აპარატურა დროებითი ჩართვის სისტემით მუშაობს.

### შეღებვა

ჩვენს ანძას ისევე ღებავენ, როგორც ნებისმიერ შენობას. წესით, 5 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს ასეთი რემონტი. ეკონომიურად ხარჯვის შემთხვევაში, ანძას 15 ტონა მღვრადი საღებავი სჭირდება. ჩვენი ანდა პირველად მარტოხელა მეანძეს — მოსკოველ ლოვა ნიკოლაიჩს შეუღებავს. ხელზე ცხვრის ტყაპუჭის ხელთათმანებს წამოიცვამდა, საღებავში ხელებს ჩაყოფდა და ასე უსვამდა. 1-2 წელი მოუნდა ამ საქმეს. თოკების დახმარებით თავის თავსაც სწევდა და ვედროსაც. ანძის წვერში გორგოლაჭია დამაგრებული და ზედ, ბაგირით უნდა ჩამოეკიდო. ასეთი უბრალო, მაგრამ საოცარი მეთოდით შესაძლებელია საკუთარი თავის საჭირო სიმაღლეზე აწევ-დაწევა. 1994 წელს სანკტ-პეტერბურგის ბრიგადამ შეღება ანდა და საკმაო თანხაც წაიღო ბიუჯეტიდან. ხანძრის შემდეგ კი, 1996 წელს ჩვენმა მთამსვლელებმა — ლალო გურჩიანმა, ვალერი რატიანმა, სუტა ხერგიანმა და თენგიზ ვეზდენმა შეღებეს ნახანძრალის ზემო ნაწილი — 155-დან 234 მეტრამდე. სატელევიზიო გადამცემის თანამშრომლები ამბობენ, რომ მათი შრომა ძალიან იაფი დაუჯდათ: 60 ათასი ლარი საღებავში დაიხარჯა და 35 ათასი, ხელფასის სახით მთამსვლელებს გადაეცა.

### ღეს და ხვალ

ტელე-რადიო გადამცემები, სარელეო ხაზები, რეტრანსლატორები წელიწადში 8-10 მილიონ ლარამდე ღირებულების სამუშაოს ასრულებდა, მაგრამ მათზე ბიუჯეტიდან 1 მილიონ 200.000-ია გამოყოფილი და ამასაც დროულად არ აძლევენ. ეი-ი-ეს თელასი სულ ელექტროენერჯის გამორთვით იმუქრება, სისტემის სარემონტო თანხა არ არსებობს, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის სამსახური 60 პუნქტიან შენიშვნებს წერს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ სოლიდურ სახსრებს მოითხოვს.

საუბრის ბოლოს, ბორის ადამია მეუბნება — ძალე ამგვარი კომპიუტრები (ანძები) საჭირო აღარ იქნება — თანამგზავრიდან მიძღები მოწყობილობის ფასი თანდათან მცირდება და ყველა შეძლებს ავიანზე ან სახურავზე პატარა თეფშის დაყენებას, რომელიც კოსმოსიდან მიიღებს იმპულსსო. მაშინ მთაწმინდის ანდა მხოლოდ სიმბოლოდ დარჩება.



### ტყბილი ქანდაკებები

ბელგიელმა ოსტატმა ლივენ ბურიმ ეს ქანდაკებები სუფთა შოკოლადისგან დაამზადა. სურათზე გამოსახული თითოეული თავის გასაკეთებლად „მოქანდაკე-კონდიტერს“ ოც-ოცი კილოგრამი ტყბილი მასალა დასჭირდა.

### შეპოსევა ჰორიუმზე



ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გამართული მოღების ჩვენების დროს მოულოდნელად პირდაპირ პოდიუმზე ვითრების მთელი ჯგრო ავიდა. ბუნებრივია, ჩვენების მონაწილეებმაც და მაყურებელმაც ქალბატონებმაც კვილ-წივილი ატეხეს: თვითმხილველთა მტკიცებით, მღრღნელთა რაოდენობა, საბოლოო ჯამში, 2 ასეულამდე იქნებოდა. ამ დიდ კურიოზს ბოლოს, კიდევ ერთი კურიოზი დაემატა: უეცრად პოდიუმს რკინის სამაგრი დაენარცხა და ერთი ვითრთა გასრისა და ახლა უკვე, ჩვენებაზე მყოფი ცხოველთა დაცვის საზოგადოების აქტივისტები ახმაურდნენ: უნდა გავარკვიოთ, უბედურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თუ რკინის სამაგრი ვინმემ განგებ დაანარცხა საცოდავ მღრღნელსო...





# „ვინ იხის, იქნებ, გაქსივი სიჩაქსთან ერთად სხვათა ჩასვლენ?“

გუბრუნდებით მცხეთელი ტაქსის მძღოლის — მიხეილ ბაზალელის შარშან თბილისში მომხდარი განმარტებული მკვლელობის საქმეს, რომლის გაშუქება „გზის“ №25-ში დაფიქსურდა. მაშინ ამ მკვლელობაში ბრალდებულის, გენერალური პროკურატურის ერთერთი განყოფილების პროკურორის — ვლადიმერ სირაძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის პოლიცია გაგაცანით. ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, ამჯერად დაზარალებულებს — მოკლულის ოჯახის წევრებს მივაკითხეთ. მათ გენერალურ პროკურატურაში დღემდე გამოუძიებელი საქმის ისეთი დეტალები გაგვანდეს, რაზეც არც სირაძე და, სამწუხაროდ, არც გამოძიებლები არ საუბრობენ.

## მეზი სანავა

მიხეილ ბაზალელის მეუღლეს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ქმარი მას ვლადიმერ სირაძემ მოუკლა.

„ყველაფერი 15 წუთში მოხდა. რესტორან „კარიბჭესთან“ ღამის 4 საათზე, საშინლად მთვრალი სირაძე მიშას მანქანაში ჩაუჯდა და სახლში წაყვანა სთხოვა. ამ მომენტიდან 15 წუთის შემდეგ მიშას დისპეტჩერმა დაურეკა, მაგრამ რაციას აღარავინ პასუხობდა: მიშა უკვე მკვდარი იყო... სირაძემ თუ არა, მამ ვინ მოკლა? დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ვერც ის მოასწრებდა სახლამდე (თემქაზე) მისვლას და სხვაც ვერავინ ჩაჯდებოდა ტაქსიში“.

გენერალური პროკურატურის იმდროინდელი თანამშრომელი — საბაჟო და საგადასახლო სამსახურებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, წოდებით მაიორი სირაძე მის მიერ ბაზალელის მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს. გენპროკურატურამ მას 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა. თუმცა, ასეთი

## მოკლულის — ბაზალელის ცოლს ყოფილი პროკურორის დანაშაულები ეჭვი არ ეპარება



ნანა ბაზალელი

ბრალდების მიუხედავად, იგი არავის დაუბატიმრებია. სირაძე დღესაც გარეთ არის და, როგორც ამბობენ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არც არასოდეს აღმოჩნდება გისოსებს მიღმა. საოლქო სასამართლომ ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდა, ამის საფუძველად კი, პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობა დაასახელა.

საქმის მასალებში სირაძის საწინააღმდეგოდ მართლაც არაფერი მეტყველებს. თუმცა, რისი შედეგია ეს — გენპროკურატურის გამოძიებელთა მიერ ჭეშმარიტების დასადგენად ობიექტურად წარმოებული ძიებისა, თუ პირიქით, სწორედ ჭეშმარიტების საგულდაგულოდ მიჩქმალვისა — სხვა საკითხია...

„უცნაურია, რაში მდებს ბრალს პროკურატურა? ტყვია ჩემი იარაღიდან გასროლილი არაა, თითის ანაბეჭდები მე არ მქაუთვინის, არც თვითმზილველი არსებობს, ხელს მე არავინ მადებს...“ — აცხადებს სირაძე. დაზარალებულებს კი ყოველივე ეს უცნაურად სულაც

არ ეჩვენებათ. „დღევანდელი პროკურორებისა და გამოძიებლების ხელში გასაკვირი არაფერია. სირაძეს აღანაშაულებენ, მაგრამ არც არავინ იჭერს მას. ამ ბინძური თამაშით ჩვენ გვატყუებენ და თვალს გვიხვევენ — აი, ბრალს ვლებთო, სინამდვილეში კი საქმეს უკეთებენ. ახლა ამიტომაც ვაიძახიან — ვერაფერს ვუმტკიცებთ“ — აცხადებს მოკლულის მეუღლე — ნანა ბაზალელი და მომხდარის შესახებ მოგვითხრობს:

„ჩემი ქმარი 45 წლის გახლდათ. მთელ ოჯახს მარტო ის არჩენდა და დღე და ღამე მუშაობდა. წლების მანძილზე ტაქსისტი იყო, „ალტექსში“ კი სულ ოთხი თვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა. ამ საქმეში გამოცდილი გახლდათ და მგზავრებთან ურთიერთობა ნამდვილად არ ეშლებოდა, ამიტომაც, მათთან უსიამოვნება იშვიათად მოსდიოდა. თავისი მანქანა ისე უყვარდა, რომ გვერდიდან არ შორდებოდა, სულ ამოწმებდა, უვლიდა. ხშირად ვხუმრობდით-ხოლმე — მანქანა ცოლ-შვილს გირჩევნია-თქო, ის კი გვპასუხობდა: ამით გვიდგას სული, ეს რომ მწყობრიდან გამოვიდეს, ჩვენც მშვივრები დავრჩებითო...“

იმ დღეს (2000 წლის 19 ივლისი), დილით, მიშა, ჩვეულებრივად, სამსახურში წავიდა. თბილისში ყოველდღე მცხეთიდან დადიოდა. მშვიდად გამოიყურებოდა, არც რამეზე ნერვიულობდა. გვითხრა — მორიგე ვარ სამსახურში და წავიდა. როგორც მისი თანამშრომლები ამბობენ, მთელი დღის მანძილზე, თურმე, ვერაფერი უშოვია, „კარგი კლიენტი“ არ შეხვედრია. მიშა ამას ყოველთვის ძალიან განიცდიდა, რადგან სახლში ხელცარიელი მოსვლა არ უყვარდა. შუალამისას რესტორან „კარიბჭიდან“ ტაქსი გამოუძახიათ და მიშასთვის უთქვამთ —




შენ წადიო. რესტორანთან რომ მისულა, დაახლოებით დამის 4 საათისთვის, დისპეტჩერი დაჰკავშირებია რაციით. თანამშრომლები ჰყვებიან: მიშამ დისპეტჩერს უთხრა – ნუ დამირეკავ, ეს ტიპები რაღაც არ მომწონს, ძალიან მთვრალეები არიან და არ მინდა გავაღიზიანო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ჩემს ქმარს მანქანაში სირაძე მარტო კი არა, სხვასთან (ან სხვებთან) ერთად ჩაუჯდა. მიშას სიტყვები დისპეტჩერს არ მოსწონებია, მაინც წრიალებდა თურმე – უნდა დავრეკო. 15 წუთში დაურეკავს კიდევ, მაგრამ რაციას უკვე აღარავინ პასუხობდა... სამწუხაროდ, დღეს ამ დეტალებზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. სირაძე ამბობს, რომ ტაქსიში მარტო ჩაჯდა. მოწმედ თავისი ბიძაშვილი და რესტორნის მიმტანი მოჰყავს. ასეთი მოწმეების შონა ხომ მას ნამდვილად არ გაუჭირდებოდა! უფრო მეტიც, იმდენს მიაღწიეს, რომ მკვლელობის თვითმზილეელებიც – ახლომდებარე კორპუსის პირველ და მეორე სართულზე მაცხოვრებლებიც გადაიბირეს. ისინი ღამით საავადმყოფოში ზედიზედ რეკავდნენ (კომპიუტერის მეშვეობით დაფიქსირებულია ტელეფონის ნომრები და დარეკვის დრო), დღეს კატეგორიულად უარყოფენ – ჩვენ არც საავადმყოფოში დაგვირეკავს და არც დამნაშავე დაგვინახვსო... დროც გააყალბეს. მოწმეებს, რომლებიც რესტორანთან ტაქსის მისვლის დროდ თავდაპირველად 4 საათს, მკვლელობის სავარაუდოდ დროდ კი 4.15 საათს ასახელებდნენ, გადაათქმევინეს და ხე-

ლმეორედ დაკითხვისას დააფიქსირებინეს, რაც სირაძეს აძლედა და ხელს.

დიდუბის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა – შოთა გენგაშვილმა პირადი საუბრისას ისიც გვითხრა – შემთხვევის დათვალიერების ოქმი რომ შევადგინე, ყველაფერი ზუსტად ისე აღვწერე, როგორც სინამდვილეში ვნახე, ის მასალები სირაძეს დანაშაულში პირდაპირ ამხელდა, მაგრამ რა ვქნა – ყველაფერი იმ დღესვე დამახვეინესო... ვისი მითითებით დახია, ჩვენთვის არ უთქვამს, მაგრამ ცხადია, ზემოდან უბრძანეს. (დაზარალებულის ეს სიტყვები შოთა გენგაშვილთან გადავამოწმეთ. მან აღნიშნული ფაქტი კატეგორიულად უარყო: „აბსურდია, ასეთი რამ მე არავისთვის მითქვამს, ოქმებს არც პოლიციაში, არც პროკურატურაში არავინ ხევს“ – განაცხადა მან. – ავტ.). ვლადიმერ სირაძეს საოლქო სასამართლოში შევხვდით. ჩემმა ქალიშვილმა დაღუპული მამის სურათი აჩვენა და უთხრა: კარგად დააკვირდი ამ სურათს, მამაჩემის თვალები მთელი ცხოვრების მანძილზე აგედევნება და მოსვენებას არ მოგცემს, მიზეზი მაინც მითხარი – მამა რისთვის მომიკალიო? სირაძემ კი, სრულიად დამშვიდებულმა, ღიმილით უპასუხა: მე არ მომიკლავს, ვიცი, ვინც მოკლა და 10 დღეში იმ ადამიანს მოვიყვანო. მისი ეს სიტყვები მაშინ ვიდეოკასეტაზეც დაფიქსირდა. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ მისი მოყვანილი მკვლეელი არსად ჩანს. თავისი ნათქვამი რომ შევახსენეთ, გვითხრა – როდის ვითხარით, აბა, მაჩვენეთ ის ვიდეოკასეტა, სადაც მსგავს რამეს ვამბობო. ვიდეოკასეტები მოვიკითხეთ, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ: როგორც ჩანს, ისინიც გაანადგურეს“.

დაზარალებული ნანა ბაზალელი აღნიშნავს, რომ იგი ვერ ხვდება, რა შეიძლებოდა ყოფილიყო სირაძის მიერ მისი ქმრის მკვლელობის მიზეზი. „ფული რომც ჰქონოდა მიშას, სირაძეს არაფერში სჭირდებოდა,

მოკლულის ქალიშვილი – რუსუდან ბაზალელი



მოკლული მიხეილ ბაზალელი

არც მანქანის გატაცებას მოისურვებდა. როგორც ჩანს, რაკი ნასვამი იყო, რაღაცაზე გაღიზიანდა და ჯავრი ჩემს ქმარზე იყარა“, – ამბობს იგი.

თავად სირაძე ირწმუნება, რომ საკმაოდ მშვიდი და მზიარული სიმთვრალე აქვს, თუმცა დაზარალებულთა თქმით, საპირისპირო ხმებიც დადის. ბრალდებულის მტკიცებით, მას ტაქსის მძღოლთან გზაში არაფერზე უსაუბრია: „ჩემთვის ვიჯექი და ტელეფონით ერთ ნაცნობს ვურეკავდი. ყურმილი არ აიღო და თავი დავანებე. მისი ვინაობის დასახელებას აზრი არა აქვს, რადგან საქმეს ეს არაფერს აძლევს. ისე კი, ისიც თემქის დასახლებაში ცხოვრობს“, – ამბობს სირაძე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, პოლიციელებმა ბაზალელის მანქანაში მძღოლის ფეხებთან დაგდებული სიგარეტი „დავილოვი“ იპოვეს. „დავილოვს“ იმ ღამით რესტორანში ვლადიმერ სირაძე ეწეოდა. „მართალია, „დავილოვს“ მე ვეწეოდი. მანქანაშიც მქონდა, მაგრამ წასვლისას იგი მძღოლს დავუტოვე. სიგარეტი მას ჩემთვის არ უთხოვია – ასე საკუთარი ინიციატივით მოვიქეცი. სხვათა შორის, შემთხვევის დათვალიერების პირველ ოქმში (რომელიც დღეს, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, რადგან ჩემს საწინააღმდეგოდ სპეციალურად გაანადგურეს) ეწერა, რომ „დავილოვი“ მათ, მძღოლის მხარეს, კარის ჯიბეში იპოვეს. მეორე ოქმში ჩაწერეს –



ძირს ეგდო. ეტყობა, თავად გამოძიებლებმა დააგდეს“ – დასძენს სირაძე. ჩვენს შეკითხვაზე – ჰქონდა თუ არა მას სახლში კიდევ სიგარეტი, – გვიპასუხა:

– არა, არ მქონდა, მაგრამ მძლღოს ჩემი „დავიდოვი“ მაინც დაუტოვე.

– თქვენ არ მოგიწოდებოდათ მოწვევა?

– ნასვამი როცა ვარ, სახლში არ ვეწვივი.

– როგორც შევტიყვევთ, შემთხვევამდე ორი თვის მანძილზე თქვენს ცოლ-შვილთან ერთად არ ცხოვრობდით და ამ პერიოდის შემდეგ, 19 ივლისს, ღამით პირველად მიხვედით შინ.

– ეს სიმათლეს არ შეეფერება.

– არსებობს თქვენი ბიძაშვილის — კარპეზ სირაძის ჩვენება, რომელიც ამას ადასტურებს. კარპეზ სირაძე აღნიშნავს, რომ იმ ღამით რესტორანში გირჩევდათ, ცოლ-შვილთან მისულიყავით...

– მართალია, კარპეზ სირაძე ამას მირჩევდა, მაგრამ იმიტომ მეუბნებოდა, რომ არ უნდოდა სხვაგან წავსულიყავი. შინ თუ მივიდოდი, უფრო მშვიდად იქნებოდა. ამიტომაც დარეკა მერე და მკითხა — როგორ მიხვედით?

– სხვაგან სად უნდა წასულიყავით?

– პლენანოვზეც მაქვს მეორე სახლი. ხან იქ ვრჩებოდი, ხან თემქაზე.

– რამდენად ხშირად რჩებოდით პლენანოვზე მდებარე ბინაში?

– ბოლო დროს იქ დარჩენა ხშირად მიწევდა, რადგან მანქანა არ მყავდა. უმანქანობის გამო პლენანოვზე ვლადიმერ სირაძე

ხშირად ვრჩებოდი, ეს მართალია.

– დაზარალებულის ოჯახი ირწმუნება, რომ თქვენ მათ საოლქო სასამართლოში დაპირდით, — ვიცი, მკვლელი ვინც არის და 10 დღეში მას მოგიყვანთო.

– არც ეს არის სიმათლე. არც დაფიქსირებულია სადმე ეს სიტყვები. 10 დღეში მოგიყვანთ მკვლელსო — ეს მე მათთვის არ მითქვამს. უბრალოდ, ვთქვი, რომ ძალიან მალე გაიხსნებოდა საქმე.

– რა საფუძველი გქონდათ ამ განცხადებისთვის?

– მქონდა მონაცემები კონკრეტული პიროვნების შესახებ, ვისაც შეემლო ეს მკვლელობა ჩაედინა.

– ახლა სად არის ის მონაცემები? რატომ არ გამოიკვეთა იმ პირის ვინაობა?

– მის შესახებ მონაცემები გამოძიებას გადავეცი, მაგრამ მათი რეალიზება ვერ მოახერხეს...

დადგენილია, რომ 2000 წლის 18 ივლისის საღამოდან რესტორან „კარიბჭეში“ ვლადიმერ სირაძის ბიძაშვილი — კარპეზ სირაძე (გურიის სამხარეო პოლიციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი), კარლოს დოლიძე (შს სამინისტროს თანამშრომელი), კარპეზ სირაძის მეგობარი და მამუკა ჟღენტი ქეიფობდნენ. სირაძის თქმით, რესტორანში მისი მისვლისას კარლოს დოლიძე და მამუკა ჟღენტი მას აღარ დახვდნენ, მან მხოლოდ კარპეზ სირაძესა და მის მეგობართან ერთად იქეიფა. ამას ზემოთ ხსენებული პირებიც ადასტურებენ. თუმცა, ამ დასტურისა დაზარალებულებს არ სწამთ. „დანაშაულის შესახებ ალბათ მათაც ბევრი რამ იციან. არ გამოვირიცხავ, რომ მკვლელობაში მონაწილეობა რესტორანში კარპეზ და ვლადიმერ სირაძეებთან ერთად მყოფმა სხვა პირებმაც მიიღეს, სირაძე კი თავის მხრივ მათ ხელს აფარებს“, — ეჭვობს ნანა ბაზალელი. ითქვა ისიც, თითქოს ბრალდებულმა მოკლულის ოჯახს სინჯისთვის 50.000 ამერიკული დოლარიც შესთავაზა. დღეს ამას ორივე მხარე უარყოფს.

# გაკვლელი ვლადის ანაფორაში?

ამ დღეებში უზენაესმა სასამართლომ 34 წლის კახაბერ მკერვალიშვილის საქმის განხილვა დაიწყო. განსასჯელს, რომელსაც ცოლი და ერთი მცირეწლოვანი გოგონა ჰყავს, პროკურატურა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში სდებს ბრალს. ბრალდებულის დადასტურების შემთხვევაში, მას სამუდამო პატიმრობა ელის.

## მეზი სანაპა

კახაბერ მკერვალიშვილზე ოფიციალურად, 1996 წლის მარტიდან ძებნა იყო გამოცხადებული. იმ პერიოდში სამართალდამცავები მას დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად ჩადენილ ბანდიტიზმში, ძარცვა-ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვასა და ერთ-ერთი ბანკის ძარცვისას ბანკის თანამშრომლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. არაოფიციალური ინფორმაციით, მკერვალიშვილი პოლიციელებისგან თავის დასაღწევად ფრიად უჩვეულო ხერხს მიმართავდა: იგი წვერმოშვებული, მღვდლის ანაფორით, კისერზე დიდი ჯვრით დადიოდა და თავს მამა კახაბერად ასალებდა. პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში მკერვალიშვილის ანაფორის შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა ის, რომ მას დიდი წვერი ჰქონდა მოშვებული, ჯვრებსა და ხატებს დაატარებდა — დაფიქსირებულია. აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს განსასჯელის ადვოკატი — ნოდარ ფეიქრიშვილი: „კახა მორწმუნე კაცი რომ არის, ვიცი. იგი ასეთ მკრეხელობას არ ჩაიდენდა“ — გვითხრა მან. თუმცა იმ ფაქტს, რომ პოლიციელებისგან მიმალვაში მყოფი მკერვალიშვილი, წვერმოშვებული, პისტოლეტითა და დანით შეიარაღებული დადიოდა — ადვოკატი არ უარყოფს.

ნოდარ ფეიქრიშვილი: „ამას არ გამოვირიცხავ, რადგან იგი ძებნილი იყო და დამალვას ცდილობდა. თუმცა, იარაღის ტარებისკენ მას თავად პროკურატურის უსამართლობამ უბიძგა, ისევე, როგორც ამ უკანონო ღვენამ იგი







**განსასჯელი  
კახაბერ მკერვალიშვილი**

ძმძიე დანაშაულებამდე მიიყვანა“.

პროკურატურის უსამართლობაში ადვოკატი იმას გულისხმობს, რომ, მისი აზრით, გამოძიებამ მკერვალიშვილის ძარცვა-ყაჩაღობისა და ბანდიტიზმის, ისევე, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობის შესაფარდი რვა მუხლი სრულიად უსაფუძვლოდ, მტკიცებულებების გარეშე მიუყენა და ძებნაც უდანაშაულო ადამიანზე ტყუილებრად გამოაცხადა.

სამართალდამცავთა მიერ მკერვალიშვილისადმი წარდგენილი ერთადერთი ბრალდება, რომელსაც ადვოკატი საკვებით არ უარყოფს, დამამძიმებელ გარემოებებში პოლიციის თანამშრომლის განზრახ მკვლელობა გახლავთ.

ფაქტი 2000 წლის 6 აპრილს მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, ღამით, დაახლოებით 03.00 საათისთვის, პოლიციის თანამშრომლები – დავით გიგაური და ნიკა კახიძე ქავთარაძის ქუჩაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ღამის შემოვლას აწარმოებდნენ. ამ დროს მათ ერთ-ერთ ჯიხურთან ჩოჩქოლი გაიგონეს. კახაბერ მკერვალიშვილი ჯიხურის გამყიდველს რაღაცას ედავებოდა. პოლიციელები საქმის გასარკვევად მათ მიუახლოვდნენ. მკერვალიშვილმა მათაც ჩხუბი დაუწყო, მან მოულოდნელად დანა მოიჭნია, და ნიკა კახიძე ხელში დაიჭრა, მერე კი „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დავით გიგაური მოკლა.

ნიკა კახიძე:

„ჯიხურთან შევნიშნეთ, რომ ვიღაც წვერებიან უცნობ მამაკაცს გამყიდველთან უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონდა. ჯიხურს მივუახლოვდით. დათო უცნობს შევეითხა – რა მოხდა, ამ ქალს რას ერჩიო? აღმოჩნდა, რომ იგი ჯიხურის გამყიდველს არყებს, შოკოლადებს და სხვა ტკბილეულობას სთხოვდა. ერთი სიტყვით, დაყარ-

ალებას უპირებდა. ტანზე მღვდლის მოკლე ანაფორა ეცვა, კისერზე დიდი ხის ჯვარი ეკეთა, ხოლო თმა უკან შეკრული ჰქონდა. დათოს შეკითხვაზე უპასუხა: – შენ მე ჭკუას რას მასწავლი, მე მამაო კახაბერი ვარო... ამ დროს მან მოულოდნელად ჯიბიდან დანა ამოიღო. მე დათოს დაუყვირე: „ფრთხილად, დანას იღებს-მეთქი!“ და მამაკაცს ხელში ვწვდი. მაშინ დანამ ხელისგული გადამიხერა. ამ მომენტში დათომ თავისი პისტოლეტიდან ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთა. შუაღამე იყო, ბნელოდა და უცნობს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა – მკერვალიშვილს, კარგად ვერ ვხედავდით, თუმცა თავად ჩვენ დანახვა არ გაუჭირდებოდა, რადგან ჩვენ განათებულ ადგილას ვიდექით. სწორედ მაშინ მან უეცრად ცეცხლსასროლი იარაღიც ამოიღო და დათოს მიმართულებით გაისროლა. დათოს ტყვია მუცელში მოხვდა და იქვე ჩაიკეცა. მკერვალიშვილმა იარაღი შუბლზე მეც მომადო. სასხლეტს ხელი გამოჰკრა, მაგრამ ტყვია არ გავარდა. მეორედაც დამიძინა, არც მაშინ გაისროლა იარაღმა. მე პისტოლეტი იმ დღეს არ მქონდა, ვეცადე, როგორმე წინააღმდეგობა გამეწია. ხელი დავეუკავე, მან კვლავ გაისროლა. ამჯერად ტყვია გავარდა, თუმცა ჰაერში. იარაღი წავართვი და იგი თავში მას რამდენჯერმე ჩავარტყი.

მკერვალიშვილმა გონება დაკარგა, მე კი ისევ დათოსკენ გამოვბრუნდი – დაჭრილი იყო და მინდოდა, როგორმე დავხმარებოდი. გასროლის ხმას და ყვირილზე ხალხი მოგროვდა. იქვე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლებმა საავადმყოფოსა და პოლიციაში დარეკეს“.

დავით გიგაური ნიკა კახიძემ საავადმყოფოში მიიყვანა, თუმცა ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. როგორც აღმოჩნდა, მუცლის არეში მოხვედრილი ტყვია ნეკნმა აისხლიტა და გულში მოხვდა. გიგაურმა შემთხვევიდან მხოლოდ ორი საათი იცოცხლა.

ნინო ნებულიშვილი, მოკლულის მეუღლე:

„შემთხვევის ადგილას პოლიცია რომ მისულა, მკერვალიშვილი ჯერ კიდევ

უგონოდ ევლო თურმე ასფალტზე. მიუახლოვდნენ თუ არა, გონს მოსულა და უთქვამს: თავი დამანებეთ, მე ლოთი ვარო. მაშინ ხალხს დაუყვირია – ლოთი კი არა, ამან ესროლა იმ ბიჭსო. ამის შემდეგ, პოლიციას იგი დაუკავებია.“

თავად კახაბერ მკერვალიშვილი დუმილის უფლებით სარგებლობს. მას არც წინასწარი გამოძიებისთვის და, ჯერჯერობით, არც სასამართლოსთვის ჩვენება არ მიუცია. დავით გიგაურის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატიც. თუმცა, ჩვენთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ ბევრ დეტალში გამოძიების ვერსიასა და დაზარალებულების მონათხრობს არ ეთანხმება.

ნოღარ ფეიქრიშვილი:

„კონკრეტულ დეტალებზე ყურადღების გამახვილებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ყველაფერი სასამართლო ძიებისას გამოაშკარავდება. ამ ეტაპზე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ განსასჯელზე ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას მოვითხოვ. როცა მკერვალიშვილი შემთხვევის ადგილიდან საავადმყოფოში მიიყვანეს, დაფიქსირდა, რომ მას თავის არეში არაერთი ძმძიე დაზიანება, ჭრილობა და დაჟეჟილობა ჰქონდა. ასეთი ტრავმების შემდეგ ძნელია, ადამიანს ნორმალური ფსიქიკა შერჩეს. ხშირად აქვს თავის ტკივილები, ჩემთან პირად საუბარშიც ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. უფრო მეტიც: არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ შესაძლოა, მკერვალიშვილი გიგაურის მკვლელობამდე არ იყო სავსებით ჯანმრთელი. სამწუხაროდ, გამოძიებებმა ჩემი აზრი არ გაიზიარეს და მეტიმეტად „მშრალი“ პასუხი გამცეს – უსაფუძვლობის გამო, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ექსპერტიზის დანიშვნაო. იმავე მოთხოვნით სასამართლოსაც მივმართავ. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.“

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოში მოწმეთა დაკითხვას დაიწყებენ. როგორც შევითქვით, კახაბერ მკერვალიშვილმა დაახლოებით ერთი თვის წინ ციხიდან გაქცევაც სცადა. ამის გამო, პროკურატურა მას, სავარაუდოდ, ახალ ბრალდებებს წაუყენებს.



**მოკლული  
დავით გიგაური**

რუსულან ფეხვიაშვილი:

დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული მხატვარი, რუსუდან ფეხვიაშვილი ხელოვნების „ეკალ-ვარდიან“ გზას საკმაოდ ადრეულ ასაკში შეუდგა. ალბათ, შედარებით უფროსი თაობის მკითხველს კარგად ემახსოვრება სულ ერთი ციდა გოგონას პერსონალური გამოფენები, დიდი და ჭკვიანი თვალებით რომ შესცქეროდა მასთან მისულ დამთვალეებზე, რომლებიც გაოცებას თუ აღტაცებას ვერ ფარავდნენ...

# შემაჯავება, რომ ჩემი პირველი გამოფენა ელენე ახვლედიანმა გახსნა!

ლარი ბრეკელიშვილი

— პირველი ნახატი წლისა და ათი თვისამ დავხატე — ზუსტად ამდენით ვარ ჩემს ძმაზე უფროსი. როდესაც სამშობიაროდან სახლში გამოიყვანეს, არავის არაფერს ვაცლიდი, ყველას ფეხებში ვუღებოდი... ჰოდა, რომ გაჭერებულიყავი, თავიდან მოსაშორებლად ფურცელი და ფანქარი მომარჩევს — რამე დახატეო. მეც ავღეჭი და ჩემი ძმის პორტრეტი დავხატე. როგორც ჩვენები მეუბნებიან, საკმაოდ კარგად გამომსვლია...

— როგორ ოჯახში გაიზარდა რუსუდან ფეხვიაშვილი?

— ერთ ჩვეულებრივ, თბილ და მოსიყვარულე ოჯახში. მამაჩემი, ვახტანგ ფეხვიაშვილი მხატვარი და მოქანდაკეა, სამხატვრო აკადემიაში ასწავლის. დედაჩემი ფილოლოგი და პოეტი. დრამატურგიაშიც მუშაობს და ბევრი პიესა აქვს დაწერილი საბავშვო სპექტაკლებისთვის. მოკლედ, ხელოვანთა ოჯახში ვიზრდებოდი და ბავშვებიც ამ გზას გავეყვით. მხოლოდ ჩემი უფროსი ძმა, გიორგია ეკონომისტი, დანარჩენები — სამივე და — მხატვრები ვართ. ყველაზე პატარა, სალომე ახლა სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. აკადემია ჩემმა უმცროსმა ძმამ, დიმიტრიმაც, დაამთავრა, მოქანდაკეა.

მშობლებმა კარგად იცოდნენ ხელოვნების ფასი და ჩვენც შესაბამისად გვექ-

ცოდნენ — ცდილობდნენ, მშვიდი გარემო შეექმნათ ჩვენთვის და ამ მხრივ არანაირად არ გვზღულავდნენ...

— შენი პირველი გამოფენა როგორ გახსოვს?

— როდესაც ჩემი ნახატების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო, ექვსი წლის ვიყავი. ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში ჩემი ოთხმოცამდე ნამუშევარი გამოიფინა. განსაკუთრებით საამაყო კი ჩემთვის ის არის, რომ ეს გამოფენა ელენე ახვლედიანმა გახსნა... მოგვიანებით, 8 წლის რომ გავხდი, კიდევ ორი პერსონალური გამოფენა მქონდა — მოსკოვში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში და ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში. იქაც ოთხმოცი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ექვსი წლის ასაკამდე მხოლოდ ფანქრით ვხატავდი. პერსონაჟებით დატვირთული კომპოზიციები მქონდა, რადგან ფონსაც ადამიანებისა და ცოცხალ არსებათა სახეებით ვავსებდი ხოლმე.

— სეროზული ხელოვანის სახელი საკმაოდ ადრეულ ასაკში დაიმკვიდრე. როგორი გავლენა იქონია ყოველივე ამან სხვა ბავშვებთან შენს ურთიერთობებზე?

— ისევ და ისევ მშობლების დამსახურებით, მსგავსი პრობლემა ნამდვილად არ მქონია. ისე, მართლაც არსებობს ასეთი საშიშროება. ბავშვი ხომ ძალიან დაუცველია და ასეთი რაღაცები მასზე ყოველთვის

ცუდად მოქმედებს. დედა ყოველთვის ცდილობდა, დიდ აჟიოტაჟს მოვერიდებინე — რაც შეიძლება ნაკლებ ყურნალისტს შევხვედროდი, ხოლო როცა ჩემი თანდასწრებით, ჩემს ნახატებზე წამოიწყებდნენ საუბარს, სხვა მიმართულებით წავეყვანა იგი. ჩემს გასაგონად კი ასე ამბობდა: განსაკუთრებული არაფერია — ჩვეულებრივი, ბავშვური ნახატებიაო... ეგ კი არა, ახლა მიყვება ხოლმე: ქუჩაში შენი გამოფენის პლაკატს რომ წაგაწყვდებოდი, მეორე მხარეზე გადაწყავდი ხოლმეო...

— მიუხედავად ამისა, თანატოლებში მაინც გამორჩეული იქნებოდი. პოპულარობას კი ბავშვებშიც თავყვანისმცემელთა მომრავლება მოაქვს...

— რა გითხრათ — სკოლაში სხვებიც განდიდად გამორჩეული ნამდვილად არ ვყოფილვარ, მთელი ყურადღება სწავლაზე მქონდა გადატანილი. ესეც არ იყოს, არც გარეგნობით ვიყავი მაინცდამაინც მზეთუნახავი. ჩემებიც ყოველთვის ცდილობდნენ, მაქსიმალურად დატვირთული ვყოფილიყავი — როდესაც დამატებით, უცხო ენას სწავლობ, ცურვაზე დადიხარ, მუსიკას ეუფლები, „შეყვარებულობანას“ თამაშისთვის დრო ნაკლებად გრჩება. სხვათა შორის, საკონცერტო გუნდშიც ვმღეროდი და რამდენიმე ოლიმპიადაშიც გავიმარჯვეთ. დროს ისიც მართმევდა, რომ უცხოეთში მოწყობილი გამოფენების გამო, გაკვეთილებს ხშირად ვაცდენდი და იქიდან დაბრუნებულს მეცადინეობაში ღამეების თენება მიწევდა, პროგრამას რომ დაწვეოდი.

— ღამეებს რატომ ათენებდი — შენი გამორჩეული ნიჭის გამო, მასწავლებლები შელავათს არ გინევენ?

— ნუცუბიძეზე ვსწავლობდი, პატარა სკოლაში. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება — ზემოთ, მთაზე ავდიოდით ხოლმე ფეხით. ახალგაზსნილი სკოლა იყო, ბავშვები ცოტანი ვიყავით და ისე ვახლობლობდით, როგორც ერთი ოჯახის წევრები. მასწავლებლებიც ძალიან მიყვარდა, მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი და ჩემთვის შელავათიც რომ გაეწეათ, მათთან უცოდინარი მაინც ვერ მივიდოდი. მე-10 კლასში რომ ვიყავი, საფრანგეთიდან „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მქონდა შეკვეთა. სკოლის ღირეჟტორი მაშინ მზია კიწმარიშვილი იყო — მისი სიკეთე დღესაც მახსოვს, იმდენი ირბინა განათლების სამინისტ-



ტროში და მეთოდკაბინეტებში, გამოცდებ-  
ისგან რომ გავეთავისუფლებინე: ბავშვს  
ასეთი სერიოზული სამუშაო აქვს და  
ცოდვას, ახლა გამოცდების გამო რომ  
ინერვიულოსო. მომზადებულაც ვიყავი და  
მასწავლებლებიც შეღავათს გამიწვედნენ,  
მაგრამ გამოცდებზე რომ გავსულიყავი,  
ისეთი ბუნების ვარ, მართლა ძალიან ვინ-  
ერვიულებდი და აღარც საქმე გამომივი-  
დოდა კარგად. მოკლედ, ამ ქალბატონის  
დღესაც დიდად მაღლიერი ვარ...

**— სკოლის დამთავრების შემ-  
დეგ?**

— იმ პერიოდში ძალიან ბევრს ვმუშაობ-  
დი. „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული  
ხალხური ზღაპრების გარდა, თოჯინების  
თეატრის ფოიეს ერთ-ერთი კედელიც  
მოვხატე. სამი თვე ვმუშაობდი. ძალიან  
გამიჭირდა, რადგან ეს ჩემთვის პირველი  
მონუმენტური ნახატი იყო, მანამდე ტილოზ-  
ეც კი არ დამეხატა... მასწავლებელს, ამ საქმისთვის  
ძალიან დიდი თანხა იყო გამოყოფილი,  
მაგრამ ჰონორარზე უარი ვთქვი: თეატრის  
მთლიანი განახლება ხდებოდა და ის  
ფულიც ამას მოხმარდა. მოგვიანებით  
თეატრმა „სამაგიერო გადამიხდა“ და ეს  
ფოიე გალერეისთვის დამითმო. თანაც,  
თეატრის ნაწილადაც დარჩა: შესვენებისას,  
სპექტაკლზე მოსული ბავშვები ნახატებს  
ათვალიერებენ.

კეთილსმისურველი არც სკოლის  
დამთავრების შემდეგ დამლევიდა. იმ პერი-  
ოდში თბილისში ჩემი ნახატების გამოფე-  
ნა იყო, რომელმაც საზოგადოების ძალიან  
დიდი ყურადღება მიიპყრო და რამდენ-  
ჯერმე მისი დახურვაც გადავდეთ. წარ-  
მატებით ისედაც ბედნიერი ვიყავი... ამ  
დროს ბატონი თემურ გოცაძე მოვიდა  
ჩემთან და მითხრა: რუსიგო, შენთვის კარ-  
გი სიურპრიზი მაქვსო... აღმოჩნდა, რომ  
სამხატვრო აკადემიაში ჩემი უგამოცდოდ  
ჩარიცხვა გადაწყვიტათ. ეს ჩემთვის მარ-  
თლაც სიურპრიზი იყო, რადგან აკადემი-  
ური სტილითა და მანერით ხატვა არა-  
სოდეს მიცდია. ვინმეს, წესების სრული  
დაცვით რომ მოეთხოვა ჩემთვის გამოცდების  
ჩაბარება, ნამდვილად ჩავიჭრებოდი და  
აკადემიური გამოცდისთვის ჩემს ნახატებსაც  
დაიწუნებდნენ... თეატრალური ფერწერის  
განხრით, პირდაპირ მეორე კურსზე დამსვენს.  
რამდენიმე კვირის შემდეგ გოგი მესხიშ-  
ვილთან მოვხვდი. მიყურა, მიყურა და ერთ  
მშვენიერ დღეს გამომიცხადა: შენ უკვე  
ჩამოყალიბებული მხატვარი ხარ, აქ ტყუი-  
ლად ცდები, აკადემიაში სიარული ბევრს  
არაფერს მოგცემს და ხელსაც გაიფუჭებ,  
უძვობესია, სახლში იმუშაო... დავუჯერე,

მაღლობა გადავუხადე და მას შემდეგ  
აკადემიაში აღარც მივსულვარ. იმ პერი-  
ოდში მართლაც ძალიან დაკავებული ვიყავი  
— წელანაც აღვნიშნე, რომ ერთდროულად  
რამდენიმე დაკვეთაზე ვმუშაობდი. მოგვი-  
ანებით, სამხატვრო აკადემიის დიპლომი  
მინც ავიღე — წიგნის გრაფიკაში დაე-  
იცავი, ჩემ მიერ ილუსტრირებული „ვეფხ-  
ისტყაოსნის“ ფრანგული გამოცემის მიხედ-  
ვით.

**— „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართუ-  
ლი ხალხური ზღაპრების“ გამომცე-  
მელი ვინ იყო?**

— პარიზში არის ერთი სოლიდური  
გამომცემლობა — „პუბლიკაციონ ორიენ-  
ტალის დე ფრანს“. მან საბჭოთა გამომ-  
ცემლობასთან ერთად შეიმუშავა ერ-  
თობლივი პროექტი, რომლის მიხედვითაც  
გამოცემული და ჩემ მიერ ილუსტრირე-  
ბული, ფრანგულ და ქართულ ენებზე  
გამოცემული ეს ორი წიგნი, საბჭოთა  
კავშირში, საფრანგეთსა და ყველა ფრან-  
გულენოვან ქვეყანაში გავრცელდა.

**— ახლა შენს საკუთარ ოჯახზე  
გვითხარი რამდენიმე სიტყვა...**

— ჩემი მეუღლე, თემურ ბადრიასვილი  
აქ, თოჯინების თეატრში გავიცანი, როდე-  
საც ამ კედლის მოხატვაზე ვმუშაობდი.  
ის მაშინ თეატრალური ინსტიტუტის კურს-  
დამთავრებული იყო და თეატრში დიპლომს  
იცავდა (ამჟამად, ამავე თეატრის დირექ-  
ტორია). მეათე კლასში ვიყავი მაშინ და  
დავინახე თუ არა, მომეწონა კიდეც და  
გულიც დამწყდა — ეჰ, რა კარგი  
ბიჭია-მეთქი... ერთი წლის შემდეგ  
ისევ შევხვდი, გავიცანი, დავახ-  
ლოვდით და, ასე იყო თუ ისე,  
საკმაოდ ადრე, 18 წლისა გავთხო-  
ვდი. მას შემდეგ ერთად ვართ —  
მასზე საუკეთესო და ახლო მე-  
გობარი არ მყავს. თემური ძალიან  
აქტიურია — თანამშრომლობდა რამ-  
დენიმე ფრანგულ საერთაშორისო  
ორგანიზაციასთან, განახორციელა  
ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამე-  
ბი — მოკლედ, თოჯინების თეატ-  
რით სულდგმულობს.

**— ხელგან ხალხს და,  
განსაკუთრებით, მხატვრებს, ბევ-  
რი უცნაურობა ახასიათებთ  
ხოლმე. თქვენს ურთიერთობა-  
ში ასეთი რამ არ მომხდარა?**

— რა ვიცი... როდესაც ვხატავ,  
სამი რამ მჭირდება: დღის სინა-  
თლე, სიმშვიდე და მუსიკა. ერთ-  
მანეთის კარგად გვესმის და ამ  
ელემენტარული პირობების შექმ-

ნას ვახერხებთ.

**— ხელში ფუნჯს რომ იღებ,  
ყოველთვის იცი, რა უნდა დახატო?**

— მე ეს არასოდეს არ ვიცი... „ხატვა-  
ში“ ვფიქრობ, ვცხოვრობ, განვიცდი, ამიტ-  
ომ, არასოდეს არ ვიცი, რას ვაწვდებ ჩემი  
ფიქრი, რამდენად შორს წავალ — ამიტო-  
მაც არის ხოლმე ზოგჯერ ჩემი ნახატები  
პერსონაჟებით მეტისმეტად გავსებული...

**— თუ არის შენს ნახატებში  
ისეთი, რომელიც გამორჩეულად  
გიყვარს ან გამორჩეულად „ბავშვა-  
რება“?**

— ვერ ვიტყვი, რომელიმე გამორჩეუ-  
ლად მიყვარს ან მეჯავრება-მეთქი. ის  
ნახატი უფრო მიყვარს, რომელიც ხატვი-  
სას ნაკლებად მაწვალებს... იცი, ზოგიერ-  
თი ნახატის ქვეშ კიდევ სამი ნახატია  
მოქცეული... (რუსულანმა კედლისკენ მიმ-  
ითითა) აი, ის ნახატი, ახლა რომ მეწამ-  
ულ ფერებშია, თავდაპირველად სხვანაირი  
იყო. არ მომეწონა და, ტილოს ეკონომიის  
მიზნით, ზედვე გადავახატე. ასე გავაკეთე  
მეორედ და მესამედაც. ასე მგონია ხოლმე,  
რომ ასეთი ნახატები სამი ნახატის სიც-  
ოცხლით ცხოვრობს... თუმცა, პატარა რომ  
ვიყავი და ნახატს ვხვდები ან ვშლიდი,  
მამა მეჩხუბებოდა: შენ არ იცი, შეიძლება  
ამ დაუმთავრებელმა სურათმა იმას აჯო-  
ბოს, მეგრე რომ დახატავო... ახლა ვხვდები,  
რომ მართალი იყო.

ისე, ყველაზე ძალიან აი, ეს ნახატი  
მომწონს — პირობითად, „მონეტისლე მუსი-



# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. სად ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხ- ბურთში?



- ა) ურუგვაიში;
- ბ) ინგლისში;
- გ) იტალიაში.

## 2. რას საძვინოვდა ახალ- გაზრდა შონ კონერი ედინ- ბურგის ხელოვნების კოლეჯ- ში?



- ა) სწავლობდა;
- ბ) მენატურედ მუშაობდა;
- გ) ლამის დარაჯი იყო.

## 3. რომელი ცხოველის რძეა ხველაზე ცხიმოვანი?



- ა) სელაპის;
- ბ) კამეჩის;
- გ) ბეჭემოთის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

კოსები“ ჰქვია (ჩვეულებრივ, სურათებს  
სახელს არ ვარქმევ ხოლმე). დიდი ხნის  
წინ, 15 წლისამ დაეხატე – ძალიან იოლად  
და თანაც, ზუსტად ის, რაც მინდოდა...

### — ალბათ, ბევრი გამოფენა გვექნება მონყობილი...

— თითქმის სულ პერსონალური  
გამოფენები მაქვს. ბავშვობიდან მოყოლე-  
ბული, პერსონალური გამოფენები მქონდა  
თბილისში, მოსკოვში, პარიზსა და საფრანგე-  
თის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე ესპან-  
ეთში, ინგლისში, ავსტრიაში, გერმანიაში  
და უნგრეთში... ამჟამად ჩემი ნახატების  
ერთი ნაწილი ამერიკაში, კალიფორნია-  
შია გამოფენილი.

### — დაახლოებით, რამდენი ნახატი გვექნება?

— ძალიან ბევრი – ალბათ სულ 100  
ათასი მანკი. ისინი მთელ მსოფლიოშია  
მიმოფანტული.

ახლა, სექტემბერში, ჩემი კატალოგის  
პრეზენტაციას მოვაწყობთ, რომელიც თე-  
მურ ობოლავას დახმარებით დაიბეჭდება.  
ეს ჩემი ნახატების ყველაზე მოცულობი-  
თი კატალოგი იქნება...

### — ალბათ უცხოეთში ცხოვრება და მოღვაწეობაც ბევრჯერ შემოგ- თავაზეს... საინტერესოა, რა აჩერებს ამდენ ხანს რუსუდან ფეტივაშვილს საქართველოში? ბევრი ხელოვანი ხომ აქედან ნასვლაზე ფიქრობს...

— რა გითხრათ... სენტემენტალობაში  
თუ არ ჩამომართმევთ, საქართველოს გარეშე  
ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მჯერა, რა



კარგი პირობებიც არ უნდა შემეძინან, სხვა  
ქვეყანაში მანკი უცხო ქვეყნის შვილი  
ვიქნები... თუმცა, ხელოვანისთვის აუცი-  
ლებელიცაა, რაღაც პერიოდი უცხოეთში  
დაეოს, იქაურ გამოცდილებას ეზიაროს...

ეს ბოლო სამი წელი საპატრიარქოში  
ვმუშაობდი, ხელნაწერ სახარებაზე და, ასე  
ვთქვათ, „საერო მხატვრობისთვის“ ვერ  
მოვიცალე. თუმცა, მანამდე ძალიან ბევრს  
ვმუშაობდი. ზამთარშიც კი, როდესაც თბი-  
ლისში საშინელები პირობები იყო – სი-  
ცივეში, უშუქობაშიც არ ვაგჩერებულვარ,  
სულ ეხატავდი – მხოლოდ დიდ ფორ-  
მატზე, რადგან თითები მეყინებოდა და  
მინიატურების ხატვა მიჭირდა... იმ პერი-  
ოდში უცხოეთიდან საკმაოდ საინტერესო  
წინადადებებიც მქონდა. მაგალითად, საერ-  
თამორისო სავალუტო ფონდის აქაური  
მისიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მთხ-  
ოვა, უფლება მიმეცა, ჩემი წარმომადგენ-  
ელი ყოფილიყო ამერიკაში. მოგვიანებით,  
უკვე იქიდან დამიკავშირდა, ბილეთებიც  
გამომიგზავნა, ვიზაც და ყველა საჭირო  
საბუთიც: ერთ ცნობილ გალერეასთან კონ-  
ტრაქტი უნდა გამეფორმებინა. აფხაზეთ-  
ში ომი მიდიოდა, დიდი გაჭირვება იყო.

ჩემი ძმა თავის მეგობრებთან ერთად  
ფრონტზე იყო წასული, მამაჩემი საავად-  
მყოფოში იწვა. მატერიალურადაც არ  
ვიყავით გამართულები... მოკლედ, დიდი  
სჯა-ბაასის შემდეგ, ჩემებმა დამითანხმეს  
– ერთი თვით მანკი წავსულიყავი: იქიდან  
უფრო დაგვეხმარებო... მაშინ ვერ თბი-  
ლისში არც იყო საელჩო, მოსკოვში უნდა  
გავეფორმებინა საბუთები. მე და ჩემი  
მეუღლე ჩაფრინდით. ის ჩემი ამერიკელი  
წარმომადგენელიც ისე იყო დაინტერესე-  
ბული, თვითონაც ჩამოვიდა მოსკოვში, ვი-  
ზასთან დაკავშირებით გართულება რომ  
არ მქონოდა... მანკი არ მომცეს. საელჩოს  
თანამშრომელმა ჩემი ნახატები რომ ნახა,  
ტირილი დაიწყო – რა ვქნა, საქართველო-  
დან ჩამოსულებისთვის ვიზის გაცემა აკრძა-  
ლული მაქვს... ალბათ ომი რომ იყო,  
ლტოლვილებს ერიდებოდნენ...

მე დიდად არ დამწყვეტია გული, მანკი  
საქართველოში მინდოდა დარჩენა. შემდეგ  
კანადიდან იყვნენ ჩამოსულები, ოქროს  
კოშკებს მპირდებოდნენ – ოლონდ, კანა-  
დის მოქალაქეობა უნდა მიმეღო. რა თქმა  
უნდა, არ დავთანხმდი. ერთი წლის გან-  
მავლობაში ლამის ყოველდღე რეკავდნენ  
და წერილებს ავზავნიდნენ...

— შენ გარშემო, საქართველოში  
არსებული გარემო თუ ახდენს გავ-  
ლენას შენს ნახატებზე?

— რა ვიცი. ამაზე ფიქრით არასოდეს  
მიხატია, მაგრამ ალბათ ახდენს.





# ბიზნისი ფირმის სიუჟეტი ახლა საქართველოში თამაშდება

მელა გომსაძე

ნამონეება

წამოწყება (ან, თუ გნებავთ, ექსპერიმენტი), რომელზეც ამჯერად გვექნება საუბარი, ასობით, მით უმეტეს, ათასობით მოზარდს ვერ გასწვდება, მაგრამ, თავისთავად, კარგი პრეცედენტი გახლავთ.

გლდანში მდებარე 205-ე ბავა-ბაღის ბაზაზე, 1999 წლის სექტემბრიდან ხორციელდება მოუსაფარ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის სადღეღამისო პროგრამა, რომლის ხელმძღვანელია ამავე ბავა-ბაღის დირექტორი, ქალბატონი **ლუღმილა მალანია**, რომელიც გვიამბობს:

— პროგრამა 2004 წლამდე გაგრძელდება და წელიწადში 25 ბავშვისთვის არის გათვალისწინებული. ის ორ ეტაპს მოიცავს: ჯერ ბაღი, შემდეგ სკოლა — პირველიდან მეოთხე კლასამდე. კურირებას უწევს ქალაქის განათლების სამმართველო. დაფინანსება მერიისა — ე.ი. სახელმწიფო დოტაციაზე ვართ.

— არასამთავრობო საწყისებზე უფრო მოსახერხებელი არ იქნებოდა? მაშინ გრანტების მიღების შანსიც მოგეცემოდა...

— შესაძლოა, მაგრამ თავიდანვე სახელმწიფო საწყისებზე დავფუძნდით. სიძნელე უამრავია: ინვენტარიდან — კვების ფულამდე, ხანდახან საკუთარ სახსრებსაც ვხარჯავთ, მაგრამ როდესაც სხვა გამოსავალი არ არის, რა გაეწყობა? წარმოიდგინეთ, საწოლები უპატრონო ბავშ-



ლუღმილა მალანია

ვთა გამანაწილებელიდანაც მოგვაწოდეს და დიდი მადლიერებით მივიღეთ.

— ძირითადად, რა კონტინგენტის ბავშვები არიან თქვენთან ამჟამად?

— ახლა 29 ბავშვი გვყავს, აქედან 8 — მრავალშვილიანი ოჯახიდან არის (ივულისხმება 4-ზე მეტშვილიანი). უპირატესობას, ცხადია, მოუსაფარ, ე.წ. მაწანწალა ბავშვებს ვანიჭებთ — დახმარება ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ. თუმცა, გამონაკლისებსაც ვუშვებთ: აქვე, მეზობლად ცხოვრობს ახალგაზრდა ქერივი, სამი შვილის დედა — ქმარი აფხაზეთში დაეღუპა: მისი შვილები მივიღეთ და მზრუნველობას არ ვაკლებთ.

ქეჩისთვის განწირულნი

— როგორ ხვდებიან თქვენთან ბავშვები?

„მთელი სამყარო ბავშვის ერთ ცრემლადაც არ ღირს!“

— წერდა დოსტოევსკი.

საქართველოში ეს ანბანური ტემპარტება, დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა. უფროსებმა პატარებს საკმარისზე მეტი სატირალი გაუჩინეს: შიმშილი, სიცივე, გაჭირვება აწმყოში და სრული უპერსპექტივობა მომავალში. „ქვიშის კარიერის გენერლების“ (გახსოვთ ალბათ გახმაურებული ფილმი ბრაზილიელ მანანწალა ბავშვებზე) სიუჟეტი დღეს საქართველოში თამაშდება.

რა ელის ასობით, ათასობით ბავშვს, რომელსაც ბედმა და „ბრძნულმა“ პოლიტიკამ ქუჩის მტვერში ნანწალი არ გუნა ხვედრად?

— ხან ჩვენ თვითონ მოგვყავს, ხან — პოლიციის წარდგინებით. 2000 წლის აპრილში, მაგალითად, მოგვიყვანეს სოფელ ოსიაურის მკვიდრი, 1987 წელს დაბადებული გოზა (გვარს არ დავასახელებ): 7 და-ძმა ჰყავს, თავად უმცროსი გახლავთ. დედით ობოლია, მამა ლოთი იყო და ახლახან გარდაიცვალა. სხვა დედამიშვილები ყველანი დაოჯახებულები არიან და საკუთარი ცხოვრება აქვთ, ბავშვისთვის არავის ეცალა. ორჯერ უკვე გაქცეული იყო სახლიდან. ბოლოს, ისნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თხოვნით მივიღეთ და II კლასში დავსვეთ თავისუფალ მსმენელად — დოკუმენტები არ ჰქონდა და, მოგვიანებით, ოსიაურის სკოლაში ჩასვლას ვაპირებდით. ცოტა ხანი იყო ჩვენთან — მოიკეთა, შეიმოსა და სექტემბერში გაგვექცა. მოვედი დილით და ეს ამბავი რომ დამახვედრეს, გულს შემომეყარა. საღამოს სახლში მომადგა მშვიერი. ვაჭამე, დავტუქსე და მოვაბრუნე. სამწუხაროდ, ძნელად აღსაზრდელთა კატეგორიას ეკუთვნოდა — ქუჩამ თავისი დიდი დაასვა. მიუხედავად იმისა, რომ კვებისა და ჩაცმის პრობლემა მოეხსნა, ხელმრუდობა ვერ მოვაშლევინეთ — ხელჩანთებს უმეთვალყურედ ვერ ვტოვებდით. ისე, ძალზე შრომისმოყვარე აღმოჩნდა: ეზოში პატარა ბაღიც კი გააშენა, ორი ძალღი შეიჩვია და უვლიდა — ახლაც „გოჩას ძაღლებს“ ვეძინებ. ბოთლებს ვადღევდით — აბარებდა და ფულს აგროვებდა: საათი უნდა ვიყიდო. უდავოდ, ჰქონდა კარგი მონაცემები, მაგრამ უყურა-



დღეობისა და გაჭირვებისაგან გაუკუღმართებული და სახეშეცვლილი იყო. წარმოიდგინეთ, ამბობდა – ნეტა, მამა მალე მოკვდეს – ჩემს სახლ-კარს მე თვითონ მივხვდავო... შემდეგ, ისევე ფული მოიპარა და გაიქცა. ერთი კვირა არ ჩანდა – თურმე სოფელში წასულა. როდესაც დაბრუნდა, ჩვენი ერთ-ერთი ბავშვის „ღამუშაგება“ დაიწყო – წავიდეთ, ბინა გავქურდოთო. ძალიან შევშოთო: მიხვდით, რომ ჩვენი ძაღლები არ კმაროდა მისი სრულფასოვანი ზედამხედველობა-გამოსწორებისთვის, თანაც ასაკიც აღარ უწყობდა ხელს – ჩვენთან ბავშვები მხოლოდ 12 წლამდე არიან. ამიტომ ვეღარ მივიღეთ და როდესაც მისი ბიცოლა დოკუმენტებით ხელში მოგვადგა, უარი ვუთხარით. მისგან შევიტყვევით, რომ მამა დაეღუპა – თურმე თავი მოუწამლა. დედინაცვალი კი სახლიდან წასულა.

წარმოიდგინეთ – მიუხედავად გონებრივი განვითარების დაბალი დონისა, ძალიან ეშმაკია: მიხვდა, რომ ჩემი გარეგნული სიმკაცრის მიღმა რბილი ადამიანი იმალება, ამიტომ მთელი სპექტაკლი მოაწყო – ეზოში ძირს დავარდა, ისტერიკა დაიმართა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ ამან ვერ გაჭრა, მყისიერად დაწყნარდა და წავიდა. ნამდვილად, არ მქონდა უფლება, სხვა ბავშვები საფრთხეში ჩამეგდო მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩვენთან „გამოზამთრება“ მოისურვა. ვიცი, მაინც გაიქცეოდა, თანაც, არ არის გამორიცხული, რაიმე დანაშაულზე დაეყოლიებინა ვინმე. საშინელებაა, რას უშვრება ქუჩა ადამიანის სულს: ასეთი ბავშვების გადასარჩენად საჭიროა ფართო-

მასშტაბიანი პროგრამა – გლობალურ, სახელმწიფო დონეზე. უპატრონო ბავშვების პრობლემა წლების შემდეგ კრიმინალურ „აფეთქებად“ მოგვიბრუნდება.

რა ელის ოჯახში?

— თქვენ ამბობთ, რომ პროგრამა 12 წლის ასაკამდე მოზარდებისთვის არის გათვალისწინებული. როგორ გესახებათ თქვენი აღსაზრდელების შემდგომი ბედი?

— ჩვენი მიზანია ამ ბავშვების რეაბილიტაცია, ე.ი. უპირველესად, ფსიქოლოგიური დახმარება, თუ საჭიროა – მკურნალობა, ნორმალურ მდგომარეობამდე მიყვანა და ოჯახებში დაბრუნება. მკურნალობის ფულს ჩვენ ვინდით, გვაყავს ფსიქოლოგიც. ცხადია, ზოგიერთ შემთხვევაში, ძნელია ოჯახში ბავშვის დაბრუნება, ვინაიდან ეს არ არის ოჯახი ამ სიტყვის ნორმალური გაგებით. იგივე გოჩა, მაგალითად, გვინდოდა, გადაგვეყვანა „მომავლის სახლში“ – არის ასეთი ორგანიზაცია, მაგრამ იქ იმდენად მოუხერხებელი პირობებია, რომ თვითონვე გვთხოვა – იქ ნუ გამიშვებთო... აქედან წასული მოზარდების შემდგომი ცხოვრება მართლაც დიდი პრობლემაა და, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ სახელმწიფო ძალისხმევით თუ გადაწყდება.

ამჟამად, ჩვენთან იმყოფება გოგონა – 12 წლის ნათია, სოფელ კუმისის (თეთრიწყაროს რ-ნი) მკვიდრი. ოთხი და-ძმა ჰყოლია. ოჯახში, როგორც ჩანს, საზარელი სიტუაცია აქვს: წარმოიდგინეთ – პატარა გოგონა დედ-მამის სქესობრივი აქტის მოწმე გახდა, უფრო მეტიც – უფროსი ბიჭები მასთან გარყვნილ ქმედებას ეწეოდნენ: ძალზე სპეციფიკური დეტალების ცოდნა გამოამჟღავნა, ამდენად, როგორც ჩანს, არ ტყუის. წარმოიდგინეთ, რა დონეზეა ტრავმირებული მისი ფსიქიკა და რამდენი მუშაობა დაგვჭირდება მასთან! აქ საშინლად ნაცემი მოიყვანეს, საცოდავს, ტვინის შერყევა ჰქონდა და ვუმკურნალებო. ზაფხულში ჩვენთან იქნება, შემდეგ ვნახოთ, რაიმეს მოვიფიქრებთ. განათლება მხოლოდ პირველი კლასის დონისა აქვს, შეცდომებით წერდა, მაგრამ აქ უკვე ბევრი რამ ისწავლა. სხვათა შორის, საინტერესოდ სატავს. მშობლებთან კონტაქტის დამყარება ჯერ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ვაპირებთ, თუმცა, არ მაქვს იმედი, რომ იქ ბავშვის დასაბრუნებლად ხელსაყრელი სიტუაცია დაგვხვდება.

პატარა მეოცნებე

ბუნებრივია, დამაინტერესეს ნათიასთან გასაუბრებამ. გოგონა საბავშვო ზეიმზე

ვიხილე. სპეცგუფის ბავშვების მონაწილეობით, ხალხური ზღაპრების მოტივებზე დადგმულ მიუზიკლში, ლამაზ მწვანე კაბაში გამოწყობილი, ხელოვნური ყვავილების გვირგვინით დამშვენებული ნათია გატაცებით ასრულებდა ტყის ყვავილის როლს. კონტაქტში სიამოვნებით შემოვიდა.

— ნათია, რა გიყვარს ყველაზე ძალიან?

— ხატვა მიყვარს. ყვავილები და ცხოველები. განსაკუთრებით, ფისოები – ისეთი საყვარლები არიან!

— რომელი ყვავილი მოგონს ყველაზე მეტად?

— ყველა მიყვარს, ოღონდ ცოცხალი. მოწყვეტილი არა – უკვე მკვდარია და მეტრალეა.

— ბაღში ყოფნა მოგონს?

— ძალიან. აქ ერთ გოგოს დაუშეგობრდი. იმასაც ნათია ჰქვია და მესამე კლასში სწავლობს.

— შორენა მასწავლებელმა შენ მიერ დანერგილი ლოცვა წამაკითხა. მარტო დანერგე თუ ვინმე დაგეზმარა?

— არა, მარტომ. მოგეწონათ?

— მომეწონა. ძალიან კარგია, როდესაც ყველას სიკეთეს უსურვებ.

ნათიას ლოცვა

კეთილო ღმერთო, უფალო, მოგილოცავ ამ ახალ დღეს!

ღმერთო, წმიდაო, ადრე იესო ქრისტე ჯვარზე რომ აცვეს, ეგ რა ცუდი იყო, თანაც ხალხი რომ ტიროდა.

მერე ხომ გაცოცხლდა იესო ქრისტე! ამინ!

კეთილო ღმერთო, წმიდა გიორგი!

ზოგს ისე უჭირს ამ ზოგიერთი ბოროტი ხალხისგან,

ლუკმაპური მიეც ხალხს. ამინ!

— ნათია უადრესად საზრიანი, ნათელი გონების ბავშვია – ვეთხრა ბაღის ფსიქოლოგმა, ქალბატონმა **შორენა აჰინიაძემ**. – სასწაულია, მაგრამ ფსიქიკურმა ტრავმამ მასში სიკეთე ვერ ჩაკლა. სხვათა შორის, მის ნახატებშიც ნათელი ფერები და ოპტიმისტური განწყობილება სჭარბობს.


ამ ნათელ ნოტაზე ვასრულებ ჩვენს პატარა ამბავს.

ცხოვრება კი გრძელდება...


მიუსაფარი ბავშვები ქუჩაში უპატრონოდ დაეხეტებიან...

რამდენი მათგანი იქცევა მოწყვეტილ, გათელილ ყვავილად?..





**დაკვირვებისა და აღქმის როგორი უნარი გაქვთ?  
დაკვირვებისა და აღქმის როგორი უნარი გაქვთ?  
დაკვირვებისა და აღქმის როგორი უნარი გაქვთ?  
დაკვირვებისა და აღქმის როგორი უნარი გაქვთ?  
დაკვირვებისა და აღქმის როგორი უნარი გაქვთ?**



თქვენ წინაშე მოთავსებულია 8 ბარათი. მათზე წერტილების სხვადასხვა რაოდენობაა გამოსახული. თქვენი ამოცანაა, 10 წამში დააკვირდეთ და განსაზღვროთ, რომელ უჯრაშია ყველაზე მეტი და რომელში — ყველაზე ნაკლები რაოდენობის წერტილი.

**პასუხი:**

ყველაზე ნაკლები — თხუთმეტი წერტილი მეხუთე ბარათზეა, ხოლო ყველაზე მეტი — ოცდაექვსი წერტილი — მეორე ბარათზე.

თუ თქვენ შეძელით 10 წამის დაკვირვების შემდეგ სწორად განგესაზღვრათ წერტილების რაოდენობის მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა, სიამაყის საფუძველი გაქვთ: ნამდვილად კარგი აღქმისა და დაკვირვების უნარით გამორჩევით.

დაკვირვების კარგი უნარი ადამიანს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვეს მოვლენებში, კარგად გაუგოს მეგობრებს, შეძლოს მათ პიროვნულ თავისებურებებსა და ფსიქოლოგიაში წვდომა. თუმცა, თუ სწორი პასუხის გაცემა ვერ მოახერხეთ, ნუ ინაღვლებთ: შეგიძლიათ განივითარ-



ოთ დაკვირვების უნარი, რისთვისაც:

1. ეცადეთ, თქვენთვის საინტერესო საგანზე მიიღოთ წინასწარი ინფორმაცია. დაკვირვება სრულიად უცნობ საგანსა და მოვლენაზე საკმაოდ რთულია.
2. უმჯობესია, დაკვირვება რაიმე გვერდის მიხედვით გამოიზრუშაოთ: ობიექტის უსისტემო დათვალიერება საჭირო შედეგს

ვერ იძლევა.

3. დაკვირვებას თან უნდა სდევდეს საჭირო ინფორმაციის ჩანიშვნა, დოკუმენტური მასალის მოძიება, ყველაფერი ეს კი შემდგომში გულმოდგინე ანალიზს საჭიროებს.

ბის ურკვბთ წარმატებებს!



დიზაინერთა მიერ XX საუკუნეში მიღწეული წარმატებები ოქროს ასოებით ჩაინერგება მოდის ისტორიაში. ბოლო ასწლეულის მანძილზე ყოველ ათწლეულში ისეთი აღმოჩენა კეთდებოდა, რაც შემდეგ არათუ სეზონურ კოლექციას, არამედ მოდის მთელ მიმართულებას განსაზღვრავდა...

# სად იპაღლება მოდა?



პოლ პუარე და მისი პირველი შემოღწევა ქალები - 1925 წ



მომხიბლავმა გვიგამ 60-იანი წლების ბოლოს, ტოპ-მოდელის ერას მისცა დასაბამი

ახალი მეთოდი შემოიღო: მომხიბლავი გოგონები „პაკენის მოდელს“ ლონგშანის პრესტიჟულ დოლზე წარმოადგინდნენ. ამასთან, მოდელი გოგონები ტანსაცმლის შემკვეთ ქალებზე არანაკლებ ცნობილი იყვნენ. თანდათანობით მზარდი მოდის სამყაროში კი კონკურენციაც იზრდებოდა. ყოველი დიზაინერი პოპულარობის მოხვეჭას თავისებურად ცდილობდა. პოლ პუარემ სახელი იმით გაითქვა, რომ დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ ტანსაცმელს. მან პირველმა შემოიღო არატრადიციული დეტალები, რომლებიც მოძრაობას აადვილებდა - სწორი, წელში ქაპრიტ შესაკრავი, გრძელი კაბები. ელზა სკიპარელიმ გარდერობი ავანგარდული იდეების მეშვეობით გამოაცოცხლა...

და მაინც, ვერც ერთი დიზაინერი ვერ გახდა ისეთი პოპულარული, როგორც კოკო შანელი. მან იცოდა, როგორ გაეხდინებინა ქალი - მისი ტანსაცმელი კომფორტული, უსაზღვროდ თავისუფალი მოძრაობის მიმნიჭებელი იყო. მან ქალებს შესთავაზა შარვლები, ტრიკოტაჟის კოსტიუმები, დამოკლებული ქვედაბოლოები, პატარა შავი კაბები და კიდევ მრავალი დეტალი, რომელიც თანამედროვე გარდერობის საფუძვლს წარმოადგენს.

30-იან წლებში პარიზულ ქალებს გამოეონებას გამოეონებაზე სთავაზობდნენ. ყოველ სიახლეს არანახული აყოტაყით ხვდებოდნენ. მაგალითად, ნეილონის წინდების შესაძენად ქალები უზარმაზარ რიგში დგებოდნენ. ყიდვის შემდეგ კი, სისხარულით გაოგნებულები, პირდაპირ ტრიტუაზე მსხდომნი იცვამდნენ „მეირფას შენაქენს“.

ომის შემდგომმა 40-იანმა წლებმა კრისტან დიორის ნიშნით ჩაიარა. სტილმა „ნიუ ლიუკ“, რომელიც დიზაინერმა 1947 წელს წარმოადგინა, ქალებს მოდისადმი ინტერესი დაუბრუნა. ვიწრო მხრები, მაღალი ბიუსტი, გამოკვეთილი წელი და გრძელი, გაგანიერე-

სად იპაღება მოდა? დღეს ძნელია ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა და მილანს, ნიუ-იორკს, ლონდონსა და პარიზს შორის საბოლოო არჩევანის გაკეთება. სამაგიეროდ, იმის თქმა ზუსტად შეიძლება, რომ ის ასზე ოდნავ მეტი წლის წინ სწორედ მდინარე სენის ნაპირებზე გაჩნდა. მისი მშობელი ფრანგი კი არა, არამედ ინგლისელი - ჩარლზ ფრედერიკ უორტი იყო. უორტმა პოპულარული გახდა კრინოლინი. შემდეგ ავტორიტეტულმა მკერავმა ტურნიური (კაბის უკანა კალთა, რომელიც ნაკეცებად არის „აკრეფილი“) გამოიგონა. სწორედ ტურნიურებში გამოწყობილები შევიდნენ ქალები XX საუკუნეში. სწორედ ასწლეულის მიჯნაზე გამოჩნდა მკვეთრად გამოხატული მოდა და მოდის სიახლეები.

ასი წლის წინ მოდის სამყაროში პირველად დაიქუხა ქალის სახელმა. მაღამ პაკენმა თანდათანობით გააძარტევა ტურნიურები და თავისი შექმნილი მოდელების რეკლამის



კრისტინ დიორმა სიცოცხლე დაუბრუნა ომის შემდგომ მოდას

წყლის ძუძუმწოვარი ცხოველი	სამკრთა ილუმინისტი	დახრწილი კო-შეთი ცნობილი ქალაქი	მ/ფ უცხო ლერგენები	ქალი, რომლის სახელიც უწოდეს დაკიდულ ბაღებს	წყლის ჯიშები	ხარობთან ბლის სანახა
დე	ე	ე	ე	ე	ე	ე
ალესანდრო პიეტრო	ინდის ხურმა ანტი...	XII-XIII სს-ების ქართული ოქრომჭედელი	უთოთი გამოყვანილი მიწვიბილი ნაკვეთები	მსახიობი სორვიინო	ახლომახლო ალგებლები, არქიმარე	გაუმტრელი ყვავილი





პაკო რაბანის ექსპერიმენტები პლასტმასითა და ლითონით წარმატებით დაგვირგვინდა, 1968 წ

ივ სენ-ლორანმა პირველმა გაუშიშვლა მოდელებს მკერდი

ბული ქვედაბოლო ქალების ოცნებად იქცა. ისინი დალილები იყვნენ ომისდროინდელი ფრენჩისგან შეკერილი მოძველებული კოსტიუმების ტარებით. დიორის იდეებმა დაპრესი-იდან გამოიყვანა და სიმხნევე დაუბრუნა დროე-ბით ჩრდილში მოქცეულ დიზაინერებს. 50-იანმა წლებმაც დიზაინერების ბუმით ჩაიარა: იხსნებოდა მოდის სახლები, მკვიდრდებოდა ქცევის ახალი წესები. მაგალითად, ოუბერ დე ფიანშიმ, რომელმაც საკუთარი მოდის სახ-ლი 1952 წელს გახსნა, დაიწყო სრული გარდერობის შექმნა თავისი უერთგულესი მეგობარი ქალის - ოდრი ჰეპბერნისთვის. წარსული დიდება და სიმდიდრე დაიბრუნეს ფაქ ფატას, მადამ ლანჯნის, კრისტოპალ ბალენ-სიაცასა და პიერ ბალმანის კოლექციებმა. მოდას დაუბრუნდა ომის გამო საქმისგან დროებით განზე გამდგარი კოკო შანელიც.

1962 წელს მსოფლიო ერთდროულად აღაპარაკდა დიზაინის ახალ ვარსკვლავზე - დიორის ახალგაზრდა მოწაფეზე ივ სენ-ლორანზე. ლორანმა პირველმა გამოიყვანა პოდიუმზე შაკანინი მოდელები, ქალებს გამჭვირვალე ზედატანები შესთავაზა და მკერ-დი გააშუშლა, სრულყოფილებამდე მიიყვანა ქალის შარვლიანი კოსტიუმი, ხოლო მის მიერ 1966 წელს წარმოდგენილი ქალის სმოკინგი ნამდვილ კლასიკად იქცა. ივ სენ-ლორანს გაუჩნდა მუზა - კატრინ დენევი. კინოს ეს „ქალმერთი“ ყოველ ჩვენებას პირველი რიგიდან ადევნებდა თვალყურს. დახლოებით იმ დროიდან, სახელგანთქმუ-ლი ვარსკვლავები დეფილექების მუდმივი მაყ-ურებლები გახდნენ. 60-იან წლებში, სამეცნი-

ერო-ტექნიკური პროგრესის გავლენით, ელე-განტურობამ და ფუფუნებამ პოზიციების დათმობა დაიწყო.

პაკო რაბანმა თავისი ცნობილი კაბების შესაქმნელად პლასტმასი და ლითონი გამ-ოიყენა. პირველი ნეილონის კოლეგოტების გამოჩენისთანავე მერი კვენტმა მუხლს ზე-მით სიგრძის კაბები შემოიღო. უკვე ერთი წლის შემდეგ ანდრე კურაჟმა რადიკალურ-ად დაამოკლა კაბები და ამით მსოფლიო-ში გადატრიალება მოახდინა. სულ რამდენ-იმე კვირაში ქუჩები სრულიად შეცვალა ულტრამოკლე კაბებში გამოწყობილმა გოგონებმა. 60-იან წლებში მოდასთან დაკავ-შირებული კიდევ ერთი მოვლენა მოხდა: პოდიუმზე გამოჩნდა პირველი ნამდვილი სუ-პერმოდელი - ტევიტი. ნატიფი, მოზარდი გოგონას იმიჯი იმ წლების მოდის მიმდევ-არი ქალების ოცნება გახდა. დაიწვეს გახ-ლომა, თმის ბიჭურად შეჭრა და თითქმის ბავშვური, მოკლე კაბების ტარება.


სულ რაღაც ხუთიოდე წლის შემდეგ კაბები ისევ დაგრძელდა. 70-იან წლებში პოდიუმზე, მინისთან ერთად, მაქსისა და სა-შუალო სიგრძის კაბების დემონსტრირება მიმდინარეობდა. 80-იანმა წლებმა განიერი მხრებითა და მკვეთრი მაკიაჟით ჩაიარა. მოდის ჩვენებებმა პატარა დარბაზები დატო-ვა და ულტრაპროფესიულ შოუდ გადაიქცა, მასში მონაწილე მოდელები კი პოპულარო-ბით, კინოს ვარსკვლავებსაც კი არ უდებდნენ ტოლს. მათი პონორარები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ერთმანეთის მიყოლებით ინთეგო-და სინდი კროუფორდის, კლაუდია შიფერ-

ისა და ნაიმი კემპბელის ვარსკვლავები, მათი გამოჩენა ყველგან ნამდვილი ზეიმი ხდებოდა. ახალგაზრდა დიზაინერებმა სწრაფად მოის-აზრეს, რომ ჩვენებაში სუპერმოდელების მი-წვევა მათთვის წარმატების ტოლფასი იქნე-ბოდა. სწორედ ამან გახდა პოპულარული ჯანი ვერსაჩე და საერთოდ, 80-იანი წლების ბოლო და 90-იანის დასაწყისი ჯონ გა-ლიანოს, ფან-პოლ გოტიეს, ვივიენ ვესტვუდის, ალექსანდრ მაკუუინის გაფურჩქნის ხანად იქცა. მათი იდეები იმდენად იპყრობდა პუბ-ლიკის ყურადღებას, რომ კლასიკისა და ელ-ევანტურობის მიმდევარი ლეგენდარული მო-დის სახლების მფლობელები თანდათანობით გადასცემდნენ ძალაუფლებას ახალგაზრდა ექსპერიმენტატორებს და ამით „ძველი გვარ-დის“ სიძულვილისა და უკმაყოფილებას იწვევდნენ. მაკუუინმა ოუბერ ფიანში შეცვა-ლა, გალიანომ კი - CHRISTIAN DIOR-ისთვის მომუშავე ჯანფრანკო ფერე.

90-იანი წლების ახალგაზრდა დიზაი-ნერებმა გარღვევა მოახდინეს და მოდა ორ ნაწილად - ყოველდღიურ და სადღესასწაუ-ლოდ დაყვეს. დღესასწაული - HAUTE COU-TURE-ის ხელოვნების ჩვენება, რომლის თი-თოეული ქმნილება სამუხეუმი ექსპონატს უტოლდება და მხოლოდ ერთეულებისთვისაა ხელმისაწვდომი. ყოველდღიურობა - PRE-PORTER, მუდმივად ცვალებადი და განახ-ლებადი მოვლენა, რაც მთავარია, ის სამუ-ალებას იძლევა, ინტერესით ვადევნოთ თვა-ლყური მოდის ყველა ინტრიგასა და სახ-ეცვლილებას.

პრობ- ნაობა	ნაჭრილობები	ძველებური ხელსაცხე- ბელი ფერ...	სომხეთის ძველი დედაქალაქი	მრგვალი, რბილი ქუდი	რა მქონ ქ. წულუ- კიძეს	მეცხეე- ლებს ორგანო
რეპრეზენტაციის ცნობილი სურათი	საისტრადლო წარმოდგენა	მლაშე ანუ ...	მოსუტებულობა	კომპოზიტორი სრენსაიკოვი	იაპონიის უკის ერთეული	

640 წელს არაბებმა სომხეთი დაიპყრეს და ორი წლის შემდგომ საქართველოსკენ გამოემართნენ. ქართველებმა სძლიეს პირველი შემოსევის დროს არაბებს და გაფანტეს მითი მათი დაუმარცხებლობის შესახებ. მაგრამ სამარცხენო მარცხს ასე ადვილად როდი ურიგდებოდნენ არაბნი: 654 წელს არაბთა უთვალავი მხედრობა მეორედ გამოემართა საქართველოსკენ და აზერად გამარჯვებასაც მიაღწია. ქართველობას მძიმე ხარკის გადახდა დაეკისრა. ორი წლის შემდეგ ქართველებს ისევ გული მოეცათ: შეუწყვიტეს ხარკის მიცემა არაბებს და 656 წელს სომხეთთან ერთად სასტიკად დაამარცხეს ისინი ქალაქ ღვინთან. ისევ არ დათმეს არაბებმა: 735 წელს არაბთა უზარმაზარ მხედრობას მურვან ყრუ შემოუძღვა საქართველოში, რომელმაც შემუშრა „ყოველივე შენებული და სიმაგრენი“. ამ დროს ქართლში არჩილის უფროსი ძმა – მირი მეფობდა. გვირგვინოსანი ძმები აფხაზეთს გაიხიზნენ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ევედრებოდნენ შემწეობას. ისმინა უფალმა მეფეთა ლოცვა. ერთ ღამეს არჩილს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა: „აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისაი წინა წარგიდღუეს და თქუენ წილ უფალი ბრძოდის“. ღვთისმშობლის შემწეობას მინდობილი მირი და არჩილი მცირედი მხედრობით დაესხნენ თავს მტრის ბანაკს. შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. გაქცეულ უსჯულოებს ღმერთმა სასტიკი ქარი და ძლიერი წვიმა მოუვლინა. აღიდებულმა მდინარეებმა სრულად წალეკა აგარიანთა მხედრობა. ცოცხლად დარჩენილმა მომხდურებმა კონსტანტინოპოლს მიაშურეს, მაგრამ მათაც მოეწიათ ღვთის რისხვა და ისინიც ზღვაში ჩაიხრჩენენ. კურთხეული ძმები ქართლში დაბრუნდნენ და უსჯულოთაგან იავარქმნილი ქვეყნის აღორძინებას შეუდგნენ. ბრძოლაში მიყენებული ჭრილობები გაუმიზნებდა მეფე მირს. სიკვდილის წინ თავისი სამეფო ძმას – არჩილს ჩააბარა. ქუთაისი ირჩია თავის სადგომად მეფე არჩილმა. მან იქ თორმეტი წელიწადი დაყო და ყოველწლიურად ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. შემდეგ ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა. შემოიერთა კახეთი, თიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. არაბების ბატონობა მეფე არჩილის მეტადინეობით, ფაქტობრივად, თბილისისა და მცხეთის შემოგარენს ვერ გას-



ნადოკრის ეკლესია, სადაც განისვენებს წმინდა არჩილი

## პირველი მოწამე მეფეთა შორის 4 ივლისი – წმინდა არჩილის სხენების დღეა



ასეთია არჩილ მეფის საფლავი

ცილდა. მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო ფეხზე წამოდგარი, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ-ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისაკენ აიღო. არჩილ მეფემ გადაწყვიტა, მშვიდობის სათხოვნელად თავად ზღებოდა ჭიჭუმ-ასიმს. მცირე ხანს ტკბილად მიიღო დიდებული სტუმარი ჭიჭუმმა. შემდგომ კი ლიქით შეეცადა მის ცდუნებას და ქრისტიანობის დატეხება მოსთხოვა. მაგრამ არჩილმა უშიშრად მიუგო ჭიჭუმს: „მე რომ შენ დაგიჯერო, უნდა მოკვდე სიკვდილით, რომლის შედეგადაც უნდა ვიტანჯო... ღმერთმან ჩვენმან და მაცხოვარმან ჩვენმან ჩვენი ხსენისათვის თავი დალო, ამიტომაც მე არ მეშინია სიკვდილის. თუ მოიკლავ, მეც ისევე ადვსდები სიკვდილის შემდეგ, როგორც ღმერთი ჩვენი და კვლავ ვაღიდეგ მას“. განრისხებულმა ჭიჭუმმა ბრძანა

შეპყრობა მეფე არჩილისა და საწამებლად საპყრობილეს გაგზავნა: ეგებ მრავალი ტანჯვით მოიდრიკოსო მისი შეურყეველი გონება.

ამ დროს ჭიჭუმ-ასიმის წინაშე წარდგა ვილაც გარდაბნელი გამაჰმადიანებული სომეხი მთავარი, რომელმაც ასიმს უთხრა, – რომ არჩილმა იცოდა ქართლის მეფისა და ბერძენთა მეფის – ჰერაკლეს მიერ გადამალული განძის ადგილსამყოფელი.

ისევ გამოიხმობს საპყრობილიდან ქართველთა მეფეს ჭიჭუმ-ასიმი. ჭიჭუმი საგანძურის ადგილსამყოფლის გამხელას მოსთხოვს და რჯულის გამოცვლის შეთავაზებაც არ დაავიწყდება. არჩილი პასუხად მიუგებს ჭიჭუმს: „იცოდე, მძლავრო, არ დაუტევებ ჩემს უფალს. არ უარყოფ ქრისტესს სახელს. არც საწუთრო ცხოვრებაზე გავცვლი მარადიულს, არც ჟამიერ მეფობას – უჟამო თანაყოფაზე ქრისტესთან. საგანძურზე კი არაფერი ვიცი, რადგან პატარა ვიყავი, როცა ჰერაკლე მეფემ გაიარა ჩვენს ქვეყანაზე. მამაჩემმა და ჩემმა ძმამ მურვან ყრუს შემოსევისას ჩვენი განძი ამოიღეს და ბერძენთა ციხეში დაფლეს“.

ასიმმა ჰკითხა: „შენ იქ იყავი, როცა სარკინოები დამარცხდნენ აფხაზეთში?“ არჩილმა უშიშრად მიუგო: სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა ცხოველმა დასცა სარკინოზნიო.

ამ სიტყვებზე რისხვით აღივსო უსჯულო ჭიჭუმი: „ვინაიდან არა გნებავს ცხოვრებაი თავისა შენისაი... ჯერ არს, რათა შენცა მოკვდე ბოროტად“ – ბრძანა განრისხებულმა.

მსახურებმა გაიყვანეს ღვთისთვის ნებით თავგადადებული მეფე. არჩილმა მცირე დრო ითხოვა სალოცავად. მუხლი მოიდრიკა და ხელაპყრობილმა მადლობა შესწირა შემოქმედს: მაცხოვარს შეევედრა, კეთილად დაეცვა ეკლესია, გაემდიერებინა ქრისტიანობა საქართველოში. ილოცა ოჯახისთვის და მშვიდად წარუპყრა ქედი ჯალათებს.

ღამით ქართველმა აზნაურებმა ფარულად წამოასვენეს წმინდა არჩილ მეფის გვამი, დიდი პატივით შემურეს და ნადოკრაში (თიანეთი) მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს. ჩვენს სასაფლაოებზე მივიწყებული, მოუვლელი საფლავის ნახვისას გული რომ გვეტკინება და გავიფიქრებთ, – ალბათ აღარავინა ჰყავს ჭირისუფალი დარჩენილიო, ასეთია დღეს არჩილ მეფის საფლავი.

6060 ტარყაშვილი



მე-17 საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის უმწვავესი პროცესების ხანად არის მიჩნეული. იმ დროის ყველა ქართველის გონებაში ისე აღიბეჭდა სახელი ირანის მბრძანებლის შაჰ-აბას პირველისა, რომ დღემდე გვზარავს მის მიერ ჩადენილი ცოდვები. მან ხომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო თურქეთს გამოსტაცა და სამუდამოდ აქ დაბუღება გადაწყვიტა.

1606 წელს ქართლის სამეფო გვირგვინი შაჰ-აბასის სურვილით თავზე დაადგეს 14 წლის ლუარსაბ მეორეს. აი, რას წერს მის შესახებ სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში: „იგი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი“. გარეგნობასთან ერთად, ლუასაბი მტკიცე სულითა და ვაჟკაცური ბუნებით გამოირჩეოდა. 17 წლის ჭაბუკი მეფე გიორგი სააკაძის მხარდამხარ იბრძოდა ტაშისკართან თურქების წინააღმდეგ. მანამდე კი თევდორე მღვდლის თავგანწირვამ იხსნა იგი სიკვდილისაგან.

შაჰ-აბასი ყოველთვის სწყალობდა ლუარსაბ მეფეს, რადგანაც მას თურქთა მოსისხლე მტრად თვლიდა. შაჰმა ლუარსაბის და – ლელაც (თინათინი) ხომ შეირთო ცოლად, მაგრამ ქართლის მეფე კარგად გრძნობდა, რა „წყალობა“ იყო ეს და ამიტომაც, მუდმივად თან სდევდა ავი წინათგრძნობა. ერთხელ, შაჰ-აბასი მოთმინებიდან გამოიყვანა ლუარსაბის გაბედულებამ: ირანული ციხიონის გაყვანა ითხოვა მეფემ. ეს თხოვნა აღსრულდა კიდევ – მაშინ შაჰი ქართველთა გადამტერებას მოერიდა, რადგან ოსმალეთის მხრიდანაც ელოდა შემოსევის საშიშროებას.

... რამდენჯერ სცადა შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეთა ერთმანეთზე გადაკიდება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. შაჰის ბრძანებით, კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა ლუარსაბ მეორის და – ხორეშანი შეირთო ცოლად, თავად კი, თეიმურაზ მეფის და – ელენე.

1611 წელს ლუარსაბსაც ესტუმრა სიყვარული. მან ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და – თეკლა, რასაც ვერაფრით შეურიგდნენ თავადები: შადიმან ბარათაშვილი და ფარსადან ციციშვილი. მათ იძენი უჩიჩინეს და ულანდღეს მეფეს დედოფალი და მისი ოჯახი,



## მეფე ლუარსაბ II სული ერისთვის, თავი შაჰისთვის

რომ აიძულეს ეთქვა – გავუშვებო. გიორგი სააკაძის წინააღმდეგაც ამხედრებდნენ მუდამდღე და ისიც უთხრეს, შაჰთან კავშირი აქვს შეკრული – ქართლის ტახტს ხოსრო-მირზას, შენი პაპის ძმისწულს ჰპირდებაო. ამ მზაკვრობამ გადახვეწა გიორგი სააკაძე სპარსეთს.

მაღე კახეთისა და ქართლის მეფენი საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. შაჰ-აბასმა კი არ დააყოვნა სადამსჯელო ზომები: სისხლის ღვრამ, ძარცვამ და ადამიანთა დატყვევებამ მოიცვა მთელი ქართლი და კახეთი. თეიმურაზმა და ლუარსაბმა იმერეთს შეაფარეს თავი. ახლა იმერეთის მეფეს – გიორგი მესამეს შეუწინა შაჰი – შენტან შეხიზნული მეფეები გამოძიგზავნეო. ხელი მოეცარა ვერაგ შაჰინ-შაჰს. მაგრამ ჰოი, ბოროტების უსასრულობავ შადიმანისაე! მან აღუთქვა შაჰს თავისი გაზრდილი მეფის ჩამოყვანა. შაჰმა წერილი გაატანა, რომელშიც არწმუნებდა ლუარსაბს – არაფერს დაგიშავებ, არც შენ და არც შენს ერს,

თუკი მეახლებიო.

მთელი სანათესავო მუხლებში ჩაუვარდა ლუარსაბ მეფეს. ეუბნებოდნენ: ნუ წახვალ შაჰთან, მოგკლავს და ქართლსაც სახანოდ გადააქცევსო. მეფეს კი არავის რჩევა არ უჯდებოდა გონებაში. მის თვალწინ დემეტრე მეფის ცხოვრების უკანასკნელი დღეები ამოტივტივდა, ტყუპისცალივით რომ დამსგავსებოდა მისას.

– შაჰთან თუ არ წავალ, განრისხდება, ქართლს აიკლებს, ქრისტიანების სისხლს ღვარად აქცევს და რა პასუხი გავცე ამაზე ქრისტე მაცხოვარსო?!

და 1614 წელს ეახლა შაჰს, რომელმაც მოტყუებით, ვითომდა სანადიროდ, მაზნდარს ჩაიყვანა, ბოლოს კი მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა.

– არასოდეს ეს არ მოხდება! ქრისტეს ვუღალატო და გავთათრდე?! – ეს თქვა და მის უკან გასალკლდედა სრულიად საქართველო... მერე აღარც შაჰის მუქარა ჩააგლო რამედ და „იყო უშიშარ, ვითარცა ლომი საყოფელსა თვისსა“.

რვა წელიწადი ჰყავდა შაჰ-აბასს ტყვეობაში ქართველთა მეფე. ბოლოს, რუს ელჩებსაც შეჰპირდა ლუარსაბის გათავისუფლებას, მაგრამ ეს ვითომ „თანხმობა“ მალე საჰნის ბუშტივით გასკდა...

გულბაყალას ციხის პატიმარი ლუარსაბ II ერთდროულად გრძნობდა სიკვდილის მოახლოებასა და სულის გაზაფხულობას. ქართველები იხმო მეფემ და მათგან, ქართული წესისამებრ, დატირება ითხოვა. თავად კი მაცხოვრის ხატს ასე ესიტყვებოდა: „მე აღვირჩიე საქმე ესე, რომელი ბრძანე წმიდასა შინა სახარებასა: „მწყემსმან კეთილმან დაღვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვისო“.

როგორც კი ჩაუვარდათ ჯალათებს ხელში ლუარსაბის სხეული, კისერზე საბელი შემოაჭდეს... მოკვეთილი თავი შაჰ-აბასს მიართვეს, რომელმაც დიდხანს ლანძღა იგი... ბოლოს, ყურში ჩაავლო ხელი და უფსკრულისკენ მოისროლა...

ლუარსაბ მეფის წმინდა ძვლები დღემდე სპარსეთშია და ტანჯული მიჯნურივით ელის საქართველოს მიწასთან ჩახუტებას... მისი ხსენების დღე კი 4 ივლისია.

6060 შივარდნაძე

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დვალის უბის ნივნაკიდან:

1. უინსტონ ჩერჩილი იტალიას ვეროპის დაუცველ მუცელს ეახსდა.
2. იმ დროს, როდესაც ქალაქებს – პომპეისა და ჰერკულანუმს – ვულკანი ანადგურებდა, ვეზუვის თავზე ორთქლის, ლავის, კვამლის და ცეცხლის რვაკილომეტრიანი სვეტი იდგა.
3. გველებს დედამიწის ვრცელი ტერიტორიები აქვთ ათვისებული. ღრმა ზღვებისა და ყინულოვანი ადგილების გარდა, ისინი ყველგან ცხოვრობენ.
4. ვერტმფრენიდან გაშვებული ტანკ-საწინააღმდეგო რაკეტა ჯერ მალლა აიჭრება, შემდეგ თავქვე ეშვება და ტანკისაგან აღარაფერს ტოვებს.
5. მაღალ მთაზე მდებარე ჰიტლერის ერთ-ერთი რეზიდენცია, „გლის ბუნავის“ სახელით იყო ცნობილი. 1944 წელს, სწორედ იქ მოხდა ცნობილი თავდასხმა გერმანიის რაიხსკანცლერზე. ჰიტლერის შტაბის ოფიცერმა, შნაუფენბერგმა, ზემოთ ხსენებულ რეზიდენციაში ასაფეთქებელი მოწყობილობა დატოვა და თავად ბერლინში გაემგზავრა. სამწუხაროდ, რამდენიმე ნაკაწრის გარდა, ჰიტლერს არაფერი დაშავებია.
6. გლდანურა, კომსომოლკა, საფესტივალო, კრასავიცა ზაგორია, როშინისკაია, მისოკა – ეს სია მარწყვის ჯიშების ჩამონათვალია.
7. „ჩირიკი და ჩიკოტელას“ ავტორი გიორგი ლეონიძეა. P.S. ჩირიკის ვაჟიშვილს სახელად კიკლიკო ერქვა.
8. კოსმოსში ყოფნისას კოსმონავტიები ოდნავ უფრო მალეები არიან, რადგანაც მათზე არ მოქმედებს ატმოსფერული წნევა.
9. მხატვრული ფილმის, „გლადიატორის“, გადაღება სამ ქვეყანაში – ინგლისში, მაროკოსა და მალტაზე – ექვსი თვის მანძილზე მიმდინარეობდა.
10. ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკთან ერთად საგიჟეთში იჯდა კაცი, რომელიც მეცნიერული ენციკლოპედიის მეთექვსმეტე ტომად ასაღებდა თავს. იგი ყველას ეხვეწებოდა, გადამსაღებ და სასწრაფოდ ნახეთ სიტყვა „საკაზმავი სადგისი“, თორემ დავილუპო. მანამ არ მოისვენა, სანამ დამამშვიდებელი პერანგით არ შეკრეს. ამის შემდეგ კი კვებით აიკლო იქაურობა, ხომ ხედავთ, ყდაში ჩამსვესო.
11. თომა ტორკვემადამ თერთმეტი



ისრაელი, ქალაქი ხაიფა, მართლმადიდებელთა სასაფლაო. აქ პოვა განსასვენებელი საქართველოს დეკანოზმა – მამა თეიმურაზმა. ერობაში – თენგიზ ბერიძემ და ბიჭობაში მეტსახელით – „ხეჩოდ“ ცნობილმა. მისი საფლავის ქვას ეს მეტსახელიც აწერია.

# დავით მკვიდრი გულამ მართლმადიდებლის ღმრთის მამულები

## ოთარ ურუშაძე

თავდაპირველად, თენგიზ ბერიძე მამის კვალს გაჰყვა. თავის დროზე, გიგა ბერიძემ ეგნატაშვილთან, ნიკოლაძესთან და ჩვენი სპორტის სხვა პიონერებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ტანვარჯიშს საქართველოში. შემდეგ კონსერვატორიაში, ფიზკულტურის კათედრის გამგედ მუშაობდა.

თენგიზიც ტანვარჯიშში გახდა და ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები.

როგორც ჩემი კონკურენტი აბიტურიენტი, ისე გავიცანი. მალე დავმეგობრდით, როგორც ერთუბნელი თბილისელები. სანამ გამოცდებს დავამთავრებდით, მე და ჩემს გულშემოტყევერ მეგობარს ორი ნაძლევი მოგვიგო: ზინკალი უნდა გვეკისრა და კინოს ბილეთები. ახლა შეიძლება კაცს გაეცინოს, მაგრამ იმ პერიოდში ახალ ფილმზე ბილეთების შოვნა ადვილი საქმე არ გახლდათ. საერთოდ კი, ეს ორი რამ – კინო და სახინკლე იყო ჩვენი – „სამოციანელთა“ თაობის გართობისა და თავშეყრის ძირითადი ადგილი. კინოთეატრში ერთი საათით ადრე მინც შევდიოდით, რომ ფოიეში გამართულ კონცერტსაც დავსწრებოდით, სადაც ხშირად, ცნობილი მსახიობებიც გამოდიოდნენ ხოლმე...

ხეჩო ფიზიკურად და სულიერად ლამაზი ბიჭი იყო, უშუალო და მიმნდობი. ფიზკულტურის ინსტიტუტის, რომ იტყვიან, სული და გული იყო – ყველასთან შინაურული და



ყველასთვის საყვარელი ბიჭი. ამიტომაც, სწავლა რომ დაამთავრა, ინსტიტუტიდან არ გაუშვეს: ტანვარჯიშის კათედრაზე დატოვეს უფროს მასწავლებლად, სადაც იგი მღვდლად კურთხევამდე მუშაობდა. იქვე დაქორწინდა მშვენიერ სპორტსმენ გოგონაზე – გალინა საჯაიაზე, რომელთანაც სამი გოგონა და ერთი ბიჭი შეეძინა.

ოთხ შვილს რჩენა უნდოდა და, ხეჩომ, თავისი ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების წყალობით, შთავსებით კასკადიორად დაიწყო კინოსტუდიაში მუშაობა. გადაიღეს ფილმების – „ხვესურული ბალადა“, „მაცი ხვიტია“, „სინემა“ და მრავალი სხვა სურათის სახიფათო ეპიზოდებში.

სტუდენტობის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ეპიზოდური იყო – შემთხვევით თუ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს ქალაქში. ის მარტო არასდროს მინახავს – ყოველთვის მეგობრების წრეში იყო. მასხვო, ერთხელ, ორი კაცი რესტორანში შეგვიპატიჟა. იქ უკვე კარგად შექიფიანებული რამდენიმე კასკადიორი დაგვხვდა. საუბარი სასულიერო თემას შეეხო. ხეჩომ, როგორც თამადამ, სიტყვა აიღო და ისეთი განსწავლულობა გამოამჟღავნა ამ სფეროში, მეც – მღვდლის შვილიშვილიც ვერ დავიკვივნიდი...

საუბრისას, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები ვახსენებთ ხოვ, იქნებ წამაკითხოო. დაკვირდი. რამდენჯერმე დამირეკა და არ მომეშვა, სანამ წიგნი არ მივუტანე.

შემდეგ დიდხანს არ შეხვედრივართ ერთმანეთს. ერთხ-





ელაც, სიონში ეპისკოპოსის პანაშვიდს ვესწრებოდი, რომელსაც კათალიკოს-პატრიარქი ატარებდა. მაშინ ეკლესიაში პარტიული კაცის შესვლა სარისკო საქმე იყო, მაგრამ გარდაცვლილი რომანოზი (პეტრიაშვილი) ნათესავად მეკუთვნოდა, თანაც, სიონის კედელთან კრძალავდნენ... შევნიშნე, რომ პატრიარქის გვერდით მდგომი ახალგაზრდა ბერი თვალს არ მაშორებდა, ფარულად მიღიმოდა კიდევ და მერე თვალცი ჩამიკრა.

იმ პერიოდში სასულიერო პირებს ისე მიზანმიმართულად უტყუებდნენ სახელს, რომ რაღაც-რაღაცებს ვიჯერებდით. „მოარშიყე“ მღვდელს თვალი ავარიდე, მაგრამ არ მომეშვა – პროცესიამ გვერდით რომ ჩავვიარა, მხარი გამკრა და – პურმარილი დაგვიძველდაო, შინაურულად მითხრა. ხმა მეცნაურა, შევხედე და ახლოდან, თვალებით ვიციანი: წვერი ისე ჰქონდა სახეზე მოღებულს, სხვა აღარაფერი უჩანდა. გაკვირვება რომ შემატყო, ეშმაკურად თვალი ჩამიკრა და ორი კანდელით ხელში, პატრიარქს გაედევნა. დამტოვა ასე, გაკვირვებული. ვიფიქრე – ალბათ კინოში იღებენ და როლშია-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, თუ კასკადიორი მღვდლად ეკურთხა?

შემდეგ, უკვე როგორც მღვდელმთავარი პეტრე-პავლეს ეკლესიაში ვნახე და ეს ეჭვიც გამეფანტა. იქვე ეკლესიასთან დაკრძალული პაპის – დეკანოზ ანდრეას (ტყემალაძის) საფლავი მიკურთხა. მომდევნო წელს, მიცვალებულების დღეს იქ ასულს, აღარ დამხვდა. ვერაზე, თავის უბანში, რუსულ ეკლესიაში გადაუყვანიათ. როგორც მითხრეს, ეკლესიის კედელთან ორი ბიჭი გაულახავს: მაშინ ეკლესიასაც და ბერებსაც ათას ჭორს უგონებდნენ. ეტყობა, სულიერად და ფიზიკურად ძლიერსა და ლამაზ ვაჟკაცს ვერაფერი რომ ვერ მოუგონეს, მის ემოციებზე დაიწყეს თამაში – ხულიგნები მიუჩინეს და არ მოასვენეს, სანამ ანაფორა არ აიკეცა და ეკლესიის უკან ორი ბიჭი არ „მიაწყო“... ბოლოს, ნორიოს ეკლესიის მღვდელმთავარი იყო და იქაც იგივე გადახდა: ეკლესიის სიწმინდის შემბლაღავი ბრიყვები გაულახავს...

მერე ქვეყანა აირია, ძმამ ძმაზე გაიწია, შვილმა – მამაზე. უხუნობამ დაისადგურა თბილისში და საქართველოში. ვერ შეეგუა ძმათა მკვლელობას და დანგრეულ ქალაქს – დროებით გაცლა ამჯობინა.

სად წავიდოდა ქრისტეს გზაზე მავა-



„ხევსურული ბალადის“ გადაღებებზე (მარჯვნივ)

ლი მღვდელი, თუ არა ისრაელის წმინდა მიწაზე, სადაც ბევრმა მისმა სასიქადლო წინაპარმა ნახა სულის სავანე?! მათ გზას გაუყვა მამა თეიმურაზი თავისი ჯალაბით. ნაცნობ ებრაელ მეგობარს ეწვია ცოლ-შვილით.

იმ მშვიდ გარემოში მისი სული შფოთავდა მაინც. ნოსტალგია მოეძალა და მალე მოერია კიდევ. მრავალჯერ მოაბრუნეს გზიდან, ფეხით წამოსვლის მსურველი... ერთხელაც, ყველა რომ გაიფულა, აბგაში საგზალი ჩაიწყო, პირჯვარი გამოისახა, ახსენა ღმერთი და დაადგა ფეხით გზას საქართველოსკენ. მხოლოდ ღვთის ნებას მინდობილი, სულიერად ამალღებული ადამიანი თუ გაბედავდა ზაფხულის პერიოდში უდაბნოს ქვიშაში სიარულს.

... ისრაელს გაცილებული იპოვეს ქვიშაში, როგორც ვინმე მეუდაბნოე, გზას აცდენილი და ჩაკარგული. ბავშვობის დროინდელი ტრავმით – წაჭრილი საჩვენებელი თითით ამოიცნეს გულაღმა მწოლიარე, ალბათ ბოლო წუთამდე ღმერთის მავედრებელი: მარჯვენა ხელში ჯვარი ჰქონია ჩაბლუჯული – როგორც მისი ფიქრის, ოცნებისა და სიწმინდის სიმბოლო...



ქალიშვილის ქორწილში მეუღლესთან ერთად

ინფორმაციულ-მედიისეკონომიკური კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ათასზე მეტი ადამიანი დაწვა კოცონზე, ნიმენესმა – ხუთი ათასი.

12. ეიფელის კოშკის სიმაღლე ჰაერის ტემპერატურის ცვლილების მიხედვით 15 სანტიმეტრით შეიძლება შეიცვალოს.

13. ალ კაპონეს 215 მკვლელობაში პირადად ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. P.S. მაფიის სახელგანთქმული ზვიგენი 130 კილოგრამს იწონიდა.

14. ავიაშხილის ასაფრენი მოედანი ფეხბურთის სტადიონზე ოდნავ უფრო დიდია. სააიში 240 კმ სიჩქარით მქროლავი თვითმფრინავის ასეთ პატარა ბილიკზე დასმას პილოტისა და ავიაშხილის ეკიპაჟის უდიდესი ოსტატობა სჭირდება.

15. ანტონიო დე კურტის გალიარდი იტალიელი კინომსახიობის ტოტოს ნამდვილი სახელი და გვარია.

16. ამერიკის შეერთებულ შტატებში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 ქალაქი და დასახლებული პუნქტი ჯორჯ ვაშინგტონის სახელს ატარებს.

17. ადამიანი საკუთარი ტვინის შესაძლებლობის მხოლოდ ერთ პროცენტს იყენებს.

18. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მის იმპერიაში შინაომი და სისხლთა თხევა 14 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. P.S. ამ ხნის განმავლობაში ამოწვდა ფილიპე II მაკედონელისა და თვით ალექსანდრეს გვარჯილაგი.

19. დათა თუთაშხია „პაველ ბურეს“ ფირმის საათს ატარებდა.

20. გალიაში გამოძწყვედი მგალობელი საშვების ჩხუბი ჩინელების ერთ-ერთი სავაარული სანახაობაა.

21. ყველაზე სწრაფ სამოქალაქო ვერტმფრენ „ავგუსტა 109-ს“ ფირმა „ფერარი“ უშვებს.

22. ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი, უილიამ ფოლკენერი და ერნესტ ჰემინგუეი ეგრეთ წოდებული „დაკარგული თაობის“ („ლოსთ ჯენერეიშენ“) წარმომადგენლებად იხსენიებიან.

23. ტომ ტიკერის ფილმში „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“, მთავარ როლს ფრანკა პოტენტე ასრულებს.

24. „Если русский посылает тебя на три буквы, не думай, что это БМ или СНГ“ – ეს სიტყვები აკაკი ასათიანმა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქვა.



პოლიტიკური დებატებით პარლამენტარებზე არანაკლებ გადაღლილი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დათო ბერძენიშვილი იმდენად გაახალისა ამ რუბრიკის თემამ, რომ სიამოვნებით გაიხსენა თავისი პირველი სიყვარული. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და, ასე განსაჯეთ, „გულაგის“ მცველი ქალებიც კი მოიგონა, რომლებთანაც სასიყვარულო ურთიერთობას ძნელად თუ დაამყარებდი. თუმცა არც უამისობა იყო...

# „ქაოტინების ზიკური ასეა...“

## მანანა იაშვილი

— როდის აგიფრიალდა პირველად გული? საერთოდ, როდის მიხვდი, რომ გოგონები ცოტათი განსხვავდებოდნენ ბიჭებისაგან?

— ეგ ალბათ ძალიან ადრე იყო. ბებიანემი კი მიყვებოდა მერე რაღაცებს, მაგრამ მე არ მახსოვს. რაც მე თვითონ მახსოვს, ჩოხატაურში მოხდა. 4 წლის ვიყავი და ბაღში დავდიოდი. იქ უფროსები ბაღის გამგის გოგონას სიყვარულს მატარებდნენ. მაია ერქვა, მაგრამ მე ის სულაც არ მომწონდა. მომწონდა ჩემი ჯგუფელი მარინა და ვცდილობდი, მისი ყურადღება მიმეყვრო. ალბათ მასაც მოვწონდი. ერთ მშვენიერ დღეს პროტესტი გამოვთქვი და მანანის ფაფით სავსე თეფში ჭაში ჩავაგდე. ატყდა ერთი ამბავი. მარინას ისე მოეწონა ჩემი საქციელი, რომ იმ დღეს სულ ერთად ვთამაშობდით. ბოლოს, ჩავკიდე ხელი და ერთად დავადექით სახლის გზას. მოკლედ, მე „ვიტაცები“ და ის აშკარად „იპარებოდა“. მახსოვს, ბებიამისი მოგვსდევდა უკან და ძლივს გაგვაშვებინა ხელი. მარინამ ისეთი ტირილი მორთო, ბებიამ ძლივს ერეოდა. მე ვაჟაკურად ვიკავებდი ცრემლებს და სულაც არ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ... მრავალი წლის შემდეგ, სულ ახლახან, შევხვდით ერთმანეთს და მეუღლეებთან ერთად ბევრი ვიცინეთ, იმ თავგადასავალზე.

— მერე აღარ გქონია თავგადასავლები?

— კი, იყო — დაახლოებით, მე-6 თუ

მე-7 კლასში. შევატყვე, რომ ჩემს ერთ კლასელ გოგონას მოვწონდი და ძალიან შევიფერე. მერე და მერე, მეც მომეწონა, მაგრამ ვიჩხუბეთ და სკოლა ისე დავამთავრეთ, ერთმანეთს არც დავლაპარაკებიათ.

— რა მოხდა ასეთი?

— დამნაშავე ვიყავი, არ ვიყავი მართალი. ჩვენ, ზრდასრული ადამიანის გაგებით, სერიოზული არაფერი გვქონდა და არც „ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუში“, მაგრამ ერთი-ორჯერ კი ვაკოცეთ ერთმანეთს. არ შევინახე ეს საიდუმლო — მეგობარს გავანდე და ის გოგონა, სრულიად სამართლიანად, გამიბრაზდა.

— ახლაც ქორაობთ ხოლმე ქალებზე?

— არა, ჭკუა ვისწავლე, მაგრამ, შემდგომ, ბედმა თავისებურად გადამიხადა: უკვე მე-10 კლასში, ძალიან სერიოზულად შემეყვარდა თანაკლასელი გოგონა. სხვადასხვა რიგში ვისხედით და მე დემონსტრაციულად, ხაზგასმით, კისერი მქონდა მიგრეხილი მისკენ... ჩემმა გრძნობამ მასში საპასუხო გრძნობა ვერ პოვა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი დადი დაასვა ჩემს ცხოვრებას ამ გაუზიარებელმა სიყვარულმა, მაგრამ ვაღიარებ, რომ მისი სახლის წინ, ერთი-ორი ღამე მართლაც გავათენე. სხვათა შორის, ძალიან გახსნილი ვიყავი და ყოველთვის საჯაროდ გამოვხატავდი ჩემს გრძნობებს გოგონების მიმართ.

— ამბობენ, უნივერსიტეტშიც პოპულარული იყავით.

— უნივერსიტეტში უამრავი მე-

გობარი მყავდა. გოგონები, ხარკის სახით, სიგარეტით უნდა მოგვემარაგებინა. ამ საკითხში პროგრესული ვიყავი და მათ დღეში ერთ კოლოფს მაინც ვთავაზობდი ხოლმე. ხარკი ჩვენკენაც მოდიოდა — მაშინ ერთი-ორი მანეთის თხოვნა მეგობარი გოგონებისთვის სულაც არ იყო სასირცხვილო. ზოგჯერ ასე ვაგროვებდით ხოლმე ფულს ბიჭები და მივდიოდით ზემელზე, სახინკლეში. თუ მეტი ფული შეგროვდებოდა ან სტიპენდიას ავიღებდით — სომ უკეთესი. თუ ფულს მშობლები გამოგვიგზავნიდნენ, მაშინ გოგონებსაც ვუპატიჟებოდით, ოღონდ, უკეთეს ადგილას — რესტორანში ან სულაც, ქალაქგარეთ — მცხეთაში ან ბეთანიაში.

— სიყვარული?

— პერიოდულად ვიღაც-ვიღაცები მომწონდა. მაგრამ ერთხელ, ჩემი ჯგუფელი გოგონას ოჯახში შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს. მომეწონა და უკვე მესამე ბოთლის შემდეგ გამოვუცხადე: შენ კი ხარ კერკეტი კაკალი, მაგრამ მაინც გაატეხ-მეთქი. ერთხანს გაჭირდა ამ მუქარის შესრულება, საბჭოთა ხელისუფლებამაც შემომხლა ხელი და გადავადლა საქორწინო ბორკილები. უფრო სწორად, ისინი შეცვალა ინგლისურმა ხელბორკილებმა, რომელსაც „სუკში“ ხმარობდნენ...

— წერილებს სწერდით?

— რა თქმა უნდა. მის გარდა, ბევრი მეგობარი გოგონა მწერდა წერილებს. მეც ყველას ვწერდი, მაგრამ არავინ მომიტყუებია და სხვას არაფერს დავპირებივარ: არჩევანი გაკეთებული მქონდა. როდესაც გავთავისუფლდი, ჩემი ძმა კიდევ წელიწად-ნახევარი იჯდა და მის გამოსვლამდე მოგვიწია ქორწილის გადადება. მეც ძალიან არ ვჩქარობდი — მაშინ „ოფიციალური შეყვარებულის“ სახელი ორივეს მოგვიწონდა.


— „გულაგში“ თუ გქონია რაიმე რომანტიკული თავგადასავალი?

— იქ ერთი ქალი შემოდიოდა და ისიც, „ცენზორმა“ იყო. გენერლის ქალიშვილი ბრძანდებოდა. ზედმეტი იქ ნამდვილად არ შეიძლებოდა, მაგრამ პატარა წაკეკლუცება მაინც ვცადე. თუმცა, ამაშიც დამსწრო ჩემმა მეგობარმა — ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილმა, რომელიც „ცენზორმას“ გამუდმებით უხსნიდა სიყვარულს. ამ მხრივ ჯონი ძალიან აქტიური და ყოჩაღი იყო. მას სანიტარულ ნაწილშიც ჰყავდა „თავისი მარგარიტა“, რომელსაც ასევე აქტიურად უხსნიდა ხოლმე სიყვარულს...



წინამდებარე წერილში საუბარია ძვბ-ს მიერ „ძებნილთა შორის უპირველეს ათეულზე“ — იმ ბოროტმოქმედთა სიაზე, რომელთა დაჭერაც არა მარტო თვით ძვბ-ს აგენტისა თუ პოლიციელის, არამედ ნებისმიერი რიგითი კანონმორჩილი ამერიკელის ოცნებას წარმოადგენს.

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველაზე პირნა-ვარდნილ დამნაშავეებს — ბანკების მძარცველებს, მკვ-ლელებს, ბავშვების გამტაცებლებსა თუ სეროულ მანიაკებს, ყველაზე მეტად, ამ ათეულში მოხვედრის ეშინიათ: თუ ეს მოხდა, „ათეულის კლუბის“ ახალი წევრი ნამდვილი ნადირო-ბის მსხვერპლად იქცევა, რომელსაც, რომ იტყვიან, „სრული პროგრამით“ დევნა მოეწიება...



# ძიებათა ფედერალური ბიუროს

## უპირატესი ათეული

### მსოფლიოს ყველაზე დახურული კლუბი

ქვეყანაში, რომელშიც ტონის მიმცე-მია მასშტაბი, რეიტინგი და ჰიტპარადი, მსოფლიოს ცხოვრების მიზნად, ათეული კლუბი ტაბლოიდების გარეკანზე ან ტელე-შოუში მოხვედრა ქვეულა (მნიშვნელო-ბა არ აქვს, საგმირო საქმიანობის მოხდე-ბა ეს თუ სამარცხვინო საქმიანობის). ნებისმიერი ხმაურიანი დანაშაული ნამდ-ვილ შოუდ იქცევა ხოლმე. იმისათვის, რომ პუბლიკის აჟიოტაჟს შეუწყონ ხელი და ბოროტმოქმედთა დასაცემ აზარტულ ნადირობაში რაც შეიძლება მეტი ადამა-ნი ჩართონ, ათეულზე უკეთესი გამოგ-ონება არ არსებობს.

თავისთავად, ათეულში მოხვედრა იოლი საქმე როდია. საამისოდ სულაც არ არის საკმარისი ისეთი დანაშაული ჩაიდინო, რომლის გამოც ადამიანებს თმა ყალფზე

უდგებათ. საჭიროა კიდევ, თვით დანა-შაული აღმოჩნდეს იმ სახეობათა სიაში, რომელსაც იძიებს ძვბ და არა პოლიცია, საგადასახადო სამსახური, ნარკოტიკებთ-ან ბრძოლის ქვედანაყოფი თუ სხვა სპეცი-ფიკური სპეცსამსახური. ამის გარდა, საჭიროა აგრეთვე, რომ დანაშაული — მისი ჩამდენის საზოგადოებრივდ საში-ში რაობის გამო, — სწორედ საერთო მსჯევენი (ნაციონალურ) ძებნას მოითხ-ოვდეს.

საინტერესოა ამ მხრივ ენდრიუ კიუ-ნანბს ამბავი, რომელმაც 1997 წელს სახ-ელგანთქმული მოდელიერი ჯანი კერსაჩე მსჯელა. ამ ბოროტმოქმედს არც ერთი შანსი არ დარჩენია სწიმისოდ, რომ სადმე მიმალულიყო, დროებით, სანამ მის სახ-ელთან დაკავშირებით ატეხილი ხმაური ჩაცხრებოდა — რადგან მას ერთი და, როგორც აღმოჩნდა, ფატალური შეცდო-მა მოუვიდა.


კიუნანმა ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს მინესოტაში, მაგრამ ამაში საშინელი არაფერი ყოფილა. შემდეგ, ჯოხ-ის ცემით მოკლა ჩიკაგოელი მილიონ-ერი, მაგრამ ესეც არაფერი! უფრო მეტიც — მაიაში ვერსაჩეს მკვლელობის შემ-დეგაც მას რჩებოდა შანსი, მიმალულიყო, მაგრამ თავისდა საუბედუროდ, კიუნანმა ნიუ-ჯერსიში, სასაფლაოს ერთი უპოვა-რი დარაჯიც მოკლა — და ამან გადაწ-ყვიტა მისი ბედი!

საქმე ის სულაც არ არის, რომ მის მსხვერპლთა რაოდენობამ კრიტიკულ ზღ-ვარს გადააბიჯა! კიუნანის საუბედუროდ, დარაჯი მან ომის ვეტერანთა სასაფლაოზე მოკლა — ეს კი ფედერალურ საკუთრე-ბაში არსებული ტერიტორიაა! სწორედ ამ მომენტებიდან, მკვლელის ძებნა ფედერ-ალური ბიუროს იურისდიქციაში გადა-ვიდა და კიუნანიც ხსენებულ ათეულში აღმოჩნდა. მასზე ნადირობამაც ამის შე-

## "საზიზღარი ათეულის" კლუბის წევრები



**რამონ ედუარდო არელიანო-ფელიქსი**  
36 წლის, ლათინოამერიკელი, მექსიკის მოქალაქე. მუშაობდა პოლიციელად, ექიმად, ფლობდა რანჩოს. დანაშაულებრივი საქმი-ანობა: ნარკოტიკების არალეგა-ლური იმპორტი, ძალადობა.



**ვიქტორ მანუელ გერენა**  
42 წლის, ამერიკელი (პუერ-ტორიკოელი). მუშაობდა მექანი-კოსად, პირად მცველად. იძებნება სადაზღვევო კომპანიის მარცვი-სას 7 მლნ დოლარის გატაცები-სთვის, ორი ადამიანის გატაცები-სა და მძევლად აყვანისთვის.



საბამისი მასშტაბი შეიძინა!

ამუშავდა ძებნისა და ყველაფრის შემოწმება-გადამოწმების უზარმაზარი მანქანა, მრავალმილიონიანი ტირაჟით დაიბეჭდა ბოროტმოქმედის სურათისა და მონაცემების ამსახველი განცხადება, რომელიც ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში გამოაკრეს – იმის იმედით, რომ, ამერიკელთათვის უცნობი საბჭოთა პიონერის აღზრდის ტრადიციის მიხედვით, თითოეული მოქალაქისთვის ღირსეულ საქციელად არის მიჩნეული, ბოროტმოქმედის დასაჭერად საჭირო ცნობების ძებნის მიწოდება – იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე მის ახლობელ-ნათესავს ეხება. ასეთ შემთხვევაში ამერიკელებს არა მართლ კანონმორჩილება და მოქალაქობრივი ვალი ამოძრავებთ, არამედ უჩვეულო ხიბლიც – ხიბლი მთელი ქვეყნის მასშტაბით თავის გამოჩენისა...

აი, როგორ კომპანიაში მოხვდა ენდრიუ კიუნანი, რომელიც 1997 წელს აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში: ლიბურის დაზვერვის ორი ოფიცერი – აბდელ ბასეტ ალი ალ-მეგრელი და ლამენ კხამერა ფიმანი, რომლებიც შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე ჩამოვარდნილი ამერიკული თვითმფრინავის აფეთქებაში იყვნენ ეჭვმიტანილები (ამ ცოტა ხნის

წინ ერთ-ერთი მათგანი ჰაავის საერთაშორისო სასამართლომ გაასამართლა); გლენ სტიუარტ გოდვინი, რომელმაც საშინელი მკვლელობა ჩაიდინა და ციხიდან გაიქცა; ტერორისტული ორგანიზაცია „შავკანიანთა გათავისუფლების არმიის“ აქტივისტი არტურ ლი ვაშინგტონი, რომელმაც პოლიციელი მოკლა და ორჯერ მოახერხა ციხიდან გაქცევა; მექსიკელი ნარკობარონი ოვას-

ტენ ვასკეზ-მენდოზა, რომელმაც ნარკობიზნესთან ბრძოლის სპეცსამსახურის აგენტი მოკლა; ვიქტორ მანუელ გერენა, რომელმაც საბანკო მანქანის დაყარალება მოაწყო; დონალდ უები, რომელმაც ქალაქის პოლიციის შეფი გამოასალმა სიცოცხლეს; წარმოშობით ვიეტნამელი ტანგ ტან ნგუენი, რომელმაც ასევე მხეცურად მოკლა ორი ადამიანი...

წინათ ამ სიაში იყვნენ: მარტინ ლუთერ კინგის მკვლეელი ჯეიმს ერლ რეი და საბჭოთა მკითხველისთვის კარგად ცნობილი ამერიკელი კომუნისტი ქალი ანჯელა დევისი, რომელსაც ადამიანთა მკვლელობასა და გატაცებაშიც ედებოდა ბრალი, თუმცა საბჭოთა პროპაგანდა წლების მანძილზე გვარწმუნებდა, რომ მარქსისტი და „მოქალაქობრივი უფლებებისთვის მებრძოლი“ ეს შავკანიანი ქალბატონი კრავივით უცოდველი იყო.

### როგორ შეიქმნა „სახიზლარი ათეულის“ ეტაბი

ძვბ-ს დოსიეში ქვეყის შედეგად, ათეულთან დაკავშირებულ ბევრ გასაცარ ფაქტს წააწყდება კაცი. მაგალითად, იმას, რომ ამ კლუბში არასოდეს მოხვედრილან 30-40-იანი წლების სახელგანთქმული განგ-

სტერები, რომლებსაც ჩვენ წიგნებითა და ფილმებით ვიცნობთ: დლინჯერი, ალ კაპონე, ბონი და კლაიდი, „ტყვიაფრქვევი“ კელი და სხვები. არადა, მათ რომ სისხლი დაუღვრიათ, ბევრი ახლანდელი მკვლელი ვერც ინატრებს. მაშ, რაშია საქმე?

პასუხი ძალზედ მარტივია – ვერ მოასწრეს: კლუბი მხოლოდ 1950 წელს შეიქმნა და ეს შემთხვევით მოხდა. ერთმა რეპორტიორმა იმდენად მოაბეზრა თავი იმდროინდელ ძვბ-ს მრისხანე და ლეგენდარულ შეფს – ედგარ გუვერს, რომელსაც არ ასვენებდა შეკითხვის – „ვინ მიგაჩნიათ საზოგადოებისთვის ყველაზე საშიშ დამნაშავედ?“ – სხვადასხვა ვარიანტით, რომ დირექტორმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედთა სია გამოემუხურებინა. ფედერალურ ძებნაში იმ დროს მყოფი ათი დამნაშავის ვინაობა გაზეთებში გამოქვეყნდა. მოულოდნელად, ძვბ-მ მიიღო ცნობები, რომელზეც მანამდე არც უფიქრია: კანონმორჩილი მოქალაქეებისგან მიღებული სიგნალების წყალობით, ბიურომ ძალიან სწრაფად დაიჭირა ორი ძებნილი და გადაწყვიტა, ეს საქმე კონვეიერზე დაეყენებინა.

ნებისმიერი პერსპექტიული ამერიკული პროექტის დარად, „სახიზლარი ათეულიც“ შეიცავდა შოუს ხელშეხსახებ ელემენტს. როგორც კარგა ხნის წინ ძალზედ მოსწრებულად მწერალმა გორ ვიდალმა შენიშნა: „მხოლოდ ბრიყვი ობივატელები ფიქრობენ, რომ აშშ-ის დედაქალაქი ვაშინგტონია – სინამდვილეში, დედაქალაქი ჰოლივუდშია...“ ამ აზრის საფუძვლიანობა ძვბ-ს სიასთან დაკავშირებითაც დადასტურდა.

გაჩნდება თუ არა ამ კლუბში ახალი წევრი, მისი პორტრეტი უმაღლეს დონეზე ტელევიზიის საშუალებით, ბოლო წლებში კი – ინტერნეტის ქსელთაშორის, რომლის მეშვეობით ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაეცნოს „შევსებას“ მისამართზე: WWW. FBI.GOV! იმ შემთხვევაში, თუ ძებნილი დაიჭირეს (ძვბ-ს აგენტი სხვაგვარად იტყოდა – „როცა დაიჭერენ“...), ის უმაღლეს დონეზე სატელევიზიო შოუს გმირი.



**ჯეიმს ჯ. ბალჯერი**  
71 წლის, გაურკვეველი პროფესიონის ამერიკელი. ეჭვმიტანილია 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში ჩადენილ რამდენიმე მკვლელობაში, დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნაში, რომელიც ნარკოტიკების ტრანსპორტირებითა და რეალიზაციით იყო დაკავებული.



**ჯეიმს ჩარლს ჯოკი**  
46 წლის, ამერიკელი. მუშაობდა სურსათით მომმარაგებლად ელექტრო და სამშენებლო კომპანიაში. 1998 წლის 23 ოქტომბერს არალეგალურად შეაღწია ნიუ-იორკის შტატის ერთ-ერთ კლინიკაში და მოკლა ექიმი, რომელიც იმ დროს აბორტის ოპერაციას აკეთებდა.



ამბობენ, ოდესმე ამერიკაში სრულად რომ ამოიძირკვოს დამნაშავეობა, ქვეყანას ისეთი კატასტროფა ელის, რომელიც გიგანტური მეტეორიტის ჩამოვარდნას ან მარსელთა თავდასხმას შეიძლება შევადაროთ – რადგან ამ შემთხვევაში, უპირველესად, ყველა გაზეთი და ტელეკომპანია გაკოტრდება, უგაზეთო და „უწყუთო“ ამერიკელების წარმოდგენა კი, შავბნელ წინასწარმეტყველებათა ფანტასტიკურებზეა კი გაუჭირდებათ!

მასობრივი ინფორმაციით საშუალებები არა მარტო ავრცელებენ, არამედ რეკლამასაც უწევენ მასობრივ შიშებს (ფსიქოლოგები მას ფობიებს უწოდებენ), რომელსაც ამა თუ იმ მომენტში მოუცავს საზოგადოება. ამ მიზეზით, ყოველ ამერიკულ ათწლეულს თავისი, სპეციფიკურად შეფერადებული ათეული ჰყავდა.

მაგალითად, 50-იანი წლების ეპოქამ ბანკების მასობრივი ძარცვისა და ავტომანქანების გატაცების ნიშნით ჩაიარა, ამიტომაც პირველ ათეულში წამყვანი როლი მძარცველებს ეკუთვნოდათ. მომდევნო – 60-იანი წლების ათეულები გამოკვეთილად პოლიტიკური შეფერილობისა იყო: „შავი ავაზები“, ანტიმილიტარისტული რადიკალები, მარქსისტები, მაოისტები... 70-იან წლებში ორგანიზებული დამნაშავეობისა და (იმ დროს რატომღაც მოდად ქცეული) ბავშვების გატაცების ჯერი დადგა. 80-იან წლებში, როცა ამერიკამ ნარკოტიკებს გამოუცხადა ომი, ათეულებში აშკარად ლათინოამერიკული წარმომავლობის ნარკობარონების სახეებმა იმატა. ბოლოს, გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ათეულების სათავეში პოლიტიკური ტერორისტები მოექცნენ.

**ათიანი კოზირი ტუხსაც ჭრის**

რაც არ უნდა იყოს, ათეულის სისტემამ ამერიკაში გაამართლა: ადრე თუ გვიან, მასში მოხვედრილ ბოროტმოქმედთ მაინც იჭერენ, ან კლავენ ხოლმე დევნისას, ან კიდევ, ისინი თავად ვარდებიან ათეულიდან: ბარდებიან ხელისუფლებას, თავს

იკლავენ, კვდებიან ან, ბოლოს და ბოლოს, იმის გამო „რიცხავენ“ სიიდან, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული საშიშროებას აღარ წარმოადგენს... ამრიგად, კლუბის დაფუძნებიდან 1997 წლამდე ათეულებში მოხვედრილი 451 ბოროტმოქმედიდან 422 ან დააპატიმრეს, ან მოკლეს, ეს კი ყოველი 100-დან 94-ს შეადგენს: დანაშაულთა გახსნის შესაშური პროცენტია!

ძვბ-ს წინააღმდეგ ბრძოლა, რომ იტყვიან, ფუჭი ნომერია. ათეულში მოხვედრისთანავე, ბოროტმოქმედი საშინელი რეკლამის მსხვერპლი ხდება: ასობით აგენტთან ერთად, მასზე მასმედიაც ნადირობს და ათასობით მოხალისე ინფორმატორიც! ეს საყოველთაო ყურადღება იმდენად დამღუპველია, რომ ბევრი ძებნილი ჩაბარებას ამჯობინებს ხოლმე.


ჩვეულებრივ, სარეკლამო ხმაურის გარდა, „საზიზღარი ათეული“ ძალზედ მნიშვნელოვან საინფორმაციო ფუნქციასაც ასრულებს. ძვბ-ს პროგრამა-მაქსიმუმს იმის მიღწევა წარმოადგენს, რომ თითოეულმა ამერიკელმა, თუ ის შემთხვევით გადაეყარა ძებნილს, დაუყოვნებლივ „ჩაუშვას“ იგი. ამ შემთხვევაში, სულ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რით იხელმძღვანელებს „ჩამშვები“ – ფულადი ჯილდოს სიდიდით თუ მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძობით. ამიტაც ახსენება ის ამბავი, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ელიტის კლუბში თავის დროზე არ შეიყვანეს მედიამაგნატის ქალიშვილი, რადიკალი აქტივისტი პეტი ჰერსტი (ის შეიარაღებულ თავდასხმასა და ადამიანის გატაცებაში მონაწილეობდა) და სატანისტი მკვლეელი ჩარლზ მენსონი: ისინი



ათეულის გარეშეც მეტისმეტად ცნობილები იყვნენ მთელი ქვეყნისთვის, რადგან პრესამ ძვბ-ზე ადრე მოუტანა პოპულარობა და ასეთი ღონის „გარკვევებს“, შანსი რომ მისცემოდა, მხოლოდ ბრმა და ყრუ ადამიანი არ ჩაუშვებდა...

სხვათა შორის, ბოლო წლებში გაზეთები და ტელევიზია სულ უფრო ხშირად უსწრებენ მამებრებს. როგორც ცნობილია, რეპორტიორებს ფეხები აჭმევს პურს, ამიტომ გაზეთებსა და ტელეეკრანებზე ათეულში მოხვედრის კანდიდატები უფრო ადრე ხვდებიან, ვიდრე საკუთრივ „შავ სიაში“.

კლუბის რამდენადმე შელახული იმიჯის გამოსასწორებლად, ძვბ ახლა უკვე განგებ აწყობს ხოლმე საქმეს იმგვარად, რომ ინფორმაციამ გაჟონოს და გამოძეურდეს პოპულარულ ტელეპროგრამებში – „ამერიკის ყველაზე მეტად ძებნილები“, „გაუნსნელი დანაშაულობანი“ და სხვა დოკუმენტურ-კრიმინალურ გადაცემებში, რომელიც აშშ-ში TRUE CRIME SHOWS („ნამდვილი კრიმინალური შოუ“) სახელით არის გაერთიანებული. ამ მეთოდს ფუჭად არ ჩაუვლია: ტელე-



**გლენ სტიუარტ გოდვინი**

42 წლის, ამერიკელი. მუშაობდა მექანიკოსად, მშენებლად. გაქცეულია ციხიდან, სადაც მკვლელობისთვის მისჯილ სამუდამო პატიმრობას იხდიდა.



**უსამა ბენ ლადენი**

43 წლის, საუდის არაბეთის მოქალაქე. პროფესიული სტატუსი გაურკვეველია. იძებნება დარენ-სალამში, ტანზანიასა და ნაირობიში (კენია), აშშ-ის საელჩოების აფეთქებისთვის, რომლის შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.



პროგრამების წყალობით, სულ ცოტა 2 ათეული ბოროტმოქმედი მაინც გააუვნებელყვეს.

### თანამედროვე „საზიზღარი ათეული“

1997 წლის დასახელებული სიიდან, დღევანდელ ათეულში მხოლოდ სამი დამნაშავე – გერენი, გოდვინი და უები – ფიგურირებს. ამ, ჯერ კიდევ ძებნილ სამეულს, ფრიად კოლორიტული ფიგურები შეემატა. მათ შორისაა №1 საერთაშორისო ტერორისტი და „მსოფლიო მოქალაქე“ (ამჯერად, მსოფლიოს ისლამური ნაწილი იგულისხმება) შეიხ უსამა ბენ ლადენი, რომელსაც ამერიკული საელჩოების მრავალრიცხოვანი მსხვერპლით აღნიშნული აფეთქებები ედება ბრალად. მას მოჰყვებიან: დანაშაულებრივი სინდიკატის თავკაცი ჯეიმს ბალჯერი; ნარკოკასტელის ერთ-ერთი მეთაური, მექსიკელი რამონ არელიანო-ფელიქსი; ჯეიმს კოპი, რომელმაც აბორტის ოპერაციისას მოკლა ექიმი-გინეკოლოგი; ერიკ რუდოლფი, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადის დროს მოაწყო აფეთქებათა სერია; ყველაზე უჩვეულო ფიგურას კი, ამ „საკრებულოში“ ვინმე ერიკ როსერი წარმოადგენს, რომელიც, ძვბ-ს ინფორმაციით, ბავშვთა პორნოგრაფიას იღებდა და ავრცელებდა.

კლუბის მეთე წევრია მკვლეელი ჯეიმი ჯეიმს კასტონი, რომელიც სულ ახლახან ამოიშალა სიიდან, რადგან დააკავეს (მის ფოტოსურათს წარწერა – „დაპატიმრებულია“ – სერავს).

როგორც ხედავთ, მსხვერპლთა რაოდენობა ათეულში მოხვედრაზე გავლენას არ ახდენს: ზოგი ერთი კაცის მკვლელობისთვის ხვდება კლუბში, ზოგის კისერზე კი ორი ასეული ადამიანის სიცოცხლეა.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი ის არის, რომ დღევანდელ ათეულში ე.წ. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მესამელსაც არ შეადგენენ, წინათ კი „ლათინოსები“, „შავები“ და „აზიატები“ მულამ უმრავლესობაში იყვნენ...

ფორმალურად, თვით ათეულში არანაირი რეიტინგი არ არსებობს. „თითოეული მათგანი ჩვენთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია“, – აცხადებენ ძვბ-ს თანამშრომლები. მაგრამ ერთგვარი იერარქიის შექმნა, ძებნილის სამხელად დაპირებული თანხით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, დღეს ბენ ლადენი ლიდერობს: ამ ტერორისტის დაჭერის ხელშემწყობს, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ძვბ 5 მლნ დოლარს ჰპირდება. მას მოჰყვებიან: ასევე ტერორისტი რუდოლფი და განგსტერი და თაღლითი ბალჯერი (ორივესთვის ძვბ-ს თითო მილიონი აქვს დაწესებული, სხვა დანარჩენი ნახევარ მილიონად არიან შეფასებული).

ცნობილია, რომ ხშირად სწორედ ფსონის გაზრდას მოუტანია ძვბ-სთვის სასურველი შედეგი: სანამ ხალხს „რადაც საცოდავი“ 50 ათასის დაპირებით კვებავდნენ, მოქალაქეები დიდად არ აქტიურობდნენ, აი, საქმე „ლიმონამდე“ რომ მივიდა, სადაც მიერუებულ პროვინციაში გადახვეწილი ძებნილიც სწრაფად გამოიყვანეს სამზოზე... ამერიკა ყველაფერში „ამერიკობს“...




**ერიკ ფრანკლინ როსერი**  
48 წლის, ამერიკელი. იყო ჯაზური ორკესტრის პიანისტი, მუსიკის მასწავლებელი. მისი ბოლო, ცნობილი ადგილსამყოფელი ტაილანდის დედაქალაქი ბანგკოკია. ბრალი ედება ბავშვთა პორნოგრაფიის საერთაშორისო ქსელის ორგანიზებაში.

### ჯეიმი ჯეიმს კასტონი

35 წლის, ამერიკელი. პროფესიონალი თევზჭერი, ტექნიკოსი, დურგალი. ბრალად ედება ცოლისა და მისი მეგობრის მკვლელობა, შემდეგ კი ორი პოლიციელის მკვლელობის მცდელობა. დაეძებნენ აგრეთვე ადამიანის გატაცებისთვის, რომელიც იარაღის მუქარით აიძულა, ლუიზიანიდან ტეხასში გადაეყვანა თავისი მანქანით.



**ერიკ რობერტ რუდოლფი**  
34 წლის, ამერიკელი. მუშაობდა დურგლად. დაეძებნენ ალაბამის შტატში მომხდარი აფეთქებისთვის, რომლის შედეგად დაიღუპა პოლიციელი და მძიმედ დაიჭრა მედდა. ბრალი ედება ატლანტაში, ოლიმპიადის დროს განხორციელებულ აფეთქებებშიც, რომლის შედეგად, საერთო ჯამში, 150 ადამიანი დაშავდა.



### დონალდ იუვინ უები

69 წლის, ამერიკელი. მუშაობდა ყასბად, ავტომობილების, საიუველირო ნაწარმის, უძრავი ქონების გამყიდველად, ფლობდა რესტორანს. მოკლული ჰყავს პოლიციის ოფიცერი, რომელსაც ჯერ ბლაგვი საგანი ურტყა თავში, შემდეგ კი, პისტოლეტიდან ორი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს.



თუმცა, ძნელი არ არის ჟურნალისტებს გაუგო. არავინ ისე არ ინახავს თავის საიდუმლოებებს, როგორც ჯოდი ფოსტერი. 1988 წელს ის ნამდვილი ვარსკვლავი გახდა, როცა ფილმისთვის – „ბრალდებული“ „ოსკარით“ დაჯილდოვდა. იმ დროის შემდეგ პრესა მის ყოველ ნაბიჯს ადევნებდა თვალყურს.

9 წლის მანძილზე ჯოდიმ პრესას ვერც ერთი სენსაცია ვერ აჩუქა. ინტერვიუებში მხოლოდ თავის ფილმებზე საუბრობდა, მოხერხებულად უქცევდა გვერდს პირადული სასიათის შეკითხვებს, ჟურნალისტები მას არასოდეს გადაჰყრიან რესტორანსა თუ ლამის კლუბში. რეპორტიორებმა მას „პოლიუელის მონაზონი“ დაარქვეს, რადგან მსახიობი თითქოს მთლიანად სამუშაოზე იყო კონცენტრირებული. და აი, სენსაცია მანც მოხდა. მსახიობის ძმამ ბადი ფოსტერმა (ბავშვობაში მსახიობმა, ახლა კი მშენებელმა) უეცრად გადაწყვიტა, ხალხისთვის თავისი ბავშვობის მოგონებები გაეწილა. 1997 წელს მან გამოუშვა წიგნი ორანჯოვანი სათაურით FOSTER CHILD (სათაური ითარგმნება როგორც „ყვანილი ბავშვი“ ან „ფოსტერი-ბავშვი“). წიგნში ავტორი ამტკიცებდა, რომ ფოსტერის დედა ლეს-ბოსელი იყო და თავად ჯოდისაც ჰქონდა თავისი სქესის მიმართ სიყვარულის მიდრეკილება.

ღის რეაქციამ არ დააყოვნა. ადრე ის ყურადღებას არ აქცევდა, როცა პრესა ფილმებში პარტნიორებთან გაჩაღებულ რომანებზე ჭორაობდა. ამჯერად კი ჯოდიმ ძმისგან მაშინვე ბოდიშის მოხდა და გამოთქმული აზრის უარყოფა მოითხოვა, თანაც დაეუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიმართავდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბადი იძულებული გახდა, ბოდიში მოეხდა და ელიარებინა, რომ არასოდეს მიუსწრია დისთვის საწოლში ქალთან ერთად, მისი აზრი კი მხოლოდ ჯოდის ქცევას ემყარებოდა: დაიკოს რომ საყვარლები ხელთათმანებევით ეცვალა, მაშინ ბადი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ჯოდი უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებს.

ჯოდიმ მიიღო ძმის ბოდიში და იმ დროიდან მოყოლებული, ბადიმ თითქოს პირში წყალი ჩაიგუბა: აღარც ინტერვიუ მიუცია და არც ახალი წიგნი გამოუშვია. ჩანდა, რომ ის სერიოზულად შეშინდა.

სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ ჟურნალისტებს ახალი სენსაცია თავად ჯოდი ფოსტერმა მოუშვა: ხალხმა მისი ფეხმძიმობის ამბავი შეიტყო! ამასთან, ის ამჯერადაც არ იყო შემჩნეული მამაკაცების

**2001 წლის მაისში ჯოდი ფოსტერი კანის კინოფესტივალს ჟიურის თავმჯდომარის რანგში უნდა სწეოდა. მან უარი განაცხადა, რადგან თრილერში – „ბანიკის ოთახი“ შესთავაზეს გადაღება. ჯოდი მაშინვე დათანხმდა და საფესტივალო დროის ტარებას, გადაღებებზე გამგზავრება არჩია.**

**ფრანგები ამის გამო ჯოდიზე არ განაწვენებულან, რადგან ფოსტერი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აცხადებს, რომ საცხოვრებლად საფრანგეთში სურს გადასვლა: ვარსკვლავი იმით არის უკმაყოფილო, რომ ამერიკული პრესა მეთისმეტად დაჟინებულად იქექება მის პირად ცხოვრებაში.**



# საიუბლოაზით მოხული ჯოდი ფოსტერი



„კონგაქტი“

კომპანიაში და საერთოდ, მისი ეს მდგომარეობა მშობიარობამდე მხოლოდ სამი თვით ადრე გახდა ცნობილი.

მანამდე ფოსტერი ნახევარი წელი კინოგადაღებებში მონაწილეობდა, იძლეოდა ინტერვიუებს, დადიოდა ცერემონიებზე – და ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა. და მხოლოდ ცნობილმა ჭორიკანა ჟურნალისტმა ლიზ სმიტმა მიაქცია ყურადღება, რომ ფოსტერი ჯინსებს აღარ ატარებდა და ფართო კაბებში გამოწყობილი დადიოდა. სმიტის ხუმრობით დასმულ კითხვაზე – ფეხმძიმედ ხომ არ ბრძანდებით?

– ფოსტერმა მშვიდად უპასუხა: დიას, ბავშვს ველოდებიო და ოდნავ შემრგვალებული წელიც უჩვენა. მუცლის ზომის შეფასების შემდეგ, ლიზმა დაასკვნა, რომ ბავშვი ნოემბერზე ადრე არ უნდა დაბადებულიყო – და ამის შესახებ თავის საგაზეთო „სიანლეთა სვეტშიც“ აუწყა მკითხველებს. ბავშვი კი ივლისში გაჩნდა.

პოლიუელი ამას არ გაუკვირვებია. ჯოდი ფოსტერმა სინარულით აცნობა ლიზ სმიტს, რომ ბიჭს ელოდებოდა და ბავშვს ფიქრებში უკვე ჩარლის ეძახდა.

– მამა ვინ არის?

– ამას ვერავინ ვერასოდეს გაიგებს.

ჯოდი მართალი აღმოჩნდა. მას შემდეგ ბევრი ჟურნალისტი ეცადა სიმართლის გარკვევას, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ამბობდნენ, თითქოს ჩარლის მამა ფრანგი მსახიობი და რეჟისორი მათე კასოვიცი იყო, რომელიც ფოსტერის კინომწარმოებელ ფირმაში აპირებდა ფილმის გადაღებას. ზოგი ჭორის თანახმად, ჯოდიმ ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა ჩაიტარა... ვერც ერთი ვერსია ვერ დადასტურდა.


1998 წლის ივლისში დაბადებული ჩარლი გაჩენისთანავე ცნობილი გახდა. დედამისი კი მალე გადაღებებზე ბავშვთან ერთად გაეშვა, თანაც, სადაც ქვეყნის დასაღიერში — მალაიზიაში, ისტორიული ფილმის — „ანა და მეფეს“ გადაღებულზე.

გადაღებები ძალიან მძიმე აღმოჩნდა: მოუჩვევლი გარემო, სიცხე, ანტისანიტარია. შუა გადაღებების დროს ჯოდი ფოსტერს ფეხი გადაუბრუნდა, ძლიერ დაიზიანა სახსარი, მაგრამ ფილმის გადაღების შეწყვეტა შეუძლებელი იყო — პროექტში 50 მილიონი დოლარი იყო ჩადებული. ფოსტერმა ტკივილი დაძლია და მუშაობა განაგრძო. როცა ფილმი გაქირავებაში გავიდა, აღმოჩნდა, რომ მთელი შრომა წყალში იყო ჩაყრის — მაყურებელი მის მიმართ გულგრილი დარჩა. ამის შემდეგ ჯოდი ფოსტერი ორი წლით გაქრა კინოდან. ამბობდნენ, თითქოს მან გადაწყვიტა უარი ეთქვა მსახიობობაზე და მხოლოდ რეჟისორად და პროდიუსერად მუშაობის გაგრძელებას აპირებდა.

თვითონ ჯოდი კი ამტკიცებს, რომ ბოლო წლების იმედგაცრუებით კინოსადმი მისი დამოკიდებულება არ შეცვლილა. იმედგაცრუება კი, საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. „ანა და მეფეს“ გადაღების სირთულეები უკვე აღინიშნა, უფრო მეტი უბედურება ფოსტერს თავისი საოცნებო ფილმის — „ფლორა პლამის“ შექმნის გზაზე ელოდა.

ამ ფილმის გადაღებისთვის მზადება ფოსტერმა 1999 წელს დაიწყო. მასში სხვადასხვა ადამიანის აღქმის პრიზმიდან

„ანა და მეფე“



დანახული გენიალური ცირკის მსახიობი ქალის ამბავი უნდა გადმოცემულიყო. ფილმის ბიუჯეტი საკმაოდ მცირე იყო, მასში ვარსკვლავთა მონაწილეობა არ იეგემებოდა. მამაკაცის მთავარ როლზე ფოსტერმა რასელ ქროუ მიიწვია, რომელიც მაშინ ჰოლივუდში ბედნიერების საძიებლად ჩასული ერთ-ერთი უცხოელი მსახიობი იყო. ფოსტერი და ქროუ დამეგობრდნენ, ერთად დადიოდნენ მაღალი საზოგადოების მიღებებზე. შემდეგ ქროუმ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფოსტერს დამტვრეული სკამის შეკეთებაში დაეხმარა („საშუალო სტატისტიკური“ ჰოლივუდელისთვის ეს გმირობის ტოლფასია) და ამის შემდეგ ქროუ და ფოსტერი მამინვე საქმროდ და საცოლედ გამოაცხადეს. პრესა უკვე წინასწარ ვარაუდობდა, როგორი შეიძლება გამოსულიყო იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისა და იმ ავსტრალიელი ყოფილი მწვემის კავშირი, რომელმაც სკოლაც კი ძლივძლივობით დაამთავრა... მაგრამ შემდეგ „გლადიატორის“ პრემიერა შედგა და რასელ ქროუ ნაკლებად ცნობილი პროვინციელიდან მომენტალურად გარდაიქმნა სეზონის ყველაზე კამკაშა ვარსკვლავად.

თავდაპირველად, „ფლორა პლამის“ პროექტი „გლადიატორის“ მსოფლიო სარეკლამო კამპანიაში რასელ ქროუს მონაწილეობის გამო, გადაიდო, შემდეგ — ფილმში „ცოცხალი მტკიცებულება“ გადაღების გამო და როცა ქროუმ გადასაღებ მოედანზე ხელი იღრძო, ექიმებმა მას კატეგორიულად აუკრძალეს ფიზიკური დატვირთვა. „ფლორა პლამის“ პროექტის განხორციელება განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

გამორიცხული არ არის, რომ ფოსტერმა პროექტი პირადი მოსაზრებების გამო დახურა. საქმე ის არის, რომ „ცოცხალი მტკიცებულების“ გადაღების დროს ქროუმ მეგრაიანთან მხურვალე რომანი გააჩაღა. და თუმცა ფოსტერი ირწმუნება, რომ ის და ქროუ მხოლოდ მეგობრები იყვნენ და მეგობრებად დარჩნენ, ქალი მაინც განაწყენებული ჩანდა.



როგორც ყოველთვის, ფოსტერმა ნუგეში სამუშაოში პოვა. მალე შედგება მისი ფილმის — „ბიჭების საშიში ცხოვრება საკურთხეველთან“ პრემიერა, რომელშიც ფოსტერი მსახიობადაც გვევლინება და პროდიუსერადაც.

სამუშაო მას ყოველთვის ეხმარებოდა მძიმე პრობლემების დაძლევაშიც და რთულ კითხვებზე პასუხების მიღებაშიც. გადაღებებში მონაწილეობა ჯოდიმ ორი წლის ასაკიდან დაიწყო.

1962 წელს დაბადებული ჯოდი, ლუჩანა და ბრენდი ფოსტერების 4 შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. მშობლები ჯოდის გაჩენამდე დაშორდნენ ერთმანეთს. დედამისი ლუკმაპურის ფულს, ასე ვთქვათ, „საზოგადოებასთან ურთიერთობით“ — სარეკლამო ფურცლების გავრცელებით, მიღებებზე გამაგრებული სასმელების ჩამოტარებით შოულობდა. უფროსმა ძმამ ბადიმ ადრე დაიწყო ფულის შოვნა — სინჯებზე დადიოდა და მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. ერთხელ, მან ვერავის მიაბარა 2 წლის დაიკო და სინჯები მასთან ერთად გაიარა. ბადის უარი უთხრეს, მისი და კი მიიღეს...

სულ მალე, ოჯახში ფულის ძირითადი შემომტანი ჯოდი გახდა. „ის თავიდანვე ასაკთან შეუფერებლად ჭკვიანი და განვითარებული იყო“, — წერდა თავის წიგნში ბადი და მაგალითად, იმ შემთხვევას ასახელებდა, როცა თავზარდაცემულმა ოჯახმა უცებ აღმოაჩინა, რომ სამი წლის ჯოდის კითხვა შეეძლო. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის გადაღების დროს მას ძიძა მიამაგრეს, რომელმაც გოგონას ასოები აჩვენა. დანარჩენი ჯოდიმ თავისით ისწავლა.

ვარსკვლავი სულ 8 წლის იყო, როცა



პირველი როლი მიიღო კინოში. 12 წლისას მთვარი როლი დააკისრეს სერიალში – „ქაღალდის მთვარე“ და იმ დროიდან მოყოლებული, ოჯახი ძირითადად, მისი შემოსავლით ცხოვრობდა. დანარჩენები მას მხოლოდ ეხმარებოდნენ: ერთი და, მისი რეპეტიტორი იყო, მეორეს ის გადასაღებ მოედანზე დაჰყავდა.

რა თქმა უნდა, ჯოდი ყველაზე მეტად წვალბოდა. მოგვიანებით მსახიობმა აღიარა, რომ ბავშვობაში ყოველთვის ნერვული გამოფიტვის ზღვარზე იყო. იმისათვის, რომ მუშაობის უფლება მოეპოვებინა, ყველა არასრულწლოვანი მსახიობი ვალდებული იყო, რეგულარულად გაეგლო გასაუბრება სასამართლოს ფსიქოლოგთან. ბრენდი ფოსტერს ხშირად დაჰყავდა ქალიშვილი ადგილობრივ სასამართლოში, პატარა ჯოდი კი მთელი ძალით მუჰავდა ხელებს, რათა არავის შეემჩნია, რომ ის ფრჩხილებს იკვნეტდა: ნერვული დაძაბულობის ეს ნიშანი რომ შეემჩნია, ფსიქოლოგს შეეძლო მისთვის მუშაობა აეკრძალა და მთელი ოჯახი არსებობის წყაროს დაკარგავდა.

იმ წლებში ჯოდი კინოკარიერას, როგორც კარგი განათლების მისაღებად დასაგროვებელი ფულის შოვნის საშუალებას, ისე აღიქვამდა. მსახიობის სამუშაო მას ძალიან ადვილი ეჩვენებოდა და თვლიდა, რომ ეს ზრდასრული ადამიანისთვის შეუფერებელი საქმე იყო. ის შესანიშნავად სწავლობდა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში – ფრანგულ კოლეჯში, რომლის დამთავრების შემდეგ, იელის უნივერსიტეტში ჩააბარა და გადაწყვიტა – კინოს საშუალოდ გამოსთხოვებოდა.

მაგრამ სულ რამდენიმე თვეში აღმოაჩინა, რომ კინოს გარეშე ვერ გაძლებდა. მალე ის დრამის ფაკულტეტზე გადავიდა და სადიპლომი თემად „სამსახიობო ხელოვნების ბუნება“ აირჩია. ხუთწლიანი შესვენების შემდეგ კოლივუდში დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ ის სრულიად დაივიწყეს.

და აი, ფოსტერი იერიშზე გადავიდა. მან გადაწყვიტა, სეზონის ყველაზე პრესტიჟულ პროექტში – „ბრალდებულებში“ მიეღო მთავარი როლი, სადაც მისი გმირი სასამართლო პროცესს თავის მოძალადე სამ კაცს მოუგებს.

პროდიუსერებს მისი დანახვაც არ უნდოდათ: მათ მთავარ როლში „გაუპატიურებისთვის შესაფერისი“ გოგონას ხილვა სურდათ, და არა უნივერსიტეტ-დამთავრებული ტიპური ქალიშვილისა.

ამასთან, იმ დროს ფოსტერი ძალიან გასუქებული იყო... რამდენიმე კვირის მანძილზე ის მკაცრ დიეტას იცავდა, ვარჯიშობდა და სინჯების დაწყების დღისთვის ალვის ხესავით ტანწერწეტა გახდა. რეჟისორს იგი მოეწონა და აუხსნა ჯოდის, როგორი იყო მის და პროდიუსერთა წარმოდგენაში „გაუპატიურებისთვის შესაფერისი“ გოგონა.

„მეორე დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ცუდად გავიარე სინჯები, – იხსენებს ფოსტერი, – მაგრამ მაინც ამიყვანეს“.

გადაღებებზე მას არანაკლებ მკაცრი გამოცდა ელოდა. ძალადობის სცენას პრაქტიკულად, როგორც ნამდვილს, ისე იღებდნენ: ფოსტერმა თავის თავზე თითქმის ყველაფერი გამოსცადა, რაც შეიძლება ძალადობის მსხვერპლს გამოეცადა – საკუთრივ სქესობრივი აქტის გარდა.

„გადაღებების შემდეგ მსახიობები ტიროდნენ, – იხსენებს ფოსტერი, – მე კი, როგორც უკანასკნელი იდიოტი, ვფიქრობდი, რომ მათ რცხვენიათ და ეშინიათ, და მე რაღაც უნდა მეღონა იმისათვის, რათა მათ ეგრძნოთ, რომ ეს მაინც, მხოლოდ კინო იყო...“

„ბრალდებულებისთვის“ მან თავისი პირველი „ოსკარი“ მიიღო. სამი წლის



„კრავთა ღუმელი“

შემდეგ მეორე – „კრავთა ღუმელისთვის“. დღეს ბევრი თვლის, რომ ადრე თუ გვიან, ჯოდი ფოსტერი „ოსკარს“ რეჟისურისთვისაც მიიღებს.

თავად ფოსტერი დიდებას, ჯილდოებსა და ჰონორარს ფილოსოფიურად უყურებს. ფილმში „ჰანიბალი“ („კრავთა ღუმლის“ გაგრძელება) მონაწილეობისთვის მას 20 მილიონი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა, რადგან სცენარი არ მოეწონა. ბევრმა მისი ქმედება ჭირვეულობად – ვარსკვლავის ახირებად მიიჩნია. მაგრამ ფოსტერი ირწმუნება, რომ ასე იმიტომ მოიქცა, „ოსკარის“ მომტანი გმირისთვის ერთგულება რომ დაემტკიცებინა.

„ლაპარაკი დავიწყებამს მიეცემა, კინო კი რჩება. ფირზე აღბეჭდილი ხომ არასოდეს გაქრება“.

**კავიშვილ ჩარლისთან ერთად ჯოდი ბავშვობას უბრუნდება...**



მოხუცებული გიგია ამირანაშვილი ბუხარში მინავლებულ ცეცხლს მისჩერებოდა. მძიმე ფიქრებში ჩაფლული კარის კაკუნმა გამოაფხიზლა. შემოდო, — შესძახა ისე, რომ შემოსულისკენ არც შებრუნებულა. ხშირად აკითხავდნენ ხოლმე მეზობლები. მოხუცი შეჩვეული იყო სტუმრებს.

— პაპა გიორგი! — დაუძახა იგორმა რუსულად.

მოხუცი ახლად შებრუნდა. კარში მაღალი, ახოვანი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი იდგა.

გიგია ყურადღებით მიაჩერდა ახალგაზრდას.

— მე იგორი ვარ, პაპა გიგია, გიგიას მეგობარი. ერთად ვიბრძოდით... იქ... ყველგან, — ქული მოიხადა იგორმა.

— მოდი, შვილო, — მძიმედ უპასუხა გიგიამ ქართულად და შესახვედრად წამოიწია.

იგორი წამოდგომაში მიეხმარა მოხუცს.

გიგიამ მხრებზე მოჰკიდა ხელი ახოვან ვაჟკაცს. თავი დაუწია და გულში ჩაიხუტა. დიდხანს ეფერებოდა.

მეზობლებმა იგორს სუფრა გაუშალეს. თუმცა, ქეიფი არ გამოუვიდათ.


იგორი ჰყვებოდა, დანარჩენები უსმენდნენ და ალაგ-ალაგ ურთავდნენ მოკლე სადღეგრძელოებს.

იგორმა თხრობა დაამთავრა. არავის არაფერი უკითხავს.

აბა, გაგვიმარჯოს ყველას, წასვლის დროა უკვეო — და მეზობლებიც დაიშალნენ.

იგორი და გიგია პაპა ბუხართან დასხდნენ. მოხუცი დიდხანს იჯდა ფიქრებში წასული, თითქოს ვერც ამჩნევდა იგორს. მერე თავისთვის მძიმედ დაიწყო ლაპარაკი. იგორს არ ესმოდა ქართული, მაგრამ გრძნობდა გიგია პაპას გულისტკივილს.

— დედა არ ახსოვს გიგიასა, — მძიმედ დაიწყო მოხუცმა, — თვეებისა იყო, რომ დაობლდა.



ნიკო აშპარელი

# ბედისწერა

კარგი ადამიანი იყო ცხოვრებული დედამისი. მაგ ბაღის მშობიარობას გადაჰყვა, თავისი ჩვილის დარდი თან წაიყოლა. ათი წლისას მამაც დაეღუპა. ჩემი და ჩემი მოხუცებულის ამარა დარჩა. ჩემმა მოხუცმა ორი წელი გაუძლო რძლისა და შვილის დარდს და ისიც გაუყვა საიქიოს გზას. დედიდანაც და მამიდანაც გიგიას ნათესავები დარჩა, ქალაქში ცხოვრობენ. მე ქალაქში რა წამიყვანდა საცხოვრებლად... იქ რაღაცნაირად, სხვანაირად არიან. არ ვიცი მაგათი ცხოვრება. ე ბაღმა კიდევ, არაფრით არ მიმატოვა — არ ისურვა. არც ძალა დაგვიტანებია. არა გვჩვევია ამირანაშვილებს ცხოვრების სიმწველეთვის თავის არიდება. ეგეთი მოდგმისა და ჯიშისანი ვართ. რაც არის — არის, ბედისწერა — ბედისწერაა.

ახლა იმასა ვფიქრობ... ეე!.. ნეტა ცოცხალს მომისწროს... კარგი, დაწევი, შვილო, ნამგზავრი ხარ. დროა დაისვენო.

იგორი მიხვდა, რომ პაპა გიგია დასაძინებლად ეპატიჟებოდა. მუხლებზე ხელი დაირტყა და ხვნეშით წამოდგა.

— ჰო, პაპა გიგია. წავალ, თავს

ადარ შეგაწყენთ, დავიძინებ.

... მეორე დილას მოხუცებულს შუშის დაჭრასა და დალაგებაში მიეხმარა. კიდევ უნდოდა, რამეში დახმარებოდა.

— აღარაფერია, შვილო, გასაკეთებელი. ზამთარში, საშენო საქმე რა უნდა იყოს?! მოდი, დაჯექი. დაისვენე.

იგორის წასვლის გადაწყვეტილებამ ერთ წამს ჩააფიქრა მოხუცი.

— ჰო, შენ იცი, შვილო, — თქვა ბოლოს.

ხურჯინში ხილი ჩაუღაგა. ერთი ხელადით ღვიწო ჩაუღდა.

— გზად დალიე ხოლმე, ჯანზე მოგიყვანს.

— მამ ასე, პაპა გიგია, — გაეჭიმა იგორი, — გიგიას არაფერი უჭირს. ყოჩაღად არის. მალე დაბრუნდება.

— კარგი. ყველაფერი ღვთის ნებაა.

მოხუცებულმა გამომშვიდობებისას თავზე აკოცა იგორს. ზურგზე ხელი მოუთათუნა.

მერე დიდხანს უყურებდა მიმავალს. დიდხანს გასცქეროდა ქუჩას, რომელსაც იგორი გაუყვა და მიეფარა. მოხუცებული გიორგი ამირანაშვილი ტკბილ-მწარე ფიქ-



რებს მისცემოდა: „კარგად არიო. ჰო, ბალო, კარგად უნდა იყო, არ გატყდე, შვილო, ნეტა რა ვაჟაკი დადექ, მანახვა ერთი, ნეტა, ჰა?! ყველას თავისი წილი ჯვარი მიაქვს. ყველას თავისი ბილიკი აქვს... ყველაფრის თავი და ბოლო სიკეთეა. გული არ გაგიფუჭდეს, შვილო, ნეტა ერთი, შენი თავი მანახვა... ეებს!“

ნინო ეზოში, კაკლის ხის ქვეშ, პატარა სკამზე იჯდა და მწვანე ნილს არჩევდა. ჭიშკარში დედამისი შემოვიდა. ნინო წამოდგა და დედას შეეგება.

— როგორ ხარ, შვილო? — გადააკოცნა დედამ.

— არა გვიშავს რა, დედა.

— მომწყინდა მარტობა, — დაიჩივლა თამარმა — ამოვედი, დავხედავ-მეთქი. სად არიან?

— ვახომ ღვინო წაიღო ბათუმში. დედამთილ-მამამთილი ვენახში არიან... თინიკო, ვახოს და, კიდევ სადღაც... — უგულოდ უპასუხა ნინომ.

— როგორ წვალბებს ეგ ბიჭიც, გამოსდის რამე?

— ჰო, წვალბენ, წვალბენ და ვალი ყოველდღე ემატებათ. ღვინო სესხით გამოიტანეს ქარხნიდან. უვარგისი ყოფილა და გაფუჭდა. ჩამოსული იყო, ახლა მეორედ წავიდა — არყად უნდა გამოეხადოთო. კიდევ ისესხა ფული. რა არაყი გამოუვათ...

— ჩემთვის დაგეჟერებინა თავის დროზე... — ნინოსთვის მტკივნეულ თემას შეეხო თამარი.

— დედა, გთხოვ, არაფერი მიხსენო.

— კარგი, კარგი, შვილო, რაც არის, არის, ბედიც ეგა ყოფილა, — დაუყვავა ქალმა. — ტანჯვისთვის არის ადამიანი გაჩენილი, ნათქვამია და, აკი ვიტანჯებით კიდევ.

ნინომ არაფერი უპასუხა.

— შენ როგორ ხარ, შვილო... ისევ ისე? — ჰკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თამარმა.

— არც როგორ, ისევ ისე...

— ის არ უნდა მოგეშორებინა...

— მთვრალი იყო და იმიტომ

მოვიშორე. გთხოვ, ამ თემასაც ნუ შეეხები, — ნინოს თხოვნაში აშკარა სასოწარკვეთა იგრძნობოდა.

დედა ვერ ხვდებოდა, როგორ ტანჯავდა შვილს.

— რა ვქნა, სულ ყველაფერზე როგორ გავჩუმდე?! დედა ვარ და გული მეთუთქება, — დაიჩივლა თამარმა.

— რას იზამ, დედი, სხვები ჩვენზე უარესად არიან, — მოკლედ მოუჭრა შვილმა.

ნინო არ აპირებდა, საუბარში აპყლოდა თამარს. ამიტომ დუმილი ჩამოვარდა, რომელიც ისევ თამარმა დაარღვია.

— ჩვენი დათო პრეფექტის მოადგილედ დაუნიშნავეთ...

ნინომ ირონიულად ჩაიცინა.

— მერე რა?

— არაფერი, ძალიან გამეხარდა. ჩემი ამხანაგის შვილია და შენც პატივს გცემს, — უხერხულად იმართლა თავი თამარმა. — რაიონის მთავარი პედიატრის ადგილი გათავისუფლდა, იქნებ გადაეყვანე? — პირდაპირ უთხრა თამარმა.

ნინოს მწარედ ჩაეცინა.

— რად მინდა მერე?

— აბა, ამ სოფელში რა ყრია შვილო?! განა ამ ბოსტინისთვის გაგაჩინე? — ცხარედ ალაპარაკდა თამარი. — რაიპედიატრი მაინც სხვა არის, სოფლის ექიმი — სხვა. თავისი „ლევი-პრავი“ აქვს. იქნება, მერე ცხოვრებაც გამოსწორდეს და ხელფასიც რაღაცას დაემსგავსოს.

— არ მინდა, — ხელი აიქნია ნინომ, — სისულელეა, არ მინდა! თამარი მიხვდა, რომ ნინოს „არ მინდას“ მიზეზი თავმოყვარეობა იყო და თუ მიეძალებოდა, არ ჩანდა სამსახურის უარყოფელი.

— შენ სულაც არ გამოგაჩენ, — გამოცოცხლდა თამარი, — მე მივალ და ვთხოვ, ვინ რას გაიკებს?

— მე ხომ გავიგებ! არ მინდა,

— მაინც ჯიუტად უარობდა ნინო.

— კარგი, შვილო. არ გინდა — არ გინდა, ისე გითხარი, — უცბად მოლბა თამარი, — შენი პასუხი მაინტერესებდა. ისე, სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული.

— ჰო, შეხედა ნინომ.

— სახლ-კარი ცხონებულმა მამაშენმა თქვენ დაგიტოვათ. თუ რამეა — თქვენია, — შორიდან დაიწყო თამარმა.

ნინო მიხვდა, რომ შორი ყვედრებით დაწყებულ საუბარს რაღაც კიდევ საკამათო და შესათანხმებელი მოჰყვებოდა. თუმცა, წინასწარ გრძნობდა, რომ დედამისი მაინც თავისას გაიტანდა და პასიურადღა ეწინააღმდეგებოდა.

— ვახოს მაქვთ გამოხედვაც არ უნდა.

— როცა მეც აღარ ვიქნები, არც მერე გამოიხედავთ? გაავერანებთ იქაურობას? მუქთაზე დაადებთ? ან მე რა თავში ვიხლი იმოდენა ადგილ-მამულსა და სახლ-კარს. იმოდენა მოსავალს სად წავიდე? რას ამბობ?! — სულ უფრო და უფრო უსვამდა ხაზს შვილისათვის ნაღვაწის მნიშვნელობას თამარი.

— ნეტავ რაც აქვს, იმას მოუაროს შენმა სიძემ, დედა.

— მაგაზე არ გეუბნები. მამაშენის წლისთავისას რას ფიქრობ? — პირდაპირ შეეხო საკითხს თამარი.

ნინომ ამოისუნთქა.

— რას უნდა ვფიქრობდე, დედა? აკი ამას წინათაც გითხარი — თადარიგი გვაქვს დაჭერილი და ცოტაოდენი ფული გვაქვს-მეთქი. მოხვერი დაიკვლება, ღვინო გვექნება, ასე აღრიანად რაზე ვიხეთქოთ გული?

თამარმა უკმაყოფილოდ მოპრუწა ტურჩები.

— ბიძაშენს დავანახვე ის ხოლად, არ ეყოფაო.

— რას არ ეყოფაო? — შემფოთებით ჰკითხა ნინომ.

— რას არაო, და... შინაურებსა და ახლობლებს არ დავუძახოთ? სამასკაციანი სია გამოვიდა. ვიწვალე, ვიწვალე და ორასორმოცდაათამდე შევამცირე. მეტი აღარავინ მოაკლდება. აბა, ხომ არ ვიწუწურაქებ? სოფელს ხომ არ ავალაპარაკებ, პატივი არა სცესო?

... თამარი ისე წავიდა, ნინოს არც შეუთავაზებია, დარჩენილიყო.

ვახოს ღამით გაეღვიძა. სიბნელეში საწოლის გვერდით მაგიდაზე ხელი მოაფათურა. სიგარეტი და სანთებელა მოძებნა. მოუკიდა და ბოლი ღრმად შეისუნთქა.

– არ გძინავს?– ნინიკოსაც გაღვიძებოდა.

– ჰო, გამეღვიძა, – უხალისოდ უპასუხა ქმარმა.

– რომელი საათი იქნება?

– არ ვიცი, ბნელა ჯერ.

– ვახო... – მოკრძალებით დაიწყო ნინო.

– ჰო... – უხალისოდ გაეპასუხა ვახტანგი.

– მამაჩემის წლისთავი გვაქვს გადასახდელი.

– არ დამვიწყებია.

– დედაჩემი იყო ერთი კვირის წინ. გუშინ არ გითხარი, დაღლილი იყავი.

– მერე? – ახალი უსიამოვნების მოლოდინში იკითხა ვახო.

– ორასორმოცდაათ კაცამდე გროვდებო... ფული დაგვჭირდება... 500 დოლარამდე.

– შენ ხომ არ გაგიჟდი?! სად უნდა ვიშოვო ამდენი ფული? – იფეთქა ქმარმა.

– აბა, რა ვქნათ? მე მეგონა...

– რატომ იმას არ კითხულობ, რა მომივიდა ბათუმში? – შეაწყვეტინა ქმარმა. – შენ გეგონა, მილიონებს ავიღებდი? – გამწარებით ჩაკუჭა სიგარეტი საფერფლეში. – რასაც გასწვდებით, ის გააკეთეთ, არავინ არ დაგძრახავთ. მამაშენი – მით უმეტეს. მე თავი დამანებეთ.

– ის სახლ-კარი შენია. იმ კაცმა ჩვენ დაგვიტოვა, თან არ წაუღია, – მკვანელ შეახსენა ნინომ ქმარს.

– ნუ გადამაყოლებთ... – ხმას აუწია ვახომ. – გაყიდე და გადაუხადე. თუ გინდა, 1000 კაცს დაუძახეთ.

– ეგ რა, გამოსავალია?!

– აბა მე რას მაგულიანებთ? მე გავყიდი მანქანა? ნეტა ვალეზი დაფაროს და გავყიდი.

– მაგ მანქანით ვალეზის მეტს ვერაფერს აკეთებ.

– მაგ მანქანით ჭამ პურს, რომ იცოდე.

– კი, მაგ მანქანით, – უკბინა ნინომ. – ერთი კვირაა, მხლის მეტი არაფერი გვიჭამია. დედაშენი და მამაშენი რომ არა, მართლა შიმშილით დავიხოცებოდით.


ვახოს ცეცხლი წაეკიდა:

– ოხ მე შენი!.. რა გინდა? მითხარი, რა გინდა?

– არაფერი... შენი არაფერი მინდა. შენ მარტო ის გაინტერესებს, რომ ღამე გვერდით გეწვე და ცოლობა გაგიწიო... – ზურგი შეაქცია ქალმა.

– გაჩუმდი! – დაუყვირა ქმარმა.

– სულ გაჩუმებული ვარ. ახლა გითხარი ერთი სიტყვა.



თურმე, უფლებაც არა მაქვს, ნეტა, ხმაც არ ამომეღო.

ვახოს ტვინში სისხლმა აასხა. წამოხტა, სიბნელეში ტანსაცმელს დაუწყო ძებნა.

– სახლში გაჩერებაც ჯოჯოხეთად მიქციეთ, თქვენი დედაც...

სასწრაფოდ ჩაიცვა. სიგარეტი და სანთებელა ჩაიღო ჯიბეში. კიდევ ერთხელ შეაგინა ყველას და ოთახის კარი გაიჯახუნა.

ავტობუსი აგვიანებდა. ნინოს

საბოლოოდ გადაეწურა მამის წლისთავისთვის ფულის სესხების იმედი. იდგა მხარზე ხელჩანთაგადაკიდებული და ავტობუსს ელოდა.

მის წინ მანქანა გაჩერდა და დათო გადმოვიდა.

– გამარჯობა, ნინო, – მიესალმა დათო.

– გამარჯობა, დათო, – უხერხულად გაუღიმა ნინომ.

– სახლში მიდიხარ?

– ჰო, ავტობუსს ველოდები.

– ავტობუსი აღარ იქნება. საწვავი არ არის. წამოდი ჩემთან ერთად. სამსახურში უნდა შევირბინო. ნახევარ საათში გავთავისუფლდები და მერე წავიყვან – თავაზიანად შესთავაზა დათომ.

– არა. ნუ შეწუხდები... – დაიბნა ქალი. – გამოივლის რამე და გავყვები.

– არაფერი აღარ გამოივლის, ქუჩაში ხომ არ იღებები?! წამოდი, ჩემს კაბინეტს გიჩვენებ, განა არ უნდა მომილოცო

დაწინაურება? – სცადა უხერხული მდგომარეობის შერბილება დათომ.

ნინო ოღნავ წამოწითლდა.

– გილოცავ.

– ჰოდა, წამოდი. საქმეც მაქვს შენთან პატარა.

დათომ მანქანის კარი გამოაღო და ქალი მანქანაში ჩასვა.

დათოს კაბინეტი ვრცელი და კეთილმოწყობილი აღმოჩნდა. დათო სავარძელში ჩაჯდა, გამომცდელად იღიმებოდა.

– შევიფერე, არა? – დასცინა



თავის თავს.

– გიხდება, – კვერი დაუკრა ნინომ ღიმილით.

– კაბინეტი ვის არ მოუხდება?! აბა, ახლა მითხარი, როგორ ხართ? – საქმეზე გადავიდა დათო.

– რა ვიცი, როგორც შეგვეფერება, – მხრები აიჩეჩა ნინომ.

– შენ როგორც შეგვეფერება, კი ვიცი... – ორპროვინად თქვა დათომ. – რას შვრება შენი ქმარი, სად მოღვაწეობს?

– წვალბოს. როგორც სხვები... ბიზნესმენობს, – გაურკვევლად უპასუხა ქალმა.

– უუჰ, ძნელი საქმეა ბიზნესი. დღეს ბიზნესს ვერ ენდობი.

– რა ქნას, ოჯახს რჩენა ხომ უნდა...

– კი, მაგრამ, საიმედო არ არის.

– დღეს რა არის საიმედო? ყველა პატიოსან კაცს უჭირს, – თქვა ნინომ.

– არა, რატომ? – შეეკამათა დათო. – ვერ ვიტყვი, რომ მთლად დაღუბნილი ვარ, მაგრამ ვალები არა მაქვს და ჩემი ალალი ცხოვრებით ვცხოვრობ. რა, არა ვარ პატიოსანი კაცი?

– მე ეგ არ მითქვამს, – იუხერხულა ნინომ.

– არ ვიპარავ და არც ვალებს ვიღებ. ვცხოვრობ და ფულის შოვნის თავიც მაქვს. ვის არ უნდა კაი ცხოვრება, შენ არ გინდა?

– ვინ თქვა უარი? – გაელიმა ნინოს.

– განა ფული არ გჭირდება?

– გამოცანა გერგება, – გაიცინა ნინომ.

– მერე ეგრე შენ არ გეკადრება. რატომ უკადრისობ ჩემთან მოსვლას? – მსუბუქად უსაყვედურა დათომ.

ნინოს ერთბაშად უხერხულობის გრძნობა დაეუფლა, თუმცა, გულში ცდუნებამ შეუღიჭინა.

– ვეღარ გაწუხებთ, – უპასუხა მოკრძალებულად, – შენ ჩვენი ოჯახისთვის ისედაც ბევრი გაიღე.

დათომ მკვეთრად გააწყვეტინა:

– კარგი ერთი! მე არაფერს ვზომავ, ნინო. რაც გავაკეთე, უან-

გარო სიყვარულით გავაკეთე.

ნინომ ტუჩზე იკბინა.

– ყველაფრისთვის დიდი მადლობელი ვარ, დათო. უსაზღვროდ დიდი. ეგ წარსულში იყო, მაგრამ მე არ მჯეროდა შენი სიყვარულის.

– ვიცი. არც ახლა გჯერა. გიგია გიყვარდა და იმიტომ. სხვა არაფრის დაჯერება არ გინდოდა.

– ეგ წარსულის სისულელეებია, დათო, – ქალს ხმაში ერთბაშად შეეპარა ნაღველი, – განსენებაც არ მინდა.

– მე კი დავიწყება არ შემძლია.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. დათო დაჟინებით უყურებდა თავდახრილ ქალს, რომელსაც აშკარად უმძიმდა ამ საუბრის გაგრძელება, მაგრამ სხვა მიმართულება ვერ ეპოვა.

– კარგი. არც მე მინდა ნატრილობის გახსენება. ფული რამდენი გჭირდება? – საქმიანად შეეკითხა დათო.

– რა ფული? – უცებ ვერ მიხვდა ქალი.

– მთელმა სოფელმა იცის, რომ ფულის სასესხებლად დადიხარ და მე მიმაღავ? – იწყინა ვაჟმა.

– არ გიმაღავ, – ნინომ თითების მტვრევა დაიწყო.

– კარგი, არ უნდა მეკითხა, – დათომ ენერგიულად გამოხსნა მაგიდის უჯრა და ფული ამოიღო: – აი, აქ ათასი დოლარია. წაიღე და გამოიყენე.

ნინოს თვალები ფულისკენ გაექცა. უფრო მეტად ანერვიულდა.

– ვერ ავიღებ.

დათოს გაეცინა.

– განა ისეთი რა დავაშავე, რომ ჩემგან დახმარების მიღებაც არ გინდა?!

– უხერხულია – ორჭოფობდა ნინო.

– კარგი ახლა, ასე ხელგაწვდილი ხომ არ ვიქნები. აიღე და როცა გექნება, დამიბრუნე, კი არ გჩუქნი.

ნინოს ცრემლი მოაწვა. ქალი აშკარად ვეღარ ერეოდა ცდუნებას.

– დათო, ორ კვირაში წლისთავი უნდა გადავიხადო. მთელი სანათესაო შემოვიარე. აღარ ვიცოდი, რა მექნა. კინაღამ გავგიჟდი. დედაჩემი ცალკე იკლავს თავს, რომ არ გადავიხადოთ, სად გამოვჩნდეთო... სხვაზე ნაკლები რითი ვართო... – ველარ ალაგებდა წინადადებებს ნინო და ცრემლები ჩამოსდიოდა.

– მერე, მართალია ის ქალი, – დაეთანხმა დათო.

– კარგი, დათო. – გადაწყვიტა ნინომ – ... მე მაგდენი არ მინდა, სულ ხუთასი მჭირდება.

– ეეჰ, სულ წაიღე, იქნებ რაში დაგჭირდეს. როცა შეძლებ, მაშინ დამიბრუნებ. მე მაინც არ მჭირდება. მერე რაღაც შეიცვლება, სულ ასე ხომ არ ვიქნებით და დამიბრუნებ. თუ არა და, შენი ჭირის სანაცვლო იყოს. ვითომ დამიხარჯავს.

– კარგი, დათო!.. თუმცა, არა, – უცებ უკან დაიხია ნინომ, – ვახოს გარეშე ვერ გესესხები.

– თუ სხვისგან სესხულობდი ვახოს გარეშე? ვახოს რამე რომ ედარდებოდეს, თვითონ უნდა დადიოდეს ფულზე, შენ კი არ უნდა გაიძულებდეს!

ნინოს ვახოს უდიერად ხსენება არ სწყენია. პირიქით, მის მიმართ სიბრაზე მოემატა კიდევ.

– კარგი, ავიღებ. ოღონდ, ერთ რამეს გთხოვ. მადლობელი ვიქნები, თუ არავის ეტყვი ამის შესახებ, ხომ იცი... ხალხი როგორია...

– ვიცი, სამარე ვარ, – დაამშვიდა დათომ.

– მარტო ხუთასს ავიღებ, – აკანკალებული ხელით ფულის გადათვლა გადაწყვიტა ნინომ. – შემოდგომაზე ყურძენს ჩავაბარებთ და...

– სულ წაიღე, – დაუყვავა დათომ და ფული მთლიანად შეაჩეჩა.

– ღმერთო ჩემო, გმადლობ!.. – ნინოს ტირილიცა და სიხარულიც ერთად ახრჩობდა.

შელამებულზე მიიყვანა დათომ ქალი სახლში. ნინო სწრაფად გადავიდა მანქანიდან და აჩქარებული ნაბიჯით შევიდა სახლში.



## 3დანების უსწაფესი ავტომობილი

აშშ-ში 883 ცხ. ძალიანი DODGE VIPER-ი გამოჩნდა, რომელიც 100 კმ/სთ სიჩქარემდე 2,43 წმ-ში აღწევს! საოცარი ამაში ის არის, რომ საქმე ეხება არა სპორტულ ბოლიდს, არამედ „ნორმალურ“ ავტომანქანას, რომლითაც ჩვეულებრივ გზებზე უნდა იმობრაო.

ცხადია, მას მთლად ნორმალურს ვერ უწოდებ. სხვათა შორის, ის ყველაზე სწრაფი ავტომობილია მათ შორის, რომელიც დაშვებულია საერთო სარგებლობის გზებზე სამობრაოდ. სუპერმონსტრი კი, სატიუნინგო კომპანიამ HENNESSEY MOTORSPORTS-მა შექმნა, რომლის ინჟინრებმა ჩათვალეს, რომ 455 ძალიანი DODGE VIPER-ი მაინც, არც ისეთი ძლიერი მანქანა იყო და ახალი ავტოსაოცრება შექმნეს.

საამისოდ, V10 ძრავა, რომელსაც 455 ცხ.ძ. ჰქონდა, ორმაგი ტურბოდამბრებით აღჭურვეს და მისი სიმძლავრე 883 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. თვალსაჩინოებისთვის დაეძინო, რომ იმ სარბოლო სატვირთო „კამაზ-

49252“-ის სიმძლავრე, რომელმაც პარიზი-დაკარის რალიში გაიმარჯვა, სულ 830 ცხ.ძ-ს შეადგენს.

ახალი მოდელის მაქსიმალური სიჩქარე, რომელსაც ოფიციალურად, HENNESSEY VENOM 800 TWIN TURBO (როგორც ხედავთ, DODGE VIPER-ის ხსენებაც არ არის) დაერქვა, 320 კმ/სთ-ს შეადგენს. ეს არც ისე ბევრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივი VIPER-ი 290 კმ/სთ-ს აღწევს, FERRARI 550 MARANELLO კი, რომელსაც 485 ცხ.ძ. აქვს – ასევე 320 კმ/სთ-ს ავითარებს.

თუმცა, ახალი მანქანის მარვენებლები აბსოლუტურად გამორჩეულია: „ასამდე“ „აგორებით“ ის უპირველესია – საამისოდ FERRARI 4,4 წმ-ს, სტანდარტული DODGE VIPER-ი – 4,5 წმ-ს, PORSCHE 911 TURBO – 4,2 წმ-ს, ახლახან გამოშვებული LAMBORGHINI DIABLO GTR კი – 3,8 წმ-ს ანდომებს.

და მაინც, ავტომოყვარულები თურმე კიდევ უფრო მძლავრ VIPER-ს უნდა

ელოდნენ: საქმე ის გასლავთ, რომ 883 ძალიანი V10 ძრავა, ორმაგი ტურბოდამბრების გარდა, სერიულისგან არაფრით განსხვავდება: ქარხნული რჩება მუხლალილიც, სარკველებიცა და ცილინდრების ალუმინის ბლოკიც. სტანდარტულია ტრანსმისიაც. ამდენად, მოდელის გასაძლიერებლად ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი არსებობს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა ჯონ ჰენესიმ განაცხადა, 883 ცხ.ძ. VIPER-ისთვის სულაც არ არის ზღვარი: „ცოტაოდენი „ჯადოქრობა“ და, ძრავის სიმძლავრეს 1000 ცხ.ძ-მდე, მაქსიმალურ სიჩქარეს კი – 400 კმ/სთ-მდე ავწევთ“.

და კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: HENNESSEY VENOM 800 TWIN TURBO-ს ფასი 167.000 დოლარს შეადგენს, რაც ჩვეულებრივი DODGE VIPER-ისას 2,5-ჯერ აღემატება. მოუხედავად ამისა, კომპანიის მესვეურები დარწმუნებულნი არიან, რომ მის შექმნას ბევრი ავტომოყვარული მოინდომებს – ეს ზომ უსწრაფესი მანქანაა მთელ პლანეტაზე. ■

## ავტომოყვარებებს Maybach-ის ემბლემა ნახმოედგინეს



MERCEDES-მა ოფიციალურად წარმოადგინა ემბლემა, რომელიც ავტომანქანა MAYBACH-ს დაამშვენებს. ინგლისური ჟურნალის – AUTOEXPRESS-ის ცნობით, DAIMLER-CHRYSLER-ის ხელმძღვანელობა რამდენიმე თვის მანძილზე განიხილავდა ახალი ემბლემის საკითხს და საბოლოოდ გადაწყვიტა, ორი M-ის კომბინაციით არსებულ ისტორიულ ემბლემაზე შეეჩერებინა არჩევანი.

კომპანია უკვე იღებს შეკვეთებს „მაიბახზე“, რომლის რეალიზაციაც 2002

წელს დაიწყება. ამ ავტომობილის ფასი, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთებით გაიყიდება, 350.000-მდე დოლარს მიაღწევს. იმისათვის, რომ შეკვეთა გააფორმოს, კლიენტი უმწიკვლო სახელით უნდა სარგებლობდეს და იმის დამადასტურებელი საბუთებიც წარმოადგინოს, რომ მისი შემოსავლის წყარო არანაირად არ უკავშირდება რაიმე კრიმინალს. და კიდევ ერთი პირობა – წინასწარ 36.000 დოლარი უნდა შეიტანოს. ■



# Volkswagen-ის „ხოჭო“ 508 ცხენის ძაძამდე „გაიზახდა“

რომელ მანქანას ძალუძს, გაეჯიბროს ისეთ ავტომონსტრებს, როგორებიცაა DODGE VIPER-ი, CHEVROLET CORVETTE-ი, PORSCHE 911 ან BMW Z8? საოცარია, მაგრამ ასეთად მალე „ფოლკსვაგენის“ ახალი „ხოჭო“ მოგვევლინება, რომელმაც „გადამუშავება“ კანადაში მდებარე სატიუნინგო ატელიეში – HPA-ში გაიარა.

BEETLE GT6-ის მთავარი თავისებურება 508 ცხ.ძ. მქონე ძრავაა, რაც ჩვეულებრივ სატრანსპორტო საშუალებას ნამდვილ რაკეტად აქცევს.

თვით ინჟინერთა თქმით, ფაქტობრივად, მათ არაფერი გამოუგონიათ – მხოლოდ გამოიყენეს ის უპირატესობანი, რომელსაც „ფოლკსვაგენის“ სხვადასხვა მანქანის აგრეგატების ურთიერთთავსებადობა იძლევა. ასეთი ძრავა პრაქტიკულად, ყველა იმ მანქანას შეიძლება ჩაუდგა, რომელსაც ე.წ. „A პლატფორმა“ აქვს, მათ შორისაა: AUDI A3, AUDI TT, VOLKSWAGEN GOLF, VOLKSWAGEN BEETLE, SEAT TOLEDO, SKODA OCTAVIA. მაგრამ ინჟინრებმა მანც „ხოჭოზე“ შეაჩერეს არჩევანი – როგორც ამბობენ, ეს „ოჯახის“ ყველაზე უჩვეულო ავტომობილია. მართლაც, ერთია, როცა 500 „ცხენს“ AUDI TT-ს ჩაუდგამ, რომელიც იმ-



თავითვე მძლავრი და ჩქაროსნული უნდა იყოს, და სულ სხვა – ასეთი აგრეგატით წყნარ და „ბუნჩულა“ „ხოჭოს“ რომ აღჭურვა...

იმისთვის, რომ რამენაირად შეეზღუდათ ეს არნახული სიმძლავრე, ავტომწარმოებლებმა მანქანა სრულამძრავიანად აქციეს, რისთვისაც AUDI TT-ს აღჭურვილობა გამოიყენეს. კონსულტაციისთვის მანც AUDI-ს ცენტრს მიმართეს, საიდანაც უპასუხეს, რომ სრული ამძრავის სისტემა HALDEX-ის 800 ცხ.ძ-სთან გამკლავება ძალუძს ისე, რომ ძრავას არაფერი დაუშავდება. ბუნებრივია, სრული ამძრავის დაყენების შემდეგ ინჟინრებს საკიდართან „წამუშავებაც“ მოუწიათ: პრაქტიკულად, ყველა ელემენტი ან ახლით შეიცვალა, ან საფუძვლიანად გაძლიერდა.

მანქანის გარეგნობა კი თითქმის არ შეცვლილა. როგორც HPA MOTORSPORT-ის პრეზიდენტმა მარსელ ჰორნმა განაცხადა, მათ სულაც არ უფიქრიათ ყურადღების მისაქცევი „მოუკარის“ შექმნა. თუმცა, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, გაძლიერებული „ხოჭო“ დიდი უკანა ანტიფრთით შეიცნობა.

100 კმ/სთ-მდე მანქანა 4,2 წმ-ში მიაღწევს, მაგრამ ეს ზღვრული მაჩვენებელი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ძრავა 92 მარკის ბენზინისთვის შემუშავდა (ავტომობილი უპირველესად, აშშ-ის ბაზრისთვის არის გათვალისწინებული), მაგრამ თუ V6 ძრავა 95 ან 98 მარკის ბენზინზე გათვლით გადამუშავდა, „100-მდე“ ავორება 4,0 წმ-მდე შეიძლება შემცირდეს. ■

## Volvo ყველგანმავადს ამზეუხებს

პირველად ეს მოხდა დეტროიტში, ა.წ. დამდეგს, როცა შეედურმა კომპანიამ თავის ისტორიაში პირველად სრულფასოვანი ყველგანმავალი წარმოადგინა. ის ძალიან ჰგავს კონცეპტუალურ მოდელს VOLVO ACC-ს – ADVENTURE CONCEPT CAR,

რომელიც ასე ითარგმნება: „კონცეპტუალური სათავგადასავლო მანქანა“.

VOLVO-ს ყველა ავტომობილის დარად, ACC-ი უსაფრთხოების პრინციპს ეყრდნობა. ამ მოდელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მძღოლი მაქსიმალუ-

რად ახლოს იმყოფება წინა ღერძთან. აშშ-ში კონსტრუირების ამ სახეობას CAR FORWARD-ი ეწოდება. ყურადსაღებია, რომ საქარე მინის კიდე თითქმის ემთხვევა წინა ღერძის ხაზს, რაც მძღოლისთვის ხედვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

პლატფორმას ყველგანმავალი, VOLVO S80-ს დაესესხება, ამძრავის ნაწილი კი V70 XC-ის მოდელის ექნება. ACC-ის რამდენიმე ძრავას ჩაუდგამენ, მათ შორის, JAGUAR-ის 4,0 ლ V8-ს (აქამდე „ვოლვოს“ V6-ზე მძლავრი აგრეგატი არ ჰქონია).

ძირითად კონკურენტებად VOLVO ACC-ისთვის, BMW X5 და M კლასის MERCEDES-ი მიაჩნიათ. თუმცა, მათთან შედარებით, „ვოლვოს“ ყველგანმავალი გაცილებით ნაკლები – დაახლოებით 35.000 დოლარი ეღირება. ■





სანდრო ახმეტელთან ერთად

# მოხდინი ქვეყნით დანკებული თეატრალური კარიერა

## ლელა ჯიყაშვილი

„აი, უკვე გავკვარავდი, მოხუცებულობაში შევდგი ფეხი და თეატრი ჩემი ერთადერთი შეყვარებულია, რომლისადმიც მე ერთგული ვიყავი, რომლისთვისაც ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მიღალატა და არც ვუღალატებ, ვიდრე სამარის კარამდე არ მიმიტანენ... დაახ, მე მიყვარს თეატრი, მიყვარდა და მიყვარება... ჩემს სიცოცხლეში არასოდეს იმის შესაძლებლობა არ მიმიღწევია, რაც მე თეატრში მუშაობის დროს ოცნებდ და მიხატავს. პირიქით, თეატრმა მომაცნა ბევრი სულიერი და მატერიალური უსამართლობა, და მაინც... ვიცი, რომ ვერასოდეს ვერ შევძლებდი თეატრის მიტოვებას“ – ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომლის სახელიც დღეს თეატრის კარზე არ მოიხატება.

კოტე მარჯანიშვილი 1872 წლის 9 ივნისს დაიბადა. მამამისი – ალექსანდრე მარჯანიშვილი ოფიცერი, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი, ღელა ელისაბედ ჭავჭავაძე, მრავალმხრივ განათლებული ქალი იყო. სხვათა შორის, ის იღო ჭავჭავაძის საცოლე იყო ერთ დროს, და პეტერბურგიდან იღო თამამად სწერდა სოლომონ ჭავჭავაძეს – სასიამოვნო: სიმამრო-ჯან, ფული გამოგიზარეო. ეს ქორწინება არ შედგა და ბოლოს ელისაბედი მარჯანიშვილს გაჰყვა. კოტე 4 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა, რამდენიმე წელიწადში კი, ღელა და ორი და დაკარგა. მეთოთხეულასეული კოტე დასაფლავებულზე არ გამოუძახათ: ნათესავებმა იცოდნენ მისი ხასიათი და ეშინოდათ, რომ გიმნაზიაში აღარ დაბრუნდებოდა. არც შემცდარან: როცა კოტემ თავს



თბილისის პირველი ვახუშტი გიმნაზიის მოსწავლე კოტე მარჯანიშვილი

დამტყდარი უბელურება შეიტყო, გადაწყვიტა სოფელში წასულიყო და იქ დარჩენილიყო, დღის საფლავთან ახლოს...

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას ცდილობდა, დაეღაპრა სპექტაკლები. ერთი წუთით ვერ იხვეწდა. ღელავდა, მითითებებს აძლევდა თავისზე გაცილებით უფროს მონაწილეებს. შემდეგაც არავის უნახავს, უკვე სახელგანთქმული რეჟისორი, რეპეტიციანზე წყნარად რომ მჯდარიყო... ის კი არა და, ასეთი ჭორიც დადიოდა: მარჯანიშვილმა ერთი მსახიობი ქალი რეპეტიციის დროს გაღალატა! ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუე იყო. თვითონ კოტე მარჯანიშვილი წერდა: „გვალარებ, გაღალატდა ვიცი, მაგრამ მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, არათუ არავისთვის არ მიცემა, არამედ პირიქით, მე თვითონ დამხევეს და მერე როგორ?! – ჩემი მსახიობური კარიერის დასაწყისში“.

ეს ამბავი ასე მოხდა: თელავს ჰყავდა თავისი ანტრეპრენორი, გვარად აჯიმაშვილი. ის აფინანსებდა ადგილობრივ თეატრს, თბილისიდან იწვევდა მსახიობებს. თუ პერსონაჟი დაკლებულია, დანაკლისს ადგილობრივი სცენისმოყვარეებით ავსებდა. აჯიმაშვილმა კოტე მარჯანიშვილსაც სთხოვა ერთ-ერთ პიესაში მონაწილეობის მიღება. რეპეტიციანზე დასასწრებად 36 ვერსს (1,0668 კილომეტრი) ყვარლიდან ცხენით გადიოდა და მერე უკან ბრუნდებოდა. პრემიერის დღეც დადგა. მაღალი წრის ხანში შესული კაცი უნდა განესახიერებინა. როლისათვის ფრაკი

სჭირდებოდა. მთელი თელავი შემოიარეს, მაგრამ ადგილობრივ ვეჭალებსაც კი არ აღმოაჩნდათ ეს სოლიდური ჩასაცმელი. სადამო ახლოვდებოდა. დაქანცული და გაოფლიანებული აჯიმაშვილი ისევ გაიქცა ქალაქში ფრაკის საძებნელად. ახალგაზრდა, მომხიბლავი კოტე მარჯანიშვილი კი ამ დროს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბოტაჟს“ ეწეოდა: ქალაქის ბულვარზე დასვირობდა, ადფრთოვანებული ქალიშვილების გუნდით გარშემორტყმული, ჩექმასზე წკებლას ირტყამდა და თავისი სიმცემლებს უებნებოდა, რომ შესაძლებლობა არ ჰქონდა მათთვის საიმოვნება მიენიჭებინა ერთი-ერთი საუკეთესო როლის შესრულებით, რადგან ფრაკი არ ჰქონდა... ამ დროს ხეივანის ბოლოში, მოხეივანე გამოძეგვლებით გამოჩნდა ანტრეპრენორი. მას თურმე სასულიერო სემინარიის ერთმა მასწავლებელმა თავისი ვიცეუნდირი ათხოვა. აჯიმაშვილმა ლითონის ღილებს საკუთარი ხელით კოლენკორი გადააკრა, „ფრაკი“ მშენიერად გამოიყურებოდა. გოგონათა თაყვანისცემით ფრიალსხმულმა კოტემ კი, თურმე, საკუთარი ღირსების შეგრძობით განაცხადა: „ვიცეუნდირი – ეს ფრაკი არ არის, და მე არ ვითამაშებ!“ დიდი რეჟისორი იხსენებდა: სიხარულით ახვსო გული, რადგან მე ეს ისე ვთქვი, როგორც ნამდვილმა მაღალი წოდების ლომკაცმა... გაათრებულმა აჯიმაშვილმა კი ჯერ სილა გაარტყა, შემდეგ კისერში სწვდა, ძირს დააგდო, ნეკნებშიც წიხლები უთავანა ამ განცხადებისათვის. ცხენზე შემჯდარი ჩუმად მიიპარებოდა თავისი სოფლისაკენ გიმნაზიელი კოტე და თავს იმითდა იმშვედებდა: „მერე რა... მოლიერს ცოლი დალატობდა, ბაირონი ციებ-ციხელებით მოკვდა, აკაკი წერეთელი კი შეწუხებული იყო მახოლებისაგან...“

ახლა ვამბობთ იმ წარმოდგენების შესახებ, რომელსაც გიმნაზიელი კოტე ყვარელში ღელადა. მის სპექტაკლებში დაძმები, ღელაშვილები მონაწილეობდნენ, მაყურებლები კი კახელი გლეხები იყვნენ... რომილებიც სულ არ იცოდნენ რუსული ენა. კოტე კი „ბეზინერ ღელა“, „ყაჩაღანას“, „მოწაფობის წლებს“ რუსულად ღელადა... მაყურებლები მაინც დიდი ენთუზიაზმით დადიოდნენ სპექტაკლებზე, რადგან ისინი აქ გემრიელად შეეცქვიოდნენ გომიჯს (უსაფუერო და უმარილო მრგვალი პური, ნალვერდალში გამოძეგვარი. – ავტ.). ვაშლის, ჩურჩხილებს და სხვა ნუგბარს, რითაც ახალგაზრდა „რეჟისორი“ უხვად უმასპინძლებოდა მათ. რადგან ეს წარმოდგენები მარანში იმართებოდა, კოტეს ნაბრძანები ჰქონდა, მოეხდათ ერთი ქვევრი და გვერდით ხელადა დაეგვათ. მარჯანიშვილი იხსენებდა: „მაყურებლებს შორის ხელადის რამდენჯერმე შემოვლის შემდეგ, დიდის გატაცებით მიწვევდნენ სცენაზე. ძალიან დიდი წარმატება მქონდა, ო, რა დიდი წარმატება! მალე მთელ მახლობელ სოფლებში გავითქვი სახელი“. ასე რომ, კოტე მარჯანიშვილის კარიერის





ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ რუსთაველის თეატრში, 1922 წ.

დასაწყისში არცთუ ისე უმნიშვნელო როლი ეკისრებოდა მოხილვით ქვეყრს...

მსახიობად მარჯანიშვილმა 10 წლის განმავლობაში იმუშავა. 1894 წელს „ივერია“ წერდა: დასი წარმოადგენს ბნ გამყრელიძისა და ბნ მარჯანიშვილის დებიუტისათვის აკ. წერეთლის დრამას „პატარა კახი“... მარჯანიშვილს ხმა ძალიან კარგი აქვს, გარეგნობა შესაფერი, და თავიც, რამდენადაც პირველ ნათამაშებს შეპყვრის, კარგად უჭირავს სცენაზე... თუ ამ ნაბიჯებს გარეგან სიკეთეს თავისი ცდა და წადილი არ დააკლო, ახლავე თამამად შეგვიძლია ვუწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენი სცენის ფრიად გამოსადეგი არტისტი დადგება“.

მარჯანიშვილი ხანგრძლივად მოღვაწეობდა რუსეთის თეატრებში, როგორც რეჟისორი. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: ოდესაში „ადამიანის ცხოვრებას“ დგამდა. ხმა გავრცელდა, ოდესის არქივს (სასულიერო პირს) წერილი გაუგზავნია გენერალ კაულბარსისათვის და ამ დღემის აკრძალვა მოუთხოვია. მარჯანიშვილი და მისი თანაშემწე არქივთან წავიდნენ საქმის გასარკვევად. რეჟისორი იხსენებდა: „არქივმა ვეგარი გადაგვსახა და პირში გვატაკა თავისი მარჯვენა ხელი საამბოროდ. სტრიოტიკულმა ამბორყო, მე კი თავი ავარიდე... მაშინ მისმა „მეუღლებამ“ მომართა:

- შენ „ჟიდი“ ხარ?
- არა, - ვუპასუხე მე, - ქართველი ვარ.
- ეგეც უხეირო ხალხია, - წაბურტყუნა მან...

როცა მოახსენეს, რისთვის ვიყავით მისულები, არქივმა თქვა: სულ ერთია, მე კიდევ რომ ნება დავრთოთ, მართლმადიდებელნი მანც არ გათამაშებენო. პრეზიდენტის დროს ძალიან მძვინვარებდა ერთი მოხელე. მან კალოში ისროლა სცენაზე. არტისტები კულისებში მიიმალნენ. მოულოდნელად ვიდაცის მჭექარე

ხმამ ბალკონიდან მოლიანად დაფარა ხმაური. გაისმა ქართული კოლოთი წარმოთქმული სიტყვები: „მოითმინეთ ერთ წუთს“ ეს მოხდენილი ქართველი მოუხლოვდა მოხელეს: კალოში შენ ისროლეო? - ჰკითხა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, მოითხოვა: ერთი, ეგ კალოში მომწოდეთო და მშვიდად უბრძანა: ჩაიცი და გაეთრიეო! მოხელისგან წინააღმდეგობა რომ შეხვდა, ქართველმა ხელი კისერში და წელში სტაცა და ისე გაატარა კარამდე, როგორც ბავშვი. შემდეგ კი დაიბუზუნა: ბატონო რეჟისორო, განაგრძეთ, აღარა მოხდება რა!“ გაისმა ტამი, რომელიც გაბეულ ქართველს ეკუთვნოდა და პრემიერაც შედგა.

კოტე მარჯანიშვილმა რუსეთში „თავისუფალი თეატრი“ შექმნა, რომელმაც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხანს იარსება და სულ 5 სპექტაკლით წარდგა მაყურებლის წინაშე. მას თავიდანვე პრესის დიდი შემოტყვევის გადატანა მოუხდა, შემდეგ კი შინაკონფლიქტმაც იჩინა თავი და ერთი წელიც არ იარსება. 3 წლის შემდეგ გულნატკენი რეჟისორი თავის შვილს ამ ამბავთან დაკავშირებით სწერდა: „დახს, ეს თეატრი უნდა ყოფილიყო თავისუფალი. მაშინ მწამდა, რომ ტადარს ვაგებდი; წმინდა ხელით ვღებდი ქვას ქვაზე... რისთვის ვაკეთებდი ამას? დემოტამ ხომ უწყის, რომ პატივმოყვარეობისთვის არა, რადგან ბევრმა იცის, რომ ბევრ, ძალიან ბევრ რამეს, რასაც მე ვაკეთებდი, სხვებს მივაწერდი. ვინ ქმნიდა ყოველივე ამას... მე... მე... ის, ვინც იგრძნო, რომ ტადარი უნდოდით გადაეცაით საგაგრო ღუქნად, უმაქმის ადგილად, თვითონვე დავანგრიე ეს ადგილი“.

არც ქართულ თეატრში ეწერა მოღვაწეობა ტკივილის გარეშე. 1926 წელს მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრი დატოვა. სწორედ ამ დროს გადაწყდა კორპორაცია „დურუვის“ შექმნა, რომელსაც, სხვათა შორის, თვით კოტემაც დაუჭირა მხარი. მაგრამ შემდეგ იგრძნო, მის ფრთებს შეფარებული, მისგან მხარდაჭერილი „შვილები“ როგორ დაუპირისპირდნენ „მამას“... არა, თეატრი რომ ბობოქარი ვნებათაღელვისა და, უხედად რომ ვთქვათ, ინტრიგების კერაა, ეს ცხადი იყო... მაგრამ მარჯანიშვილმა ადამიანურად ვერ შეძლო ამ დაპირისპირების პატიება: 1926 წლის 12 დეკემბერს კოტე მარჯანიშვილი სწერდა შვილსა და მეუღლეს: „... თეატრში ბევრი საზიზღარი ინტრიგა და სიბინძურეა... ყველაფერს მივა-

ფურთხე და თეატრი მივატოვე... სეზონი გახსნეს და მაშინვე ტყაპანი მოადინეს ძირს. სრული მარცხი განიცადეს. მაყურებლები უყვიროდნენ: მარჯანიშვილი სადააო... თეატრი მოლად ცარიელია და ეს მას შემდეგ, რაც თეატრი დასწრების მხრივ არანაულ ციფრებზე ავიყვანე“...

მარჯანიშვილი გაბეულნი და მართალი პიროვნება იყო. მაგალითად, თბილისში პარიზიდან დაბრუნებული დავით კაკაბაძის ნაბუშეურების გამოფენა როცა მოეწყო, ყველა შიშით უყურებდა აბსტრაქტულ ნაბუშეურებს: გაუგებარსა და არაიდეოლოგიურს... როცა დარბაზში კოტე გამოჩნდა ორ მანდილოსანთან ერთად, მან ხმამაღლა აღიარა სურათების ღირსება და თავისთან საბუშეურ მიიწვია დავით კაკაბაძე, როგორც მხატვარი... ეპოქას თუ გავითვალისწინებთ, ეს ცეცხლთან თამაში იყო...

მარჯანიშვილს ძალიან უყვარდა მეუღლე - ნადია ფიოკინა და ვაჟი კოტე. სიყვარულით სავესტრულიებს სწერდა მათ და გაბუშეურებით სთხოვდა მეუღლეს, ბევრი წერილი მიეწერა მისთვის. ერთგან ასეთი ფრაზა: „მჯერა, რომ ცხოვრება კარგია, მშვენიერია. გუშინ ზაფხულის სხვივით აკიავდა ჩემს ზამთრულ პეიზაჟზე დედაშენი (სწერს ვაჟს - კოტეს). მიყვარხარო, ჩემო ძვირფასებო“.

როცა კოტე თბილისში იყო, დადიოდა იმ ადგილებში, სადაც მას და მის მეუღლეს ერთად უყვარდათ სიერნობა: „აი, დედაბერი რომელსაც ერთხელ ჩვენ ყოფიყვით მივეცი... აი, მამადავითის მთაც, სადაც ჩვენ მომავალზე მოვიტაობიბო...“ - სიყვარულით სწერდა მეუღლეს.

1933 წლის აპრილში მარჯანიშვილი გარდაიცვალა. ლუნახარსკის ამ ამბავთან დაკავშირებით უთქვამს: „რას იზამ! კოტე ტემპარატად ცხოვრობდა და კარგად წავიდა ამ ქვეყნიდან... უცვრად... უტანჯველად, ცხარე მუშაობაში... კაპიტნის ბოგურაზე“.

ფიქრობთ კოტე მარჯანიშვილზე და უცდილობდად უკმარისობის გრძობა ვგრძნობა. თითქოს, რაღაც კიდევ უნდა გვეთქვა... მაგრამ ბუმბერაზ ხელოვანსა და მის ბობოქარ ცხოვრებას ვერ მოიცავ. დიდი რეჟისორის სიტყვებია: „ვიტანჯებო, ისე მინდა ამოვიცნო საკუთარი თავი: ვინ ვარ? რა ვარ? - და არ კი ძალიან... უამრავი უცნაურობა, შეუსაბამობა, ცუდიცა და კარგიც ერთადაა თავმოყრილი ჩემში. ასე დახლართულია ჩემი ცხოვრება...“

მარჯანიშვილის „ბოკაჩო“ აფიშა; მოსკოვის კომიკური ოპერის თეატრი, 1922წ.





**კითხვა:** ვარ 32 წლის. ბოლო ხანებში ხშირად მაქვს სანერვიულო, რამაც, როგორც ჩანს, გული დამი- ავადა. გადავიღე კარდიო- გრამა და მითხრეს, რომ მაქვს ექსტრასისტოლია და მესაჭიროება მკურ- ნალობა. ძალიან შეშინე- ბული ვარ. გთხოვთ, ამიხ- სნათ, რამდენად საშიშია ჩემი მდგომარეობა?

**პასუხი:** ექსტრასისტოლია არითმიის ერთ-ერთი სახეობაა. ამ დროს ადგილი აქვს გულის დამატე- ბით შეკუმშვას, რომელსაც ადამიანი დარტყმის სახით შეიგრძნობს, რასაც შეიძლება შემდეგ „გულის გაჩ- ერების“ შეგრძნება ახლდეს თან. ექსტრასისტო- ლია ვითარდება ხოლმე მრავალი დაავადების შედ- ეგად. კერძოდ: გულის კუნთის ანთებით-დისტრო- ფიული ცვლილებების, ჰორმონული დარღვევების, მოწამვლის, მინერალური ცვლის მოშლის დროს. მაგრამ, ამავე დროს, ექსტრასისტოლია შეიძლება აღენიშნებოდეს პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს – ნერვული სისტემის მეტისმეტი დაძაბვის, დიდი რაოდენობით სიგარეტის წვეის, მაგარი ჩაის, ყავის სმის ფონზე და დროთა განმავლობაში, მკურნალო- ბის შედეგად, გაუვლის. ასეთი ექსტრასისტოლია არის არა გულის ორგანული დაავადების, არამედ გულის გარეთა (ექსტრაკარდიული) ნერვული სისტე- მის ფუნქციური მოშლის შედეგი. იგი განსაკუთრე- ბით ხშირია ახალგაზრდა პაციენტებში. სავარაუ- დოა, რომ თქვენი ექსტრასისტოლიებიც სწორედ ფსიქო-ემოციური დაძაბვის შედეგია და გულის კუნ- თის ღრმა ორგანულ დაზიანებაზე არ უნდა მეტყველებდეს. ეცადეთ, განტვირთოთ თქვენი ნერ- ვული სისტემა, მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, ჩაიტარეთ დამამშვიდებელი თერაპია ნევროპათოლ- იის მეთვალყურეობით და სავარაუდოა, რომ თქვე- ნი მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდება. უფრო დეტალური გამოკვლევისა და დიაგნოსტიკისათვის უნდა მიმართოთ კარდიოლოგს.

**კითხვა:** ვარ 50 წლის. თვალბუხე ხშირად მიჩნ- დება ჯიბლიბო. სხვა არაფერი მაწუნებს, გარდა იმისა, რომ მაქვს ძლიერი წყურვილის შეგრძნება. რას მირჩევთ?

**პასუხი:** ჯიბლიბო შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ასაკში. ქუთუთოს გარკვეულ არეში თავს იჩენს სიწითლე, შემდგომ ვითარდება ჩირქგროვა, ავადმყ- იფს აწუნებს ქუთუთოს ძლიერი ტკივილი. შესა- ძლოა, აღინიშნოს სხეულის ტემპერატურის მომატე- ბაც. ჯიბლიბო „იოლი“ დაავადება არ არის: არას- წორი მკურნალობის შედეგად, შესაძლებელია, გან-

ვითარდეს მძიმე გართულება, მენინგიტიც კი. არ შეიძლება ჯიბლიბოს გამოკვლევა. ადგილობრივად, საჭიროა მშრალად დათბილება. შეიძლება ნაჭუჭი- ანად მოხარშული კვერცხის ჯიბლიბოზე მიღება, რადგან კვერცხი დიდხანს ინარჩუნებს სითბოს. ავადმყოფს ენიშნება ანტიბაქტერიული პრეპარატე- ბი (სულფანილამიდები, ანტიბიოტიკები).

თქვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ ერთ მნიშ- ვნელოვან მომენტს: ჯიბლიბოს – ისევე, როგორც ფურუნკულის (ძირმაგარის), კარბუნკულის (მრავ- ლობითი ფურუნკულის), ხშირი გაჩენა ზოგჯერ შაქრიანი დიაბეტის დროს ხდება ხოლმე. თქვენ გაქვთ ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი სიმპტომი – გაძლიერებული წყურვილიანობა, ამიტომ აუცილებლად უნდა გაიკეთოთ სისხლის ანალიზი შაქარზე და დადებითი პასუხის შემთხ- ვევაში, მოიწესრიგოთ შაქრის მაჩვენებელი, რაც თავისთავად იქნება კანის ჩირქოვანი პროცესების ძირეული მკურნალობა.

**კითხვა:** ცხოვრებისა და კვების როგორი რეჟიმ- ია გამართლებული, სამედიცინო თვალსაზრისით, ხანში შესული ადამიანისათვის?

**პასუხი:** ხანში შესულმა ადამიანმა კვება გონივრუ- ლად უნდა შეზღუდოს, რადგან მისი ორგანიზმი უწინდებურად ვერ ხარჯავს ენერგიას. უნდა შემ- ცირდეს ცხოველური წარმოშობის ცხიმები, ე.ი. ქონის, მსუქანი ხორცის, კარაქის მიღება და უპი- რატესობა მიანიჭოს მცენარეულ ზეთებზე მომზადე- ბულ კერძებს. მოხუცებულმა ადამიანმა უნდა მი- იღოს ბოსტნეულის საკმარ რაოდენობა, მხალეული, მწვანელი, ხილი, ციტრუსები. უნდა შეზღუდოს მარილიანი კერძების მიღება, მაგრამ მთლად უმარილო კვება არ არის გამართლებული. საჭმლის მომზადე- ბა საჭიროა გემრიელად, საკაზმების ზომიერი გამოყ- ენებით. ზომიერი რაოდენობით უნდა მიიღოთ სითხე: ჩაი, წყალი, სითხის შეზღუდვა საჭიროა სამედიცი- ნო ჩვენებით – მაგალითად, გულით ავადმყოფთათვის და მხოლოდ ექიმის რჩევით.

ხანში შესულმა ადამიანმა ბევრი უნდა იმოძრაოს, იაროს ფეხით, ისეირნოს ჰაერზე; თუ მიჩვეულია ფიზიკურ შრომას – იმუშაოს ბაღში, ბოსტანში; საჭიროა ფიზიკური ვარჯიშის შესრულება. უმოძრაო- ბა დაუშვებელია, რადგან იგი აღუნებს მოხუცის ორგანიზმს. ლოგინში ჩაწოლა საჭიროა მხოლოდ ავადმყოფისათვის. არ შეიძლება მოხუცებული ად- ამიანის გამოთიშვა ყოველგვარი საქმიანობისგან – მან უნდა იმუშაოს, თუკი ამის ფიზიკური და სულიერი ძალები აქვს. მოხუცებული უნდა გრძნობ- დეს, რომ იგი საჭიროა გარემომყოფთათვის, რომ მას მოაქვს სარგებლობა ახლობელი და უცხო ად- ამიანებისათვის – ეს არის დღეგრძელობის, სიბერ- ეში სიხალისის საწინდარი.



# სტენოკარდია

სტენოკარდია გულის ქრონიკული იშემიური დაავადებაა. ამ იშემიის (სისხლის ნაკლებობის) საფუძველია კორონარული არტერიების – გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვების შევიწროება ათეროსკლეროზის ნიადაგზე ან მათი სპაზმური შეკუმშვა. გაძლიერებული ფიზიკური დატვირთვის დროს გულის კუნთი საჭიროებს მეტი რაოდენობით სისხლს, მაგრამ ათეროსკლეროზის გამო შევიწროებულ არტერიას არ შეუძლია ადეკვატურად გაფართოება და სათანადო რაოდენობით სისხლის გატარება. ამიტომ, გულის კუნთი განიცდის მწვავე იშემიას, რომელიც ტკივილის შეგრძნებას იწვევს. სხვა შემთხვევაში, ნერვული რეგულაციის მოშლის გამო, ვითარდება არტერიის სპაზმური შეკუმშვა. ეს სპაზმები უფრო მეტად, ათეროსკლეროზის საწყის სტადიაზეა გამოხატული.

სტენოკარდია ნერვული სისტემის ჭარბ დაძაბვასთან, ფიზიკური და, განსაკუთრებით, გონებრივი შრომით გადაღლასთან, მძიმე განცდებთან არის დაკავშირებული. საერთოდ, იგი უფრო ხშირია 45-50 წლის ასაკის მამაკაცებში. ქალებში სტენოკარდია კლიმაქსურ პერიოდში შეინიშნება.

სტენოკარდიის გავრცელებას იგივე კანონზომიერება ახასიათებს, რაც გულის კუნთის ინფარქტს. ამის გამოა, რომ არცთუ ისე იშვიათად, სტენოკარდია წინ უსწრებს ინფარქტის განვითარებას. ამავე დროს, მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არის: სტენოკარდიისას გულის კუნთში ვითარდება შექცევადი იშემია, რომელიც შეიძლება მთლიანად აღმოიფხვრას.

სტენოკარდიისთვის დამახასიათებელია ტკივილის სინდრომი. ტკივილი უფრო ხშირად, მკერდის ძვლის უკან იწყება. იგი მოჭვრითი ხასიათისაა. ავადმყოფს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს გული მარწუხებშია მოქცეული. ტკივილი ირადიაციას იძლევა მარცხენა ხელში, მეთხემესზე თითების მიმართულებით. უფრო იშვიათია ტკივილი მთელ გულმკერდში, ზოგჯერ მუცლის არემიც კი. ტკივილს თან სდევს სიკვდილის შიში, რაც არ არის გამოხატული ასეთი ძალით სხვა წარმოშობის ტკივილის შემთხვევაში. შეტევების დროს ავადმყოფს ცივი ოფლი ასხამს შუბლზე, მაჯა ნორმალური, გასშირებული ან გაიშვიათებული შეიძლება იყოს. სტენოკარდიული შეტევა ხანმოკლეა: რამ-

დენიმე წუთის შემდეგ, დასვენების ან სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებების – ნიტროგლიცერინის, ვალიდოლის მიღების შედეგად იგი წყდება და ავადმყოფი შვებას გრძნობს. ზოგჯერ შეტევა 10-15 წუთს და მეტხანსაც შეიძლება გაგრძელდეს. ასეთი განხანგრძლივებული შეტევა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან გულის კუნთის ინფარქტს შეიძლება მოასწავებდეს.

დამაბვის ანუ დატვირთვის სტენოკარდიის შეტევა ფიზიკური აქტივობის დროს ვითარდება. დამახასიათებელია ამგვარი შეტევა ჩქარი სიარულის, განსაკუთრებით – ცივ ამინდში ქუჩაში გამოსვლის შემდეგ.

მოსვენებული მღვთმარების სტენოკარდია ვითარდება მაშინ, როდესაც ავადმყოფი არ ასრულებს ფიზიკურ დატვირთვას – მაგალითად, ძილში, განსაკუთრებით, უხვი ვახშმისა და ალკოჰოლიანი სასმლის დალევის შემდეგ. ამგვარი შეტევები გვირგვინოვანი არტერიების მკვეთრი ათეროსკლეროზის შედეგია და სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს.

სტენოკარდიული შეტევების განმარტება, განხანგრძლივება, როგორც ინფარქტის წინა მღვთმარება, ისე უნდა განვიხილოთ.

განსაკუთრებული რეგულარულობა ახასიათებს დამაბვის სტენოკარდიას. მას შეიძლება დაერთოს მოსვენებული მღვთმარების სტენოკარდია. შეტევების გამეორება, დამძიმება, ათეროსკლეროზული პროცესის გაღრმავებასთან არის დაკავშირებული. უყურადღებობის შემთხვევაში, საქმე ინფარქტამდეც შეიძლება მივიდეს. ამავე დროს, ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც დროულად დაწყებული მკურნალობის, ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის რეჟიმის, დიეტისა და სხვა ღონისძიებების თანმიმდევრული ჩატარების შედეგად ადამიანს მრავალი წლის მანძილზე აღარ აქვს სტენოკარდიის შეტევები.

ახლა კი, რამდენიმე რჩევა მათ, ვისაც სტენოკარდია აწუხებს:

1. ა) ნუ გადაიღლით თავს ძლიერი ფიზიკური და გონებრივი შრომით;
- ბ) ერიდეთ ყინვიან ამინდში დიდი ხნით გარეთ ყოფნას;
- გ) ეცადეთ, თავი აარიდოთ ფსიქიკურ ტრავმატიზაციას;
- დ) ხშირად ნუ მიიღებთ ალკოჰოლს;



ე) ნუ ჭამთ უზომოდ, განსაკუთრებით, გვიან ღამით ჭამას ერიდეთ.

2. აკონტროლეთ არტერიული წნევა და არეგულირეთ ექიმის მიერ დანიშნული ჰიპოტენზიური (წნევის დამწვევი) საშუალებებით. თქვენთვის განსაკუთრებით საშიშია მაღალი ქვედა ანუ დიასტოლური წნევა.

3. რეგულარულად აკონტროლეთ სისხლში პროთრომბინის ინდექსი და ქორლესტერინის შემცველობა ექიმის მეთვალყურეობით.

4. თუ შაქრიანი დიაბეტი და სტენოკარდია გაქვთ, ეცადეთ, გლუკოზის დონე სისხლში მუდმივად ნორმის ფარგლებში გქონდეთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ათეროსკლეროზული პროცესი კორონარებში სწრაფად გაღრმავდება და სტენოკარდია გაგირთულდება.

5. ნუ ეწვეით თვითმკურნალობას – ეს სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისათვის. არის ანტიანგინური (გულის ტკივილის საწინააღმდეგო) პრეპარატები, რომლებიც გამოხატული მასტენოზებული ათეროსკლეროზული პროცესის დროს მიღებისას იწვევს ე.წ. „მოპარვის სინდრომს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ჯანსაღ კორონარებში და ამის შედეგად ხდება სისხლის „მოპარვა“ დაავადებული კორონარებიდან. ეს აღრმავებს გულის კუნთის იშემიას და მისი ნეკროზიც (დაშლა) შეიძლება გამოიწვიოს. ასეთი ანტიანგინური პრეპარატები (მაგალითად, ინტენკორდინი) ნაჩვენებია ქრონიკულად დუნედ მიმდინარე სტენოკარდიის დროს. ეს არის ერთი ნიუანსი. არსებობს კიდევ მრავალი წვრილმანი, რომელიც მხოლოდ ექიმის კომპეტენციაა. დასასრულად, მხოლოდ ერთს დავძენთ: მიიღეთ ექიმის მიერ გამოწერილი წამლები.

# ჭიებით ინვაზია



ასკარიდოზი

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ჭიებით ინვაზიის შემთხვევები, განსაკუთრებით ბავშვებში, რაც უდავოდ, დაკავშირებულია პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების სისტემის მოშლასთან, მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუარესებასთან, საერთო სანიტარული ღონისძიებების ფაქტობრივ უგულებელყოფასთან.

ადამიანის ორგანიზმში პარაზიტობს სამი კლასის ჰელმინთები (ჭიები): მრგვალი, ბრტყელი და ტრემატოდები (მწოველები).

დღეს მოგიტხრობთ მრგვალი ჭიებით ინვაზიის ერთ-ერთ ფორმაზე – ასკარიდოზზე, რომელიც მსოფლიოში ძალზედ ფართოდ არის გავრცელებული. გამოიწვევია ადამიანის ასკარიდი. იგი ჭიაყელასმაგვარი ფორმისაა:

ცოცხალი მოვარდისფერია, მკვდარი კი – მოწითალო. მძრი 15-20 სმ სიგრძისა და 2 მმ სიგანისა, მკვდარი კი – 20-40 სმ სიგრძისა და 6 მმ სიგანის. ასკარიდი წვრილ ნაწლავში ბინადრობს, სადაც გორგლად დაეხვევა ხოლმე. კვერცხები განავალთან ერთად გამოიყოფა გარეთ. განაყოფიერებულ კვერცხებში ლარვა (ჭიის საწყისი ფორმა) ყალიბდება. გადაყლაპული მომწიფებული კვერცხიდან ადამიანის წვრილ ნაწლავში გამოდის ლარვა, რომელიც სწვრტს ლორწოვანას, ხვდება სისხლში და იწყებს მგრავიას: ვენების სისტემით გადადის გულის მარჯვენა ნაწილში, საიდანაც ფილტვებში ხვდება. აქ შეჩერდება ფილტვის კაპილარებში. ბრონქებისა და ტრაქეის გავლით კი, პირის ღრუში ხვდება. შემდეგ მას ადამიანი, ნერწყვთან ერთად, გადაყლაპავს. ლარვა, საყლაპავისა და კუჭის გავლით, წვრილ ნაწლავში აღმოჩნდება, სადაც იზრდება და მომწიფებულ ჭიად გადაიქცევა. ასკარიდის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

პარაზიტის მგრავიის სტადიაში, ავადმყოფს აღერგული მოვლენები შეიძლება ჰქონდეს, კერძოდ, კანის გამონაყარი, ხველა, დაბალი ტემპერატურა, ეოზინოფილების მომატებული რაოდენობა სისხლში.

ნაწლავის ასკარიდოზი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მხოლოდ განავალში კვერცხების აღმოჩენა ან ჭიის გამოყოფა ადასტურებს დაენოზს. ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნება საერთო სისუსტე, უსალისობა, თავბრუსხობა, ჭირვეულობა, ცუდი მდა, ნერწყვდენა,

მოვლითი ტკივილი მუცელში. ყაზობა (შეკრულობა) ან კუჭის უძიზეზო აშლილობა.

შობილების ყურადღება გვინდა მივაპყროთ ასკარიდოზისთვის დამახასიათებელი იშვიათი სიმპტომი – ეპილეფსიისმაგვარ გულყრებს. ეს ნიშანი განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს ემოციურ ბავშვებში და შობილეთა შემოვლიების საგანი ხდება. ვურჩევდით, საეჭვო შემთხვევაში, საფუძვლიანად გამოიკვლიონ ბავშვი ჭიებით ინვაზიაზე.

დაეგნოზი დასტურდება განავალში ასკარიდის კვერცხის აღმოჩენით. ერთჯერადი ანალიზის უარყოფითი პასუხი არ ნიშნავს, რომ პაციენტს არ აქვს ასკარიდოზი, რადგან განავალში კვერცხები არ აღმოჩნდება ხოლმე, როცა ნაწლავში სექსობრივად მოუწიფებელი პარაზიტი ან დაბრუნებული მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ დროადრო გამოიყოფს კვერცხებს. ამიტომ, საეჭვო შემთხვევაში, ანალიზი გარკვეული შუალედით უნდა გამოვრდეს.

იმისათვის, რომ ადამიანმა არ ჩაყლაპოს ასკარიდის კვერცხი, საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა. მწვანელი, ხილი, ბოსტნეული კარგად უნდა გაირეცხოს. სასმელი წყალი დაცული უნდა იყოს ფეკალური მასებისაგან. საჭიროა ბუნების მოსპობა, რადგან მათ შეუძლიათ ჭიის კვერცხების გადატანა და, რაც მთავარია, აუცილებელია ყველა ადამიანისთვის განავლის ყოველწლიური პროფილაქტიკური გამოკვლევა და ჰელმინთოზის ყველა აღმოჩენილ შემთხვევაში, სათანადო მკურნალობის ჩატარება. ამგვარად მოისპობა დაავადების წყარო.

# რუტყვაილა

რუტყვაილა ბავშვთა ასაკის მწვავე ვირუსული დაავადებაა. ავადმყოფი ადამიანი ვირუსს გამოყოფს ხველის, ცემინების დროს და დაავადების დაწყებიდან 9-10 დღის განმავლობაში ინფექციის წყაროს წარმოადგენს. ვირუსი გარემოში უმაღლე იღუპება. ამიტომ ავადმყოფის ნივთებით და მესამე პირით ინფექცია არ ვრცელდება. რუტყვაილას გადატანის შემდეგ მყარი იმუნიტეტი ყალიბდება და განმეორებითი დაავადების შემთხვევები არ გვხვდება.



ფარული პერიოდი 13-14 დღეა. დაავადება იწყება ტემპერატურის მომატებით (37,5-38 გრადუსამდე), მდის დაჭეითებით, საერთო მოღუნებით. პირველ დღესე კანზე ჩნდება კვანძოვანი გამონაყარი, რომელიც ძალიან სწრაფად სითხით სავსე ბუშტუკებად იქცევა. შემდეგ ეს სითხე შეიმდგრევა, ზოგჯერ ჩირქდება კიდევ, საბოლოოდ კი შრება და ქერქად გადაიქცევა. იგი კვალს არ ტოვებს. გამონაყარი ძირითადად, პირისახიდან და გულმკერდიდან იწყება, შემდეგ თავის თმან ნაწილებშიც ჩნდება. რუტყვაილას გამონაყარს ტალღისებურობა ახასიათებს. 2-3 დღის განმავლობაში ახალი ელემენტების გამოყრა მთავრდება ხოლმე, რის გამოც კანზე ვნახულობთ სხვადასხვა სტადიის ელემენტებს: კვანძებს, ბუშტუკებს, პუსტულებს (ღაჩირქებულ ბუშტუკებს) და ქერ-

ქებს. ყოველი ახალი გამონაყარისას ტემპერატურა მატულობს და ავადმყოფის საერთო მდგომარეობაც უარესდება. ზოგჯერ გამონაყარი პირის ღრუს, სასუნთქი გზების და სასქესო ორგანოების ლორწოვანებზეც ჩნდება. რუტყვაილა ძირითადად მსუბუქად მიმდინარეობს და 10-12 დღეში სრული განკურნებით მთავრდება.

რუტყვაილა იშვიათად მიმდინარეობს მძიმედ. ასეთ დროს სხეულის ტემპერატურა 39 გრადუსამდე აღწევს. გამონაყარი უხვია, დაჩირქება – ინტენსიური, ზოგჯერ გამონაყარის ელემენტებში სისხლიც ჩაიქცევა ხოლმე. იშვიათია გართულება ფილტვების, შუა ყურისა და ტვინის ანთებით.

რუტყვაილას მსუბუქი ფორმა განსაკუთრებულ მკურნალობას არ მოითხოვს, მაგრამ საჭიროა წოლითი რეჟიმი, კანის, ხელების და ფრჩხილების სისუფთავე, პირში სოდიანი წყლის გამოვლება. ქვილის შემცირების მიზნით, ავადმყოფს უნიშნავენ ტავეგილს, სუპრასტინს, მაღალი ტემპერატურის დროს – სიცხის დამწვე საშუალებებს.

ავადმყოფი გამოცალკეებული უნდა იყოს. 9 დღის განმავლობაში ავადმყოფთან კონტაქტში მყოფი ბავშვები, რომლებსაც წინათ არ მოუხლიათ რუტყვაილა, ინფექციის ობიექტად შეიძლება იქნენ.

**რუბრიკის მასალები მოამზადა თამარ მამასაშვილმა**





70 წლის წინათ, 1931 წლის 1 მაისს, ნიუ-იორკში, 34-ე ქუჩისა და მეხუთე ავენიუს გადაკვეთაზე დასრულდა იმ დროისათვის დედამიწის ყველაზე მაღალი შენობის EMPIRE STATE BUILDING-ის მშენებლობა. 102 სართულიანი, 381 მეტრი სიმაღლის გიგანტი ჯოდვკოთხი ათწლეულის განმავლობაში ლიდერობდა იმ უცნაურ მართონში, რომელშიც ერთიმეორეს ეჯიბრებოდა არქიტექტორთა უსაზღვრო ფანტაზია, დიდი ქალაქების საქმიან უბნებში მიწის ფასების მკვეთრი ზრდა და ჰატერიოტიზმის გრძნობა.

ამერიკის სიმბოლოდ იქცა. თავდაპირველად, მრავალსართულიანი ნაგებობების მშენებლობა წმინდა პრაგმატული მიზეზით იყო განპირობებული: მსოფლიოს „საქმიან ცენტრში“ კატასტროფულად იზრდებოდა მიწის ფასები, მაგრამ მოგვიანებით, თავი იჩინა სხვა პრობლემამაც (არა ეკონომიკურმა): ზეცამდე აწვდენილი ცათამბჯენები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამერიკის ტექნიკურ ძლიერებასა და „დიდებული ამერიკული ოცნების“ შეურყევლობას.

1908 წელს მანჰეტენის (მამასადამე, მთელი მსოფლიოს) უმაღლესი შენობა გახდა კომპანია SINGER-ის 47 სართულიანი ცათამბჯენი. ერთ წელიწადში მას პირველობა წაართვა 50 სართულიანმა METROPOLITAN LIFE BUILDING-მა. დაბოლოს, 1913 წელს, მსოფლიოს უმაღლესი ნაგებობის ტიტული მოიპოვა WOOLWORTH-მა, რომელიც ამერიკის იაფფასიანი უნივერსალების ქსელის მფლობელ კომპანიას ეკუთვნოდა. და მხოლოდ 17 წლის შემდეგ, ლიდერი გახდა 77 სართულიანი ცათამბჯენი CHRYSLER. ეს გახლდათ ე.წ. ART DECO-ს სტილში შესრულებული უკანასკნელი ნაგებობა და ამერიკის ყველაზე ელევანტური ცათამბჯენი, რომელსაც უნაკლო არქიტექტურული სტილის გამო, „პეპელა – ჰალსტუხიანი ქვის დენდი“ შეარქვეს.

ახალ რეკორდსმენს – EMPIRE STATE BUILDING-ის ასასიათებდა ყველაფერი ის, რაც დიდი კრიზისიდან გამოსული ამერიკის სიმბოლოს უნდა ჰქონოდა – იმპერიული ძლიერება, საიმედოობა და მკაცრი სტილი, მაგრამ ამ საფეხურებთან ქვის კოშკს, დიდი სურვილის მიუხედავად, ლამაზს ვერავენ უწოდებს. გადასახედ მოედანზე სწრაფი ლიფტებით ამსვლელი მილიონობით ტურ-

ისტი ფულს იხდიდა არა არქიტექტურული სტილით ტკობისათვის, არამედ იმისთვის, რომ ერთხელ მაინც დაეხედა ამერიკისთვის ზემოდან. „ამერიკის სახურავის“ დიდება და სახელი ვერ შეარყია ვერც 1945 წლის ტრაგიკულმა შემთხვევამ, როცა ბომბდამშენმა B-25-მა ნისლეში მსოფლიოს უმაღლესი შენობა ვერ შენიშნა და მის კენწეროს ფრთა გამოსდო. ამ კატასტროფამ 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ორი პოლი-

**„დაბალი“ სტარტი**

ეს მართონი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან დაიწყო. ისეთი შენობის აღმართვა, რომლის ბადალიც დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა, ოდითგანვე არაერთი მმართველის ოცნება ყოფილა. ამ ოცნების სინამდვილედ ქცევას მხოლოდ ბუნების კანონები და არასრულყოფილი ტექნიკა აფერხებდა. და მაინც, მიუხედავად ხელისშემშლელი ფაქტორებისა, უძველესი დროის სურთომოდვრებმა მოახერხეს და დააპროექტეს, ხოლო ურიცხვმა მონამ ააგო ისეთი ქმნილებები, რომელთა სიმაღლე და გეომეტრიული სრულყოფილება დღესაც აღფრთოვანებას იწვევს.

დღეს ისღა დაგვრჩენია, ვიმარჩიელოთ, რომელ სართულზე შეჩერდა მითური ბაბილონის გოდოლის მშენებლობა, რომლის ზეცამდე აღმართვასაც ჩვენი შორეული წინაპრები ლამობდნენ. უფრო მეტი სიზუსტით შეიძლება შევაფასოთ შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთის – ალექსანდრიული შუქურის სიმაღლე. ის დაახლოებით 120 მ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა სიმაღლისაა ჩვენს დრომდე შემორჩენილი ერთადერთი საოცრება – ხეოფსის პირამიდა: მისი სიმაღლე 147 მეტრია, თუმცა ეს რიცხვიც მხოლოდ გეომეტრიული გამოთვლების შედეგად არის მიღებული: პირამიდის სიმაღლის გაზომვა ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან ათას-

წლეულების მანძილზე მისი კენწერო ნელ-ნელა ჩამოიშალა და დღეს პირამიდის ფუძიდან მის უმაღლეს წერტილამდე მანძილი 137 მეტრია. 1899 წლამდე, ინჟინერ ეიფელის მიერ პარიზში კონსტრუირებული მეტალის კოშკის დადგამდე, ხეოფსის პირამიდა პლანეტის ყველაზე მაღალი ნაგებობა გახლდათ – ის „ჩემპიონის“ ტიტულს თითქმის 5000 წელი ინარჩუნებდა.

მაგრამ რადგან ჩვენ გვანტერესებს ის ნაგებობები, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ, შემდგომში მხოლოდ მათ შესახებ ვისაუბრებთ. ამგვარად, XX საუკუნის დასაწყისისთვის ლიდერობდა ნიუ-იორკში მდებარე 30 სართულიანი ცათამბჯენი PARK ROW BUILDING, რომელიც სწორედ იმ წელს აშენდა, როცა პარიზში ეიფელის კოშკი დადგეს. შემდგომ, სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, დედამიწის უმაღლესი შენობის სახელისათვის იბრძოდა მანჰეტენის ცათამბჯენები, რომელიც არა მხოლოდ ნიუ-იორკის, არამედ მთელი

EMPIRE STATE BUILDING-ის შილი (ნიუ-იორკი)



ტიკური

სამყაროს ჭიდილი

40-იანი წლების ბოლომდე პლანეტის ყველაზე მაღალ შენობათა პირველ ათეულში მხოლოდ ამერიკული ნაგებობები შედიოდა. 1947 წელს კი ამ სიაში საბაჟულში მდებარე 34 სართულიანი ბრაზილიური ცათამბჯენი შევიდა.

შემდგომ ათწლეულებში კი ამერიკულ კომპაქტურ ჯგუფს უკვე გაუჩნდა კონკურენტები, რომელთა შორის 50-იანი წლების საბჭოთა მრავალსართულიანი შენობებიც იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის 1953 წელს აგებული ახალი შენობა ერთ დროს მერვე ადგილზეც კი იდგა. მეცხრე ადგილს კი, ვარშავაში, ორი წლით გვიან აშენებული მეცნიერებისა და კულტურის სასახლე იკავებდა.

მოკლედ, შეჯიბრება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და 70-იანი წლების დასაწყისისთვის ამ მართონში კვლავაც ამერიკა ლიდერობდა.

„აზიური ვეფხვების“ ნახტომი

1972-1973 წლებში ნიუ-იორკში დაიდგა WORLD TRADE CENTER-ის ორი 110 სართულიანი კოშკი. 417 მეტრ სიმაღლეზე აწვდილი, ყოველგვარ არქიტექტურულ ღირებულებას მოკლევადიანი სწორკუთხა ტყუბი, რასაკვირველია, რეკორდსმენი გახდა და მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყველაფერი ყველაზე, ყველაზე... ნიუ-იორკში უნდა იყოს.

თუმცა, ნიუ-იორკის ორი „კუბურა“ დიდხანს არ ლიდერობდა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ჩიკაგო დაწინაურდა: იქ აშენდა კიდევ ერთი 110 სართულიანი ნაგებობა. შავი, საფეხურიანი, ასიმეტრიული კოშკი თვალს მაინცდამაინც ვერ ახარებს, მაგრამ წინამორბედ „ტყუბთან“ შედარებით, ნამდვილი არქიტექტურული შედეგია. მომდევნო 20 წლის განმავლობაში ჩიკაგოელები ნიუ-იორკელებს ცხ-

ვირს უბზუებდნენ – მათ ზომ ყველაზე მაღალი ცათამბჯენი ეკუთვნოდათ.

მაგრამ ორივე ქალაქის მკვიდრთ შეეძლოთ ეამყათ, რომ ამ უცნაურ მართონში ამერიკას კონკურენტციას ვერავინ უწევდა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კიდევ დიდხანსაც ვერ გაუწევდა. ასე რომ, ცათამბჯენები, გარდა წმინდა ეკონომიკური ფუნქციისა, თავისებურ იდეოლოგიურ დატვირთვასაც ატარებდა – პირდაპირი გაგებით, მთელი მსოფლიოსათვის ზემოდან ცქერის საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ ამ ილუზიას დროთა განმავლობაში ბოლო მიეღო. წარმოდგინეთ, ჩიკაგოს ლიდერს მოწინააღმდეგე არა ნიუ-იორკში, არამედ აღმოსავლეთში გამოუჩნდა.

აზიის კონტინენტის პირველი მრავალსართულიანი შენობა – 47 სართულიანი სასტუმრო KEIO PLAZA, 1971 წელს, ტოკიოში აიგო. მომდევნო ოცი წლის მანძილზე ტოკიოსა და ოსაკაში კიდევ 13 ცათამბჯენი დაიდგა, სინგაპურში – 17, სამ-სამი – სამხრეთ კორეასა და მალაიზიაში, ჰონკონგში კი – ცათამბჯენთა მთელი ტყე „გაშენდა“.

1997 წელს კი მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მინითა და ქრომით მოპირკეთებული, მოჩუქურთმებული PETRONAS TOWERS-ის რეკორდული სიმაღლის (452 მ) ორი 88 სართულიანი შენობა აიგო.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ პროექტის ავტორმა ესპანელმა სეზარ პელიმ, თავის ფანტასტიკურ კონსტრუქციაზე მუშაობისას, ბარსელონის ტაძრის – გამოჩენილი არქიტექტორის ანტონიო გაუდის დაუმთავრებელი შედეგის – SAGRADA FAMILI-



PETRONAS TOWERS-ი კუალა-ლუმპურში


LIA-ს გავლენა განიცადა. ყოველ შემთხვევაში, ახალმა რეკორდსმენმა ამერიკულ ცათამბჯენებს ისიც დაუმტკიცა, რომ თანამედროვე კოშკი ლამაზიც შეიძლება იყოს.

ამრიგად, დღეს მსოფლიოს ცათამბჯენთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: პირველი-მეორე ადგილი მყარად უკავია PETRONAS TOWERS-ის შეწყვეილებულ შენობას, მას ფეხდაფეხ მიყვება SEARS-ი, მესამე ადგილზეა 1998 წელს აშენებული შანსაის ცათამბჯენი ZHINH-NMAO (421 მ), მეხუთე-მეექვსე ადგილს კი WORLD TRADE CENTER-ს მიაკუთვნებენ, მეშვიდე და მერვე საფეხურებზე ისევ „ჩინელები“ არიან: 1997 წელს აშენებული CITIC PLAZA ქალაქ გუანჯოუში (391 მ) და ერთი წლით ადრე აგებული SHUN HING SQUARE შენგჟენში (384 მ). ოდინდელი ლიდერი EMPIRE STATE BUILDING-ი მეცხრე ადგილზეა, ათეულის ბოლო ადგილი კი, 1992 წელს აგებული ჰონკონგის CENTRAL PLAZA (374 მ) იკავებს. ამრიგად, სადღეისოდ ანგარიშია 6:4 „აზიური ვეფხვების“ სასარგებლოდ.

ვინ გაეჯიბრება ძველებს?

XXI საუკუნის დამლევითვის, 300 მეტრზე მეტი სიმაღლის სულ 25 შენობაა აგებული. 9 ცათამბჯენი მშენებლობის სტადიაშია: სწორედ ეს კოშკები განაცხადებენ პრეტენზიას ლიდერობაზე მომავალში.

ყველაზე მეტი შანსი საამისოდ ტაივან-





ნის დედაქალაქ ტაიბეიში მშენებარე საფინანსო ცენტრის კომპლექსს აქვს. მოიჯარეთა ვარაუდით, 508 მ სიმაღლის ამ 101 სართულიანი ცათამბჯენის აგება 2003 წელს დასრულდება. თუ ვადები არ დაირღვა, ის უმაღლესი რეკორდების წიგნში მოხვდება, რადგან ვერც ერთი სხვა კონკურენტი იმ დროისთვის მას ვერ დაეწევა. ამავე წიგნში მოხვედრის კიდევ ერთი რეალური კანდიდატია ლიფტების ჯგუფი, რომელიც საგანგებოდ ამ ცათამბჯენისთვის შეიმუშავა იაპონურმა ფირმა TOSHIBA-მ: ეს ყველაზე სწრაფი ლიფტები იქნება მსოფლიოში (60 კმ/სთ).

2004 წლისთვის ტაივანურ რეკორდსმენს ერთი მოცილე – მეტოქის 113 სართულიანი GROLO TOWER-ი (560 მ) ეყოლება. მშენებლობის პროცესშია აგრეთვე, 112 სართულიანი 7 SOUTH DEARBORN-ი (478 მ) ჩიკაგოში და 94 სართულიანი მსოფლიო საფინანსო ცენტრი (460 მ) მანხაიში.

ტაივანის ცათამბჯენი ალბათ 2005 წელსაც შეინარჩუნებს ლიდერობას, რადგან იმ დროისთვის სან-პაულუში მშენებარე პირამიდა MAHARISHI TOWER OF WORLD PEACE (მის მშენებლობაში დიდი კაპიტალი აქვს ჩადებული იოგა მაჰარიშის ინდუისტურ რელიგიურ ორგანიზაციას), მაინც მასზე დაბალი (494 მ) იქნება. ის ცათამბჯენი კი, რომელიც თავდაპირველად იმავე წლისთვის უნდა აშენებულიყო – 596 მ სიმაღლის 150 სართულიანი WORLD'S FAIR TOWER, იაპონურ ქალაქ სეტოში – ჯერ კვლავაც პროექტის სტადიაშია.

ამრიგად, ლიდერი მხოლოდ 2007 წელს შეიძლება შეიცვალოს: სწორედ მაშინ, პირველ ადგილზე ჰონკონგის 108 სართულიანი (574 მ) KOWLOON TOWER-ი შეიძლება აღმოჩნდეს: მისი მშენებლობა 2003 წელს დაიწყო, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ის დაგეგმილი ვადისთვის დასრულდება, უკვე მომდევნო – 2008 წლისთვის მას შეიძლება გაუსწროს 677 მ სიმაღლის 224 სართულიანმა ცათამბჯენმა, რომელიც ინდოეთის ქალაქ ჯაბალპურში შენდება და ბრაზილიური კომპურის გაზრდილ ასლს წარმოადგენს (მაჰარიშის ორგანიზაციის მესვეურები იქ უკვე თავიანთი შტაბინის მოწყობას აპირებენ). 2009 წლისთვის დაგეგმილია აგრეთვე იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში MILLENNIUM TOWER-ის აშენება: მას 180 სართული და წარმოუდგენელი სიმაღლე – 840 მ ექნება.

**რეინაბეტონში ახდენილი ოცნება**

ამაზე მეტ სიმაღლეს მხოლოდ არქიტექტორის ფანტაზია თუ მიაღწევს,

რომელიც არ ეპუება ეკონომიკურ სიძნელეებს, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით, საკვებით დასაბუთებული შეიძლება იყოს. მომავალი თაობის იაპონელებისთვის არის დაპროექტებული 1 კმ სიმაღლის SUPER PYRAMID-ი, 2 კმ სიმაღლის AEROPOLIS-ი და 800 სართულიანი, 4 კმ სიმაღლის პირამიდა X-SEED-ი.

არქიტექტორთა ფანტაზიას ჯერჯერობით ეკონომიკური ფაქტორები ზღუდავს, თანაც ზოგჯერ, ფრიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი. მაგალითად, მანჰეტენის ცათამბჯენები სახალწლო ნაძვის ხესავითაა განათებული და არა იმიტომ, რომ მასში მომუშავე ფირმების სადღეღამისო სამუშაო რეჟიმი აქვთ: უბრალოდ, ქალაქის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ცაში აჭრილი კომპები ღამით დამთრგუნველ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანებზე და მოიჯარებებს შენობათა განათება დააკისრეს.

არის კიდევ ერთი ფაქტორი: ცათამბჯენების მშენებლობა რამდენიმე წელს გრძელდება, ეკონომიკური სიტუაცია კი

ამა თუ იმ ქვეყანაში იცვლება ხოლმე, რაც პირვანდელ პროექტში ზოგჯერ სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს და, ცხადია, დიდ ენთუზიაზმს არ აღძრავს არც არქიტექტორებში, არც ინვესტორებსა და საქალაქო ხელისუფლებაში. მაგალითად, დღეს, თვით EMPIRE სანახევროდ ცარიელია – თანამედროვე ოფისებისთვის ის უკვე დაძველებულია...


ბოლოს და ბოლოს, ცათამბჯენების ხელშესახები ნაკლი, არაერთ ფილმში ნაჩვენებ-გათამამებული ხანძარსაშიშროებაა. მართალია, დღემდე კინოში ასახული საშინელი ხანძარი არც ერთ ცათამბჯენში არ მომხდარა, მაგრამ შეშფოთების საფუძვლად ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრში, ამ რამდენიმე ხნის წინ მომხდარი ინციდენტიც გამოდგება, – როცა იქ აფეთქება მოხდა, რომელმაც მაშინ მხოლოდ რამდენიმე ლიფტი შეიწირა.

და მაინც – ოცნება ცაში აჭრილი სახლის აშენებისა, მუდამ ცოცხლობს ადამიანში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რბოლა გრძელდება. ■

**მსოფლიოს ათი უმაღლესი შენობა**



1.	სატელევიზიო ანდა CN	553	ტორონტო, კანადა
2.	ოსტანინოს ტელეანდა	547	მოსკოვი, რუსეთი
3.	უომეი „აღმოსავლეთის მარგალიტი“	468	მანხაი, ჩინეთი
4.	უომეები „პეტრონასი“	452,452	კუალა-ლუმპური, მალაიზია
5.	უომეი „სეარსი“	443	ჩიკაგო, აშშ
6.	ტელეანდა „მენარა - კუალა-ლუმპური“	421	კუალა-ლუმპური, მალაიზია
7.	ცათამბჯენი „ჟინ-მაო“	421	მანხაი, ჩინეთი
8.	მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობა	415,417	ნიუ-იორკი, აშშ
9.	ტიანცზინის ტელეანდა	415	ტიანცზინი, ჩინეთი
10.	ჰეიკინის ტელეანდა	405	ჰეიკინი, ჩინეთი



## ორი მეგობრისა და უმბარჩი წამლის აგბაჲი

ეს ფოტო, რომელზეც ნოდარ დუმბაძე და სოკრატ სალუქვაძე არიან აღბეჭდილნი, 1985 წელსაა გადაღებული. მაშინ ბატონ ნოდარს უკვე ძალიან აწუხებდა გული. ხშირად ავადმყოფობდა და მის მეგობარ, წამალმცოდნე სოკრატ სალუქვაძესაც ხშირად უწევდა მასთან „საქმიანი ვიზიტი“. მოკითხვის შემდეგ ბატონი ნოდარი შეჲლიმებდა თურმე მეგობარს: სოსოია, ბიჭო, ცარიელი მოხვედრი თუ წამალიც გამომიყოლო? – ჲკითხავდა... აჲ, ნოდარ ბატონო, ხელცარიელი როგორ მოვიდოდი – ეს არის ჩემი პროფესიაო, – შეიცხადებდა სოკრატი. მერე ჩაიკეტებოდნენ ოთახში და... პიტნაზე დამზადებულ უებარ „სამკურნალო საშუალებას“ სიამოვნებით მიირთმევდნენ, თანაც, საგანგებოდ წამოღებული პლასტმასის ჲიქებით, რომ „წამლით“ სასვე ჲიქებს მიჲახუნებისას საეჲვო ხმა არ გამოეცა.

ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს ბატონ სოკრატს თან ფოტოგრაფიც წაუყ-

ვანია და ასე გაჩნდა ორი მეგობრის ფოტოარქივში ორი ერთმანეთის მოყვარული კაცის სამახსოვრო ფოტო. იცით, რას ეუბნება ამ დროს ნოდარ დუმბაძე სოკრატ სალუქვაძეს? „სოსოია, ბიჭო, ამ სურათს რა თავში ვიხლი, შენ თუ გიყვარდე, ისეთი წამალი მომიტანე, ჩემი ცოდვილი სული ამ საუკუნის ბოლომდე მივიტანო...“

როგორც ბატონი სოკრატი იხსენებს, ამ სურათის გადაღების შემდეგ ნოდარი შეუძლოდ შეიქნა თურმე. მერე დღეს კი, დილის 5 საათზე სალუქვაძეების სახლის კარზე ჲარის ხმა გაისმა. კარი გააღეს და ჲაბუა ამირეჯიბთან, ბელა ახმაღულინასთან, მანანა გეღევიანიშვილთან და სხვა მეგობრებთან ერთად, გადიმბული ნოდარ დუმბაძეც შერჩათ ხელში. „სოსოია, გავივეთ, კარგი კრიალა ჲაში გქონია, გურულების ვისკიც (სანთლის არაყი) გამოუგზავნიათ ლიხაურიდან და გულმა აღარ მოგვითმინა“... სწორედ იმ დღეს უთხრა თურმე ჲაბუას ნოდარმა:

„ჩემო ჲაბუა, შენ ჲართველების წინაშე „სროკმოხდილი“ კაცი ხარ“. სხვებმაც შეაქეს თურმე ჲაბუა: ჲუთაისში ჩატარებული კინოფესტივალის ფიურის წევრი იყო და რა ძალა აქვს ამისთანა, რომ დღეში 3-ჯერ ასწრებდა დათრობას და გამოფხიზლებასო!.. ისევ ნოდარი გაეპასუხათ თურმე: 10 წელიწადი ტაოტ-წასმული „ვოლგასავით“ იღვა ციმბირის „გარაჲში“ და ჲუთაისში გაინავარდებდა, აბა რას იზამდაო?!

ერთხელ თურმე, ბატონი სოკრატის სიდედრი შეიქნა ძლიერ ავად და ამ მიზეზით მას ნოდარისთვის „წამლის“ მიტანა დაუგვიანდა. მოუბოდიშა თურმე: ასე იყო ჩემი საქმე, ძლივს გადავარჩინე, კინაღამ იმჲვეყნად წავიდაო... ნოდარს დაგვიანებისთვის არ უთჲვამს საყვედური, მაგრამ სიდედრების მისამართით კი ისევ წაიენაკვიმატა თურმე: სოსოია, ძამა, სიდედრი რომ კაი გზას დაადგება, ნამეტანი ხელის შეშლაც არ არის საჲიროლო...

**ნანუკა არაბული**





# კვირის (9 - 15 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

## პირნიპი - 22/VI-22/VII




კვირის პირველი ნახევარი მთლად ხელსაყრელი არ იქნება: გარემოებებისთვის ანგარიშის გაწევა მოგიწევთ, სამსახურში კი შეიძლება თქვენთვის არასასურველი ცვლილებებიც მოხდეს, მაგრამ იმავე პერიოდში კოლეგებთან ურთიერთობაც შეიძლება გაგიმყარდეთ და ახლობლებთან ემოციური კონტაქტებიც.

## ღობი - 23/VII-23/VIII



უმჯობესია, ყურადღება ახალი მწვერვალების დაპყრობას კი არა, მიღწეულის გამოყენებას დაუთმოთ. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი საუცხოოდ აგეწყობათ. გარდა ამისა, ძალზედ ენამოსწრებული და მომხიბლავი იქნებით, ამიტომ კომფორტი და კარგი განწყობა თქვენ ირგვლივ თავისთავად, სრულიად ძალდაუტანებლად დაისადგურებს.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



ძალიან იღბლიანი კვირა გელით. ყველა გარემოება თქვენთვის სასიკეთო იქნება, თანაც, ოთხშაბათიდან მოყოლებული, ნებისმიერ საქმეში პარტნიორთა მხარდაჭერას მოიპოვებთ. თავად თქვენ ადამიანებთან ურთიერთობისა და მათი დარწმუნების საუცხოო უნარით გამოიჩინთ თავს.

## სანთრი - 24/IX-23/X



ეს კვირა ყველაზე ხელსაყრელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მაღალ ტექნოლოგიებთან ურთიერთობისთვის, ამიტომ ყველას, ვისაც კავშირი აქვს ამ სფეროებთან, იღბალი და წარმატება ელის. სხვებმა კი, ბევრი უნდა იშრომონ, აპლოდისმენტების დამსახურება რომ შეძლონ. თუმცა, პარასკევისთვის წარმატების შანსი მნიშვნელოვნად იზრდება.

## ღრინაპალი - 24/X-22/XI



იმპროვიზაციის საოცარ ოსტატად გამოავლენთ თავს. შესაძლოა, დასახული გეგმები ჩაგეშალოთ, სამაგიეროდ, შეცვლილ სიტუაციაში დიდი წარმატების მიღწევას მოახერხებთ. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ ხუთშაბათს, როცა თქვენს მოქმედებას სერიოზული დაბრკოლება შეიძლება შეხვდეს.

## მეშღღოსანი - 23/XI-21/XII



ძალიან ლოგიკურად აწყობილი კვირა გელით. კვირის პირველ ნახევარში დაძაბული შრომა და მოლაპარაკებების წამართვა მოგიწევთ. მეორე ნახევარში მუყაითობის ნაყოფს მოიპოვებთ და მიღებულ ინფორმაციასაც თქვენთვის სასიკეთოდ გამოიყენებთ. ოღონდ გახსოვდეთ: თუ პირველ ნახევარში არაფერს გააკეთებთ, არც მეორეში მოიპოვებთ რაიმეს...

## თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირაში შესაძლოა, დიდ წარმატებას მიაღწიოთ, რაც ძალზედ უცაბედად და ერთბაშად მოხდება. ეს მხოლოდ რისკიანებს შეიძლება მოუვიდეთ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ უმჯობესია, სარისკო ნაბიჯის გადადგმა კვირის ბოლომდე - პარასკევიამდე მაინც მოასწროთ, უქმეებში კი, სულის მოთქმის საშუალება მისცეთ თავს.

## პერწყული - 21/I-19/II



ორშაბათ-სამშაბათს კონფლიქტისა და გართულებებისთვის იყავით მზად და ემოციებსაც ნუ აჰყვებით, რადგან ამან უსიამოვნებები შეიძლება მოგიტანოთ. კვირის შუა პერიოდიდან საქმე უკეთესობისკენ წავა და უქმეებშიც კი საქმიან წარმატებებს შეიძლება მიაღწიოთ.

## თიფიპი - 20/II-20/III



ეცადეთ არ გადაიღალოთ - ამ კვირაში ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების რისკი იზრდება. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები ოთხშაბათ-ხუთშაბათისთვის დაგეგმეთ, რადგან ამ დღეებში მოვლენები თქვენთვის სასარგებლოდ შემობრუნდება. უქმეებში კარგი დროს ტარება გელით.

## მერკი - 21/III-20/IV



კვირის დასაწყისში ახალმა იდეებმა შეიძლება გაგიტაცოთ. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ნაჩქარევი ნაბიჯებისა და უტოპიური გეგმებისგან. ოთხშაბათიდან ყველა საქმე საუცხოოდ აგეწყობათ და კვირის ბოლომდე სულ დაუბრკოლებლად ივლით.

## ქერი - 21/IV-21/V



კვირის დასაწყისში, ნებსით თუ უნებლიეთ, თავს აარიდებთ მნიშვნელოვანი და მეტისმეტად სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ საქმე უბრალო სიზარმაცეში როდია: ამ პერიოდში სიამოვნებით გაუწევთ დახმარებას გარშემოყოფებს. საკუთარი თავისთვის გადადგმული ყველა ნაბიჯი კი, რატომღაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან. შეიცადეთ: პარასკევიდან მოვლენები თქვენთვის უფრო სასიკეთოდ განვითარდება.

## მარნაპი - 22/V-21/VI



ეს კვირა ნებისმიერი მიმართულებით წარმატებული მოძრაობის დასაწყისი შეიძლება გახდეს. თავად მიმართულების არჩევაში ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი შეგიწყობთ ხელს. ამიტომ, ამჯერად მხოლოდ ერთი რჩევა გესაჭიროებათ: არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყოთ ახლობლები.



# სსოპრობთ თუ არა სრულ ჰარმონიაში საკუთარ თავთან?

ტესტის კითხვებს უნდა უპასუხოთ „დიახ“, არა“ ან „არ ვიცი“.

1) სავსებით კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით.

2) ადამიანებთან ან მოვლენებთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი აზრები ხანდახან ძალიან გაღელვებთ და განერვიულებთ.

3) შეგიძლიათ თუ არა, ზუსტად გაიხსენოთ თქვენი ცხოვრების ის პერიოდი, როცა თავი დამოუკიდებელ ადამიანად იგრძენით?

4) ვიყვართ თუ არა ისეთი სიტუაციების წარმოდგენა, რომელშიც ისე იქცევით, როგორც ცხოვრებაში არასოდეს მოქცეულხართ?

5) წვრილმან უსიამოვნებებს თუ არ ჩათვლით, საკუთარ თავთან სასაყვედურო არაფერი გაქვთ.

6) ხშირად გებადებით თუ არა ისეთი გრძნობა, როცა თავადაც არ იცით, რა გსურთ?

7) საკუთარ ორგანიზმს იმდენად კარგად იცნობთ, რომ ზღვებით – შეუძლოდ იმიტომ ხართ, რომ შინაგან დისკომფორტს ან სულიერ ტკივილს გრძნობთ.

8) ძალიან გაღელვებთ, რომ ვერ ახერხებთ საკუთარ პიროვნებაში ჰარმონიულობის მიღწევას.

9) იმის მაგივრად, რომ აღელდეთ და იჩხუბოთ, საკუთარ თავთან შინაგანი დიალოგის გამართვასა და ფიქრს მაშინაც ახერხებთ, როცა თქვენ წინაშე რთული პრობლემა დგას, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებსა და აზრებს აღვიძრავთ.

10) ზოგიერთ სიტუაციაში მოვლენებზე ისე ვერ რეაგირებთ, როგორც თავად გსურთ.

11) არსებობს თქვენ-



თვის ისეთი მოვლენები, რისიც ღრმად გწამთ და ისეთი ფასეულობები, რის გამოც მეტიც გააკეთება შეგიძლიათ, ვიდრე წარმოგიდგენიათ?

12) ძალიან ხშირად ჩქარობთ, არასოდეს დრო არ გყოფნით, ან ისეთი საქმის კეთებას იწყებთ, რომელიც ერთი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

13) რთული სიტუაციებიდან გამოსავალს უმეტესად, დამოუკიდებლად პოულობთ.

14) თქვენი აზრით, ცხოვრება იმდენად შეიცვალა, რომ დღეს სიკეთე და ბოროტება ფარდობითი ცნებები გახდა.

15) ხშირად, სხვა აღ-

ამიანების მიერ საკუთარი თავის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს რომ ისმენთ, სიტყვიერად შეიძლება დაეთანხმოთ, თუმცა მანამდე ასე არასოდეს გიფიქრიათ.

## თქვენს პასუხებს შეუსაბამით ქულები:

კითხვებზე 1) 3) 5) 7) 9) 11) 13) თითოეული „დიახ“ პასუხისთვის დაიწერეთ 10 ქულა, ასევე კითხვებზე 2) 4) 6) 8) 10) 12) 14) 15) თითოეული „არა“ პასუხისთვის დაიწერეთ 10 ქულა. ყოველი „არ ვიცი“ პასუხი, 5 ქულით შეაფასეთ. ყველა სხვა დანარჩენი პასუხი, 0 ქულით ფასდება.

## დააჯამით მიღებული ქულები

**100-150 ქულა:** მიღებული შედეგი ადასტურებს, რომ თქვენ საკუთარ თავთან სრულ ჰარმონიაში ცხოვრობთ, კარგად იცით თქვენი ხასიათი და საკუთარ თავსაც ბოლომდე ენდობით. ძალიან ღირებული თვისებებით გამოირჩევით, რომლის წყალობითაც გამოსავალს ადვილად პოულობთ იმ რთული სიტუაციებიდანაც კი, ადამიანებს შორის პირადული ხასიათის კონფლიქტებს რომ შეეხება. ყოველთვის შეგიძლიათ ძალების მოკრება და თითქმის გადაუღალაზავი წინააღმდეგობების დაძლევა.


**50-95 ქულა:** საკუთარ თავს ყოველთვის ვერ უყვართ. ხშირად ყოყმანობთ და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი გეპარებათ. თქვენი პასუხები ადას-

ტურებს, რომ ხელს გიშლით რაღაც წინააღმდეგობები საკუთარი თავის შეცნობაში. იქნებ სცადოთ და სწორად შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები და თავსაც მეტი მოთმინებით მოექცეთ: თქვენ ხომ მოაზროვნე ადამიანი ხართ და გესმით, რომ შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული. ყოველივე ამის შემდეგ ცხოვრება ალბათ მეტ კმაყოფილებას მოგანიჭებთ.

**0-45 ქულა:** ალბათ დროა ჩაუღრმავდეთ იმ მიზეზებს – თუ რატომ არ ვიყვართ საკუთარი თავი. თქვენი პასუხები ადასტურებს, რომ საკუთარი პიროვნება ბოლომდე ვერ შეიცანით. იქნებ სცადოთ და საკუთარ „მეს“ დაუმეგობრდეთ – ცხოვრება თქვენთვის უფრო მშვიდი და კომფორტული გახდება.

## ჯადოსნუხი სავახიძეი ქაღებისთვის

ინგლისის ქალაქ ბრისტოლის ერთ-ერთ ბინგო-კლუბში უცნაური მოვლენა აღინიშნა: ჰოლში დგას ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სავარძელი, რომელიც, კლუბის თანამშრომელ ქალთა მტკიცებით... აორსულებს. საქმე რომ მასობრივი ფსიქოზის გამოვლინებას არ ეხება, ამას 8 ქალბატონის მაგალითი ადასტურებს: თითოეული მათგანი თავის ორსულობას, აღნიშნულ სავარძელში ჯდომას უკავშირებს. ბინგო-ჰოლის თანამშრომლის ჰელენ ჰატის თქმით, კლუბის ბევრ სტუმარ ქალბატონს სავარძელში მოკალათების უფლებაც უთხოვია, რადგან ეს უბრალოდ, ბედნიერების მომტან ფაქტორად ჩათვალეს, თუმცა საგანგებოდ დაორსულების მიზნით მასში ჯერ არავინ მჯდარა.



## „ჰონოხაი“ დაუნეხეი ხომანისთვის

ვიქტორ ჰიუგოს შთამომავლები 600.000 დოლარის მოგებას აპირებენ სასამართლოში შეტანილი სარჩლის შედეგად, რომლის მოპასუხე გამოცემლობა PLONE-ია. საქმე ის გახლავთ, რომ გამოცემლობამ „საბრალონის“ გაგრძელებად, ჟურნალისტ ფრანსუაზა სერეზის მიერ დაწერილი რომანი გამოუშვა, რომლის სახელწოდებაა „კოზეტა ანუ ჟამი ილუზიებისა“. სასამართლოს სარჩელით მწერლის შვილთაშვილმა – პიერ ჰიუგომ მიმართა. ის გამოცემლობის მიერ კლასიკოსისა და მისი ნათესავებისთვის მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. შთამომავლები განსაკუთრებით, ინსპექტორ ჟავერის „გაცოცხლებამ“ განაცვიფრა, რომელიც ჰიუგომ სენაში „დაახრჩო“.

## ვახსევდავის შავბნეი ნახსეი



აღმოსავლეთ (ე.ი. კომუნისტური) გერმანიის მკვიდრი სახელგანთქმული მოციგურავე და შემდგომ „ფლეი ბოის“ ერთ-ერთი ვარსკვლავი კატარინა ვიტი საკმაოდ პიკანტურ სიტუაციაში აღმოჩნდა: გერმანულ მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ის გერმანელ კომუნისტთა სერიოზული პრივილეგიებით სარგებლობდა. ჟურნალ „შპიგელის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გდრ-ის სპეცსამსახურის – „შტაზის“ მასალები, რომლის თანახმად, მოციგურავემ ორჯერ მიიღო საჩუქრად ავტომობილი (მათ შორის „ჟიგული“ „ლადა“) და დიდი ბინა ბერლინში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დასახელებულ

ფაქტს უტყუარად მიიჩნევენ, კატარინა ვიტი მაინც აპირებს ჩივილს სასამართლოში იმ სამთავრობო ორგანიზაციაზე, რომლის ინიციატივითაც გამოქვეყნდა „შტაზის“ მასალები.

## „ხეჟოხესმენი“ სახეი

ცოლ-ქმარმა აღისონმა, ბრიტანეთის ქალაქ მილბორტში მდებარე თავისი სახლის გაყიდვა გადაწყვიტა. საქმე უნიკალურ სახლს შეეხება: ის ფასადის სივიწროვის გამო (სულ 1 მეტრსა და 19 სანტიმეტრს აღწევს), როგორც მსოფლიოში ყველაზე ვიწრო სახლი, გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. პირველ სართულზე მინიატურული სასადილო, მეორეზე კი – სააბაზანო და სულ 9 მ სიგრძის საძინებელია. 65 წლის ჯორჯი და მისი მეუღლე იმედოვნებენ, რომ მიუხედავად მოკრძალებული ფართისა, 20 წლის წინ ნაყიდი სახლის გაყიდვის შედეგად, სულ ცოტა 40 ათასი დოლარი მაინც შეემატებათ.

# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ასლან აბაშიძემ და მიხეილ მაჭავარიანმა. ვულოცავთ ბატონ ასლანს და ბატონ მიხეილს და ვუსურვებთ წარმატებებს!

### მამა ბენაცვალთ!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (10 ივლისის) 13 საათამდე.





„ფანტაზია“  
ამავ გაენაცვალეთ!



„ფანტაზიურებს  
ვაკითხვები“

ღაბიანება  
შედეგად?...



ბ 7 / 25

# ეს „ნაზა“ კასტი ყოფილა!



გერნალ  
ასკურავას  
ტაილანდური  
თავგადასავლები